პალიტრა მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
4 თებერვალი **ორშაბათი** 2013
№027 (13 943) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცვლილებები ქეცბაიას გუნდში




## რევიშვილი და დაუშვილი ალბანეთთან არ იქნებიან, ნაკრებს მაკარიძე დაემატა

მას შემდეგ, რაც თემურ ქეცბაიამ ალბანეთში წამსვლელთა სია დაასახელა, ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება მოხდა. პირველად გუნდს ჯანო ანანიძე გამოაკლდა, რომელმაც ოპერაციის შემდეგ, ცოტა ხნის წინ განაახლა ვარჯიში და სასურველ ფორმაში არ იმყოფება. ქეცბაიამ სიას თითქმის მაშინვე დაამატა გერმანული „ბოხუმის" თავდამსხმელი ნიკოლოზ გელაშვილი. ნაკრებთან ერთად არ იქნება ნუკრი რევიშვილი. მის ნაცვლად კი, დიდი ხნის პაუზის შემდეგ, ეროვნულ გუნდში გამოიძახეს გიორგი მაკარიძე. სამწუხაროდ, დანაკლისები ამით არ დასრულებულა. თავის კლუბთან ერთად შეკრებაზე მყოფმა ბუბა დაუშვილმა ტრავმა მიიღო და ვერც „კარპატის" ნახევარმცველი შეძლებს „ჯვაროსნებთან" ერთად ყოფნას.

შეგახსენებთ, რომ ალბანეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა მატჩი 6 თებერვალს, თბილისის დროით 22:00 საათზე, „ქემალ სტაფას" სტადიონზე დაიწყება.

gff.ge

# თბილისის ღია ადამმა დახურა

## ერთადერთი ოქრო ოქრუაშვილისაა


ადამ ოქრუაშვილი



10-11

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

# ლევან კობიაშვილის დაბრუნება გადაიდო

ლეგიონის ამბები 4

# სუპერმარიოს ტრიუმფალური დაბრუნება მილანში



6

მარიო ბალოტელიმ (მარცხნივ) დებიუტი დუბლით აღნიშნა

# ბრიუსელი

## კარატეშიც ვიმარჯვეთ და რაგბიშიც

მძიმედ დავიწყეთ, თუმცა წერტილი ჩვენ დავსვით
კითხვის ნიშანი: რას უნდა ველოდეთ პორტუგალიასთან?



13

# რონალდომ პირველი გაიტანა!


7

ევროთასები 5-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ტრანსფერი. ინტერვიუ მამუკა კობახიძესთან

# მამუკა კობახიძე: ოსები კარგად დაგვხვდნენ

"ზესტაფონის" 20 წლის ცენტრალური მცველი მამუკა კობახიძე "ალანიაში" ვარჯიშობს და ვლადიკავკაზურ გუნდში ნახევარი წელი დარჩება.

კობახიძე "ზესტაფონში" 2009 წელს ჩაირიცხა და მალე გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრი გახდა. მერე ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს, შარშან ამ დროს კი თემურ ქეცბაიამ ეროვნულ ნაკრებში ალბანეთთან შეხვედრისთვის გამოიძახა. ახლაც იგივე მოხდა, 6 თებერვალს "ჯვაროსნები" ტირანაში ისევ ალბანეთს დაუპირისპირდებიან და კობახიძე კვლავაც სანაკრებო სიაშია.

წლეულს იანვარში კობახიძე ვლადიკავკაზურ კლუბში მიიწვიეს. მეორე თვეა, რაც ვალერი გაზაევის ხელმძღვანელობით ემზადება და ყველა საკონტროლო შეხვედრა ითამაშა.

გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს "ალანიას" სამწვრთნელო შტაბი ფეხბურთელს საკონტროლო მატჩებში დააკვირდებოდა და მასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებდა, არასწორი გამოდგა.

სხვათა შორის, მამუკა უცხოურ კლუბში 2009 წელსაც იყო: მაშინ ის "საბურთალოში" თავდამსხმელი იყო და სტაჟირებაზე მადრიდის „ატლეტიკოსა" და "სარაგოსაში" მიავლინეს.

მამუკა კობახიძეს ინტერვიუში სხვა საკითხებზეც ვესაუბრეთ: ნაკრებში მიწვევაზე, გაზაევის ვარჯიშებზე, გიორგი ჭანტურიაზე...

**- საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ რუსეთის პრემიერლიგის გუნდში დამკვიდრება ძნელი იქნება. თანაც, გაზაევის დატვირთვებზე ლეგენდები დადის. ალბათ, თავიდან ვარჯიშებზე გაგიჭირდა.**

- კი, ნამდვილად ასეა, გაზაევს მართლაც საშინელი ვარჯიშები აქვს. გაგებული მქონდა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, ფეხბურთში ასეთი მძიმე დატვირთვა თუ იქნებოდა. დასამალი არ არის, თავიდან გამიჭირდა. მაგრამ, ეტყობა ადამიანი ყველაფერს ადვილად ეგუება და ერთი შეხედვით, უმძიმეს დატვირთას საკმაოდ იოლად შევეგუე. მაგრამ ვგულისხმობ ფიზიკურ დატვირთვას, საფეხბურთო კუთხით, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, არ გამჭირვებია.

**- გაზაევის ვარჯიშები კიდევ რით არის დასამახსოვრებელი?**

- ძალიან ინტენსიური და დამღლელი ვარჯიშებია. მარტო 30 წუთი ვხურდებით, ასეთ ვარჯიშებზე რომ გადავიდეთ. გიორგიმაც თქვა, რომ მსგავსი დატვირთვები არც ჰოლანდიაში უნახავს და არც ესპანეთში.

**- წლების წინ, "ალანიაში" არაერთი ქართველი თამაშობდა და ბევრი მათგანი მძიმე დატვირთვის გამო ხშირად იყო ტრავმირებული.**

- რამდენიმე ფეხბურთელი მართლაც დაშავდა, თავიდან ყველა კუნთი მტკიოდა. მაგრამ შეკრების დასაწყისში ეს ჩვეულებრივი ამბავია.

**- გაზაევი ფეხბურთელებთან ურთიერთობაში მკაცრია?**

- არ ვიცი, ჯერჯერობით კიდევ ორი შეკრება უნდა გავაიროთ და ამ პერიოდში ყველაფერი გამოჩნდება. სხვათა შორის, გაზაევს ის ფეხბურთი უყვარს, რასაც "ზესტაფონში" შევეჩვიე და იმედია, ეს საქმეს გამიადვილებს.

**- ოსი თანაგუნდელები როგორ დაგხვდნენ?**

- ძალიან კარგად, როგორ უნდა დაგვხვედროდნენ?

**- ოსურ მედიაში საკმაოდ აგრესიული ტონია, "ალანიაში" ქართველები რატომ მოგყავთო...**

- რა ვიცი, ჩვენ მსგავსი არაფერი გვიგრძნია, პირიქით. საერთოდ, გუნდი იმით მომეწონა, რომ ახლებს მეგობრულად ხვდებიან, განსაკუთრებით ოსი ბიჭები. ამას გულწრფელად ვამბობ.

**- „ალანია" რუსეთის პრემიერლიგაში ბოლოდან მეორე ადგილზეა. შენი აზრით, გუნდს გადარჩენის შანსი აქვს?**

- ჩვენი მიზანი პრემიერლიგაში დარჩენაა და ვნახოთ, ვეცდებით ყველანაირად. იმედი რომ არ ჰქონდეთ, ამდენ მოთამაშეს არ მოიყვანდნენ. ახლა ჰოლანდიის ნაკრებისა და "რეალის" ყოფილი მოთამაშე დრენტე ჩამოიყვანეს.

**- შენთან კონტრაქტის გახანგრძლივება გუნდის ლიგაში დარჩენაზეა დამოკიდებული?**

- რა თქმა უნდა.

**- საქართველოდან რუსეთის პრემიერლიგაში ფეხბურთელის გადასვლა სერიოზული ნახტომია.**

- რუსეთის პრემიერლიგა სულ სხვა დონეა, მაგრამ გადმოსვლისას არანაირი შიში არ მქონია.



ალანიელი ქართველები: მარცხნიდან გიორგი - ჭანტურია და მამუკა კობახიძე

**- თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს გასინჯვაზე წახვედი. მაგრამ "ალანიადან" წამოსულმა მამუკა ლონლაძემ გვითხრა, რომ კონტრაქტი გააფორმე.**

- დიახ, პირდაპირ კონტრაქტი გავაფორმე, რომლის პირობები უკვე შეთანხმებულია.

**- ხელშეკრულება რამდენხნიანია?**

- "ალანიაში" 6-თვიანი იჯარით, ივლისამდე ვითამაშებ.

**- რატომ იჯარა და არა პირდაპირ კონტრაქტი?**

- თავიდანვე, როდესაც მივდიოდი, გადაწყვეტილი იყო, რომ იჯარით ვითამაშებდი. ამის შემდეგ "ალანიას" კონტრაქტის გამოსყიდვისა და გახანგრძლივების უფლება აქვს.

**- საერთოდ, ვლადიკავკაზელები შენით როდის დაინტერესდნენ?**

- ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაშინ არ გამოვიდა. ეს ტრანსფერი რეალური მამუკა ჯულელის დახმარებით გახდა.

**- მუდმივი ნომერი უკვე გადმოგცეს?**

- დიახ, 5 ნომრით ვითამაშებ, ჭანტურიას კი თავიდანვე 39 ნომერი უნდოდა და აიღო კიდეც.

- არ ვაჭარბებ, ყველანაირად ძალიან მაგარია, როგორც მწვრთნელიც და როგორც ადამიანი. ფეხბურთელებთან ურთიერთობა არ ემლება.

**- ალბათ, "ალანიაში" გიორგი ჭანტურიას გადმოსვლა ადაპტაციას გაგიადვილებდა. ბავშვობის მეგობრის გვერდით ყველგან კარგად იგრძნობ თავს.**

- რა თქმა უნდა, გიორგისთან ერთად მიადვილდება, გუნდთან და ვარჯიშებთან შეჩვევა, რადგან ერთ ოთახში ვართ და ქართული ლაპარაკი მესმის. თანაც, გიორგი ჩემი ბავშვობის მეგობარია და როდესაც "ალანიაში" მისი გადასვლის ამბავი შევიტყვე, ძალიან გამიხარდა.

**- ვალერი გაზაევს თუ ელაპარაკე, რა მოთხოვნებს გიყენებს?**

- ასე პირადად მხოლოდ გაცნობის დროს დაველაპარაკე. ვარჯიშებზე კი, ცხადია, ცალკე ჩემთვის ვერ იცლის, ყველას გველაპარაკება, შეცდომებზე მიგვითითებს და გვასწავლის.

**- ჭანტურია გუნდს შეეჩვია?**

- საკმაოდ ადვილად, ვარჯიშებზეც და თამაშებზეც კარგად გამოიყურება.

**- შენი აზრით, ძირითადში დამკვიდრებას შეძლებ?**

**- ერთი რამ გვითხარი: რუსეთის ვიზა აიღე? ამის გამო პრემიერლიგის კლუბებში გადასულ ბევრ ქართველს შეექმნა პრობლემა.**

- დიახ, უპრობლემოდ ავიღე. ერთწლიანი ვიზა მომცეს.

**- "ალანიას" გარდა, სხვა ვარიანტები არ გქონდა?**

- იყო რაღაც ვარიანტები, მაგრამ ყველაზე რეალური და სასურველი წინადადება ვლადიკავკაზელებმა შემომთავაზეს. ამაზე უკეთესი არც ერთი არ იყო და ამიტომ სხვა კლუბების დასახელება არ მსურს.

**- ნაკრებს შეკრებაზე როდის შეუერთდები?**

- ალბანეთში 4 თებერვალს ღამით გავფრინდები. თემურ ქეცბაიას ნაკრებში პირველად არ გამოვუძახებივარ. სხვათა შორის, შარშანაც 23 თებერვალს მიმიწვია და მაშინაც ალბანეთს ვხვდებოდით. მაგრამ ჯერ არ მითამაშია. ნახავს, როგორ ფორმაში ვარ და გადაწყვეტს, შევძლებ თუ არა ნაკრებში თამაშს.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი



პატრიკ მილხრაუმმა (ბურთით) დინამოსთან ივარჯიშა
ფოტო: www.fcdinamo.ge

# დინამოს დიღომში ივარჯიშა

თურქული შეკრებიდან დაბრუნებულ თბილისის "დინამოს" ორი დღე დასვენება ჰქონდა; შაბათს კი გუნდმა ვარჯიში დიღმის ბაზაზე განაახლა და მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** ფეხბურთელები ორჯერ დატვირთა.

თბილისელთა პრესატაშის, **გიგა გვენცაძის** თქმით, გუნდშია 28 წლის გერმანელი **პატრიკ მილხრაუმი** და 22 წლის სენეგალელი **ემანუელ მენდი**. გუნდი თბილისში კიდევ სამ დღეს დაჰყოფს და გეზს კვლავ თურქეთისკენ აიღებს. 5-დან 15-თებერვლამდე ანთალიაში დინამოელები სასტუმრო "მარდან პალაცში" დაბინავდებიან.

ბოლო შეკრებაზე "დინამო" ოთხ საკონტროლო მატჩს გამართავს: 7 თებერვალს თბილისელთა მეტოქე რუსეთის პრემიერლიგის პერმის "ამკარი" იქნება, 9 თებერვალს – ვარშავის "პოლონია", 11 თებერვალს მოლდოვის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ტირასპოლის "შერიფი", 13 თებერვალს დასკვნითი მატჩი კი უკრაინის პრემიერლიგელთან, ლუგანსკის "ზარიასთან" დაიგეგმა.

გუნდთან დაკავშირებული ერთი საინტერესო სიახლე ისაა, რომ "დინამოს აკადემიაში" იტალიელი ფიზმომზადების მწვრთნელი **რიკარდო დევივო** იმუშავებს. 31 წლის იტალიელმა სპეციალისტმა სამწვრთნელო ხელოვნება ინგლისში შეისწავლა, "დინამომდე" კი სამხრეთ აფრიკულ და ინგლისურ კლუბებში მუშაობდა.

რიკარდო დევივოს აკადემიის ინფრასტრუქტურა ძალიან მოეწონა და ამბობს, რომ ეს პირობები საკმარისია საიმისოდ, რომ აკადემიამ წარმატებით იმუშაოს.

ალსანიშნავია, რომ ლუბლიანას ქუჩაზე მდებარე "დინამოს" აკადემიის მშენებლობა დასრულდა, სადაც ბავშვებისთვის მართლაც შესანიშნავი სავარჯიშო პირობებია: რამდენიმე მშვენიერსაფრიანი მოედანი, გასახდელები, საშხაპეები, განათების სისტემა. ნეტავ, სხვა გუნდებს ამის ნახევარი მაინც ჰქონდეთ, ჩვენს ფეხბურთს დღევანდელივით ნამდვილად არ გაუჭირდებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# ფრე პოლონელებთან და ალჟირელი ათიანი

**ზესტაფონი-რუხი 0:0**

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, თ. ლონლაძე, ლოსანო, კაჭკაჭიშვილი, გაგოშიძე, იელიჩი, შარიქაძე, სამუშია, ჭანტურიშვილი, რაყამაშვილი, კუტალია

*შეცვლაზე შევიდნენ:* ბენაშვილი, ბაბუნაშვილი, გორგიაშვილი, რეკრუკი, ჭანკოტაძე, აფციაური, წინამძღვრიშვილი

რუხი: პეშკოვიჩი, კიკუტი, ჯოკიჩი, ბაშჩინსკი, ხვასტეკი, ლევინსკი, ტიმინსკი, შენჩუკი, იანოშკა, იანკოვსკი, სულტესი

*შეცვლაზე შევიდნენ:* კამინსკი, კონჩაკოვსკი, სტავარჩიკი, ლევჩუკი, პანკა, მალინოვსკი, კუშვიკი, ვლოდიკა, ნიდზელანი, სმეკტალა, სტარჟინსკი.

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ზესტაფონმა" მეორე ტესტმატჩი პოლონეთის 14-გზის ჩემპიონის, ხოჟუვის "რუხის" წინააღმდეგ ჩაატარა და მეტოქეს უგოლოდ დაუზავდა.

საქართველოს მოქმედი ჩემპიონი უდანაკლისოდ ვერც ამ შეხვედრას შეხვდა. ტრავმების გამო "რუხთან" მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს **თედორე** და **თორნიკე გრიგალაშვილებმა, მიხეილ სარდალიშვილმა** და **ავთო ენდელაძემ.**

მატჩი მაინცდამაინც სანახაობრივი არ ყოფილა, თუმცა გამარჯვების გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო. ასე მაგალითად, 58-ე წუთზე **თორნიკე გორგიაშვილის** დარტყმის შემდეგ "რუხის" კარი გოლისგან მცველმა გადაარჩინა.

ხვალ "ზესტაფონის" მეტოქე უკრაინული "ვორსკლა" იქნება.

ფეროელებმა თურქეთში სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს ალჟირელ თავდამსხმელ **მოჰამედ რეკრუკს**. შეგახსენებთ, იგი "ზესტაფონს" საქართველოში შეუერთდა, გუნდის სამწვრთნელო შტაბზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და როცა იმერელთა თავკაცმა **კახა კაჭარავამ** მისი ანთალიაში წაყვანა გადაწყვიტა, ნათელი გახდა, რომ რეკრუკი "ზესტაფონის" ფეხბურთელი გახდებოდა.

რეკრუკი 19 წლისაა და ესპანური "სარაგოსას" მეორე გუნდში ასპარეზობდა. "სარაგოსამ" თავისუფალი აგენტის სტატუსი მას რამდენიმე დღის წინ მიანიჭა. რეკრუკი "ზესტაფონში" 10-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ "ზესტაფონი" დატოვა სინჯებზე მყოფმა გვატემალელმა ფორვარდმა **ჰენრი ლოპესმა**, ესპანელი მცველი **ორიოლ ლოსანო** კი ფეროელთა შემადგენლობაში ვარჯიშსა და თამაშს განაგრძობს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ფოტო: www.fczetafoni.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზადისი

# მეტალურგის თურქეთშია



გიორგი ყიფიანი

რუსთავის „მეტალურგი" თურქეთში, ანთალიაში ჩავიდა და იქ გააგრძელებს მზადებას სეზონის განახლებისთვის. რუსთაველთა დამრიგებელმა **გიორგი ყიფიანმა** თურქეთში 23 ფეხბურთელი წაიყვანა: **ზურაბ ბათიაშვილი, გრიგოლ ბედიაშვილი, მიხეილ ალავიძე, გიორგი ქავთარაძე, მიხეილ მახვილაძე, დენის დობროვოლსკი, დავით საჯაია, ალექსანდრე ინწკირველი, ანზორ სუხიაშვილი, ლუკა რაზმაძე, , გიორგი გავაშელიშვილი, გიორგი განუგრავა, ლაშა ჯაფარიძე, რევაზ გეწაძე, გიორგი ოთარაშვილი, დაჩი ცნობილაძე, ლევან კორღალიძე, ზვიად ლ ობჟანიძე, ივანე ხაბელაშვილი, გოგი ფიფია, გიორგი მიქაბერიძე, რომან ახალკაცი, ირაკლი სიხარულიძე.**

გუშინ „მეტალურგს" კორეულ „პოჰანგთან" საკონტროლო მატჩი უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ ეს სპარინგ-შეხვედრა არ შედგა.

რუსთაველთა მომდევნო საკონტროლო შეხვედრების გრაფიკი ასეთია: 6 თებერვალი - „გურნიკი"(პოლონეთი), 9 თებერვალი - „აკადემია" (მოლდოვა), 12 თებერვალი - „ვორსკლა"(უკრაინა), 14 თებერვალი -"მეტალურგი"(ნოვოკუზნეცკი, რუსეთი).

დავით **თავართქილაძე**

# გიორგი ჯანელიძე დაბრუნდა და გაიტანა

"ვიტ ჯორჯიამ" მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ვეტერინარებმა "მცხეთა პარკზე" საჩხერის "ჩიხურას" უმასპინძლეს და 2:1 გაიმარჯვეს. ანგარიში მე-10 წუთზე რუსეთიდან დაბრუნებულმა **გიორგი ჯანელიძემ** თერთმეტმეტრიანით გახსნა, 51-ე წუთზე კი **ლევან კუხალეიშვილმა** "ვიტ ჯორჯია" ორბურთიანი უპირატესობით დააწინაურა. საჩხერელთაგან გოლი 77-ე წუთზე **გაგა ჩხეტიანმა** გაიტანა.

ვიტ ჯორჯია: **დაუშვილი - ხურცილავა (73. იაშვილი), გეთიაშვილი (46. გოგიაშვილი), ადამაძე, კასრაძე, მჭედლიშვილი (46. ჯავაშვილი) - ვასაძე, გურეშიძე, კორიფაძე (80. დავლაშელიძე), ჯანელიძე (70. ღიბრაძე) - გაბრიჭიძე (46. კუხალეიშვილი).**

ლევან **ჯანეზაშვილი**

# ფრუიძის თურქული სია

დღეიდან საჩხერის "ჩიხურა" თურქეთში გააგრძელებს მზადებას სეზონის მეორე ეტაპისთვის. **სოსო ფრუიძის** გუნდი სიდესთან ახლოს დაბინავდება და საქართველოში 18 თებერვალს დაბრუნდება.

ფრუიძემ თურქეთში შემდეგი ფეხბურთელები წაიყვანა:

მეკარეები: **გიორგი სომხიშვილი, ზურაბ მწყერაშვილი, დავით ბერდელაძე;**

მცველები: **დავით ოდიკაძე, შოთა კაშია, ლაშა ჭელიძე, ედიკ საჯაია, ნიკა გუშარაშვილი, გიორგი ქიმაძე, ჯაბა ბერიანიძე, ლაშა ჩიკვაიძე;**

ნახევარმცველები: **დავით კირკიტაძე, ნიკა კვასხვაძე, ზურაბ ძამსაშვილი, ირაკლი ზაბახიძე, დავით დილმელაშვილი, ვაჟა ლომაშვილი, დავით ბოლქვაძე, ლევან ბაკურაძე;**

თავდამსხმელები: **რევაზ გოცირიძე, ბესიკ დეკანოიძე, გაგა ჩხეტიანი.**

ტრავმიანობის გამო "ჩიხურას" თურქეთში ვერ გაყვნენ **თემურ შარაშენიძე** და **თორნიკე მუმლაძე.**

დავით **თავართქილაძე**




# დღეს ტორპედო-რაპიდია

ქუთაისის „ტორპედოს" 36-კაციანი დელეგაცია ესპანეთშია და სასტუმრო "H10 ესტეპონა პალაცში" დაბინავდა.

დაღლილობის მიუხედავად, იმავე დღეს, ესტეპონას მახლობლად მდებარე ერთ-ერთ მოედანზე 24-ვე ფეხბურთელმა ივარჯიშა. ეგაა, ტრავმამოშუშებული **გიორგი დათუნაიშვილი** და **გიორგი ბერიაშვილი** ჯერ კიდევ ინდივიდუალურად ემზადებიან. თბილ და მზიან ამინდში გეგუჩაძემ მოთამაშეები მხოლოდ საათი და 15 წუთი დატვირთა.

დღეს კი, "მარბელას თასზე" ქუთაისის „ტორპედო" რუმინეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდს, ბუქარესტის "რაპიდს" შეხვდება.

მატჩი თბილისის დროით 14:00 საათზე დაიწყება და გულშემატკივარს მისი ხილვა "ტორპედოს" ვებგვერდზე შეეძლება.

მერაბ **მამულაშვილი**

# ჩიმაკაძე გურულთან მივიდა


ბესიკ ჩიმაკაძე

არგავარდნისთვის მებრძოლმა ბათუმის „დინამომ" მნიშვნელოვანი ტრანსფერი განახორციელა: 24 წლის თავდამსხმელი **ბესიკ ჩიმაკაძე** დაიმატა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფორვარდი ბოლოს თბილისის „ვიტ ჯორჯიაში" თამაშობდა, მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ უკრაინაში იყო წასული, თუმცა საბოლოოდ ბათუმის "დინამოში" აღმოჩნდა.

**გია გურულის** გაწვრთნილმა გუნდმა გასულ უქმეებზე ქობულეთში პირველი ლიგის ერთ-ერთ მოწინავე გუნდთან, ლანჩხუთის „გურიასთან" ითამაშა და 3:0 გაიმარჯვა. გოლები **ამირან მუჯირმა, ამირან აბუსელიძემ** და **ირაკლი ცანავამ** გაიტანეს.

ბათუმის „დინამოს" სასტარტო შემადგენლობა: **მუჯრიშვილი - ფარტენაძე, ტყეშელაშვილი, ჟვანია, გაბუნია - ლობჟანიძე - მუჯირი, კოშკაძე - შალამბერიძე, ჩიმაკაძე, ქუცურუა.** შეცვლაზე შევიდნენ: **მახარაძე, ცანავა და აბუსელიძე.**

ბათუმის „დინამო" 6 თებერვლიდან თურქულ შეკრებაზე გადავა.

დავით **თავართქილაძე**

# დილამ ბრაზილიელები დაამარცხა

თურქულ შეკრებაზე მყოფმა გორის „დილამ" მეორე ამხანაგური შეხვედრა გამართა და ბრაზილიური „გრემიო ბარუერი" 2:1 დაამარცხა.

„დილას" სასტარტო შემადგენლობა: **მამალაძე, ი. ლომიძე, ალვარო, ალექსი, ნ. ჯიშკარიანი, ლობე, ტატაულინი, გოგინაშვილი, გორელიშვილი, არაბული, მოდებაძე.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **შეყრილაძე, თოთაძე, ი. მაისურაძე, მურატოვი, არზიანი, ლეონარდო, ილურიძე, თომაშვილი.**

„დილას" შემადგენლობაში ბევრ ახალ გვარს ამოიკითხავდით, **ალვარო, ალექსი, ლობე, ტატაულინი და მურატოვი** ის ლეგიონერები არიან, ჯერ გასინჯვაზე რომ იმყოფებიან **ვალდას ივანაუსკასის** გაწვრთნილ გუნდში.

გორელები ბრაზილიელებთან **ირაკლი მოდებაძის** ზუსტი პენალტით დაწინაურდნენ მე-16 წუთზე, 78-ე წუთზე **გიორგი ილურიძემ ლეონარდოს** ჩაწოდების შემდეგ გაზარდა „დილას" უპირატესობა. გორელებს მესამე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ლეონარდომ 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა 81-ე წუთზე. „გრემიომ" ერთი ბურთი შეხვედრის მიწურულს გაქვითა.

„დილა" მომდევნო ამხანაგურ მატჩს 5 თებერვალს გამართავს რუსულ „სალუტთან".

დავით **თავართქილაძე**

# პირველი სპარინგი წარმატებული გამოდგა

**ზუგდიდი–კოლხეთი (ხ) 3:2**

ზუგდიდი: **ძაგანია, კანკია, აფაქიძე, აკობია, რ. ონიანი, ტყემალაძე, სიხარულია, გუგუჩია, შ. ლომია, გაბედავა, ქობალია**

*შეცვლაზე შევიდნენ: მაქაცარია, ქვარცხავა, აქუბარდია, ხუხია, გამრეკლიძე, ხუბუა, ქანთარია, წურწუმია, ეხვაია, ფარჯიკია, ბულია*

კოლხეთი: **გელაშვილი, გ. გოგენია, კ. გოგენია, ლ. გოგენია, ქაშიბაძე, ბუკია, მეფიშვილი, ცობეხია, გაბრავა, ლომაია, ფირცხელავა**

"ზუგდიდმა" ბევრ უმაღლესლიგელთან შედარებით, სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება ოდნავ მოგვიანებით დაიწყო და პირველი ამხანაგური შეხვედრაც მხოლოდ ახლა გამართა. **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდმა "ბაიას" ბაზაზე პირველლიგელ ხობის "კოლხეთს" უმასპინძლა და მეტოქე 3:2 დაამარცხა.

"ზუგდიდი" **შოთა ლომიამ** დააწინაურა და პირველი ტაიმი 1:0 დასრულდა. შეხვედრის მეორე ნახევრის დასაწყისში **ლევან წურწუმიამ** ანგარიში სხვაობა ორამდე გაზარდა, ხოლო მესამე ბურთი ხობელთა კარში ახალგაზრდა **გიორგი ბულიამ** გაიტანა.

სტუმრები მას შემდეგ გააქტიურდნენ, რაც "ზუგდიდის" სამწვრთნელო შტაბმა ძირითად შემადგენლობაში გამწესებული ყველა ფეხბურთელი შეცვალა. "კოლხეთის" თავდამსხმელმა **გელა ლომაიამ** დუბლი შეასრულა.

ლევან **ჯანეზაშვილი**

# სიონი გაგრასთან დამარცხდა

გუშინ „ბენდელას" სტადიონზე ბოლნისის "სიონი" ამხანაგურ მატჩში "გაგრასთან"დამარცხდა - 0:2. ბოლნისელებმა სრული შემადგენლობით ვერ ითამაშეს, რადგან **კოკა მიკუჩაძესა** და **დაჩი ფოფხაძეს** მიკროტრავმა აწუხებდათ, **გიორგი მანწკავა** კი გაციებული იყო. ტრავმირებულები ჰყავდა "გაგრასაც".

ანგარიში 42-ე წუთზე **გუგა ფალავანდიშვილმა** გახსნა. მეორე ტაიმში ბოლნისელებმა რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ "გაგრას" მეკარემ **გიორგი ბეგაშვილმა** ჩინებული რეაქცია გამოავლინა, ერთხელ "მკვდარი ბურთიც" მოიგერია.

მეორედ "სიონის" კარი ნიგერიელმა **უმარ მაგაჯიმ** აიღო, რომელმაც ბოლნისელთა მცველის შეცდომით ისარგებლა.

**სიონი — გაგრა 0:2**

**0:1 ფალავანდიშვილი (42), 0:2 მაგაჯი (77).**

გაგრა: **ბეგაშვილი, ჯანაშია, გადრანი, კალანდაძე, ზარნაძე, ტეიდი, გ. ფალავანდიშვილი, ჯიშკარიანი, ჯერემია, ივანიშვილი, ვოლკოვი.**

შეცვლაზე: **რადინა, ალავიძე, მალანია, ფიფია, მაგაჯი, ხოჯაშვილი მუმლაძე.**

სიონი: **მერლანი – უგრეხელიძე, სვანიძე, საპირი, ელიავა – ჯოჯუა, ცხადაია – ბიბილეიშვილი, ჩივაძე, ლექვთაძე - ახალაია**

*შეცვლაზე: ბობლიაშვილი, ქემოკლიძე, ორბელაძე, ნემსაძე, მ. ოქროპირიძე, გ. ოქროპირიძე, ისიანი, ხურციძე, უგულავა ,მ. ფალავანდიშვილი.*

"სიონი" 6 თებერვალს ანთალიაში გამთენიისას გაემგზავრება, სადაც 4 საკონტროლო შეხვედრასაც ჩაატარებს.

მერაბ **მამულაშვილი**

# ბოლნისში ექს-ოსერელი პოლონელი დაიმატეს


პაველ ჰაიდუჩეკი

საინტერესო სიახლე: გუშინ "სიონს" პოლონელი საყრდენი ნახევარმცველი **პაველ ჰაიდუჩეკი** შეუერთდა. მართალია, ფრანგულ "ოსერში" ერთხელაც არ უთამაშია, მაგრამ საკმაოდ კარგი ნახევარმცველი უნდა იყოს, რადგან უკრაინის პრემიერლიგაში წლები გამოდიოდა, სიმფეროპოლის "ტავრიაში" **ვასილ გიგიაძისა** და "სიონის" ამჟამინდელი სპორტული დირექტორის, **ლადო ბურდულის** თანაგუნდელი გახლდათ.

1999 წელს წელს პოლონეთის 16-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 2010 წელს სიმფეროპოლის "ტავრიაში" უკრაინის თასის გამარჯვებული გახდა.

მერაბ **მამულაშვილი**

**დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!**

DINAMO TBILISI 1925

**დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.**

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

**დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი**

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge

ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.

დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2

რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

ეროვნული ბიბლიოთეკა



მათე ვანაძე

# კობიაშვილის დაბრუნება გადაიდო

დიდი იმედი გვქონდა, რომ ჩვენს მიმოხილვას **ლევან კობიაშვილის** თამაშის შეფასებით დავიწყებდით. მან ხომ ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია სულ ახლახან მოიხადა და "ჰერტას" მაისურით ამხანაგურ მატჩებშიც ითამაშა. თუმცა ბერლინელთა სამწვრთნელო შტაბმა სხვაგვარად განსაჯა და ვეტერანი ქართველი გუნდის 18-კაციან განაცხადშიც კი არ შეიყვანა. კობის გარეშე "ჰერტამ" სტუმრად "რეგენსბურგი" 5:1 გაანადგურა და ცხრილში მეორე ადგილი კიდევ უფრო გაიმყარა.

"ბოხუმის" ამბავს კი "ლელოს" შაბათის ნომერში წაიკითხავდით. შეგახსენებთ, **ალექსანდრე იაშვილი** შეცვლაზე შევიდა და საგოლე პასის ავტორი გახდა, **ნიკოლოზ გელაშვილი** კი სათადარიგო იყო. "ბოხუმმა" გასვლით შეხვედრაში "აალენთან" ფრედ, 2:2 ითამაშა.

ჰოლანდიის თასის მეოთხედფინალში ამსტერდამის "აიაქსთან" შინ ნაწვევი გამანადგურებელი მარცხის (0:4) შემდეგ "ვიტესმა" ჩემპიონატშიც წაიფორხილა – არნემელები სტუმრად "ნეიმეგენთან" 1:2 დამარცხდნენ და სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილამდე დაქვეითდნენ. "ვიტესი" ერთპიროვნულ ლიდერ პსვ-ს უკვე 8 ქულით ჩამორჩება.

"ვიტესის" კაპიტანმა **გურამ კაშიამ** ეს მატჩი სრულად ჩაატარა, ხოლო **ვაკო ყაზაიშვილი** მოედანზე 85-ე წუთზე შევიდა. მართალია, მხოლოდ რამდენიმე წუთით, მაგრამ ყაზაიშვილი "ვიტესის" ბოლო შეხვედრებში სისტემატურად მონაწილეობს, რაც ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველისთვის უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

თურქეთის სუპერლიგაში **შოთა არველაძის** "ქასიმფაშამ" "ელაზიგსფორს" უმასპინძლა. მატჩი უგოლოდ დასრულდა. "ქასიმფაშა" მეხუთე პოზიციაზეა და ლიდერ "გალათასარაიმდე" შვიდი ქულა აშორებს.

"ქაისერისფორმა" **ზურაბ ხიზანიშვილის** გარეშე სტუმრად 2:1 მოუგო "აქჰისარ ბელედისფორს" და გასავარდნ ზონას ოთხი ქულით უსწრებს.

იტალიის სერია B-ში "ემპოლი" "სასუოლოს" ესტუმრა და ფრედ, 1:1 ეთამაშა. "ემპოლის" თავდამსხმელი **ლევან მჭედლიძე** მოედანზე 70-ე წუთზე შევიდა, მისი თანაგუნდელი **ირაკლი შეყილაძე** კი განაცხადში არ ყოფილა.

გადავინაცვლოთ ამხანაგურ მატჩებზე, საიდანაც ყველაზე გამოსარჩევი **მათე ვაწაძის** დუბლია. დანიური "ორჰუსის" ქართველმა ფორვარდმა ორი გოლი "ფრემადის" კარში გაიტანა, აქედან ერთი **დავით სხირტლაძის** პასით. ვაწაძეც, სხირტლაძეცა და **დავით დევდარიანიც** "ორჰუსის" სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ.

რუმინულმა "პანდურიიმ", რომელმაც ცოტა ხნის წინ კონტრაქტი **გიორგი ალავერდაშვილს** გაუფორმა, მაკედონურ "ტურნოვოსთან" ფრედ, 0:0 ითამაშა. ქართველმა თავდამსხმელმა მოედანზე პირველი ტაიმი გაატარა.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ მოსკოვის "სპარტაკის" ფეხბურთელებთან ერთად საერთო ჯგუფში ვარჯიში განაახლა **ჯანო ანანიძემ**, რომელიც ალბანეთთან 6 თებერვალს გასამართ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობას არ მიიღებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ჯანო ანანიძემ სპარტაკის ძირითად გუნდთან ივარჯიშა

# დავით დევდარიანი: ორჰუსში 2015 წლამდე

**დავით დევდარიანმა** დანიურ "ორჰუსთან" კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულამდე გაახანგრძლივა. 25 წლის ქართველ შემტევთან თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.

*"ორჰუსი" ჩემი პირველი უცხოური კლუბია, აქ მნიშვნელოვანი პროგრესი განვიცადე და მიმაჩნია, რომ დარჩენით სწორი გადაწყვეტილება მივიღე. მოხარული ვარ, კლუბმა ასეთი ნდობა რომ გამომიცხადა. შევეცდები, მომავალში "ორჰუსისთვის" კიდევ უფრო სასარგებლო ფეხბურთელი ვიყო"*, - განაცხადა დევდარიანმა კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ.

*"დევდარიანი "ორჰუსისთვის" მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და ლოგიკურია, რომ ჩვენმა კლუბმა მასთან ხელშეკრულების გაგრძელება გადაწყვიტა. გვჯერა, ეს თანამშრომლობა მომავალშიც ნაყოფიერი იქნება"*, - ეს "ორჰუსის" სპორტული დირექტორის, **ბრაიან სტენ ნილსენის** სიტყვებია.

დევდარიანი "ორჰუსში" 2009 წელს გადავიდა და მას შემდეგ დანიური კლუბის მაისურით ჩატარებულ 87 ოფიციალურ მატჩში 17 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



დავით დევდარიანი

# ჩვენებურები: აქეთაც და იქითაც

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა ბაქოს „ინტერმა" გუშინ ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა ვარშავის „პოლონიასთან". **კახა ცხადაძის** დამოძღვრილმა გუნდმა დიდი ანგარიშით, 3:0 გაიმარჯვა. აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა „ინტერმა" თურქულ შეკრებაზე მანამდე ოთხი საკონტროლო მატჩი ითამაშა: მეორე ბუნდესლიგის „აალენთან" (1:1), ასევე მეორე ბუნდესლიგის „ინგოლშტატდთან" (1:3), უკრაინის, ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" (0:0) და ყაზახურ „ორდაბასთან" (2:0). ამით „ინტერის" შეკრება დამთავრდა და გუნდი აზერბაიჯანის ჩემპიონატის მეორე ეტაპისათვის მზადებას უკვე ბაქოში გააგრძელებს. ჩვენს სამეზობლოში კი ჩემპიონატი მომავალ უქმეებზე განახლდება. აზერბაიჯანის ყველაზე „ქართული გუნდი" სტუმრად ლენქორანის „ხაზარს" ეთამაშება. სხვათა შორის, ამ რამდენიმე დღის წინ, „ხაზარში" ცნობილი ესპანელი მეკარე, 32 წლის **ანტონიო დობლასი** ჩაირიცხა, რომელსაც პრიმერადივიზიონში („ბეტისი", „სარაგოსა") არაერთი სეზონი გაუტარებია. შეგახსენებთ, რომ „ინტერში" თამაშობენ: 33 წლის **გიორგი ლომაია,** 24 წლის **რევაზ თევდორაძე** (ორივე — მეკარე), 31 წლის **ილია კანდელაკი,** 32 წლის **ვალერი აბრამიძე** (ორივე — მცველი), 31 წლის **გიორგი ადამია** და 25 წლის **ბაჩანა ცხადაძე** (ორივე — თავდამსხმელი). ამათგან გუშინდელ მატჩში ძირითადში დაიწყეს თამაში ლომაიამ, კანდელაკმა, აბრამიძემ და ცხადაძემ. სხვათა შორის, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ილია კანდელაკი საქართველოს ნაკრებშია გამოძახებული — გამოცდილმა მარცხენა მცველმა ჩვენი უპირველესი გუნდის შემადგენლობაში ბოლოს 2010 წლის 25 მაისს ისპარეზა (კამერუნის ნაკრების წინაალმდეგ). აქვე, ნურც „ინტერის" სხვა ქართველებსაც „დავივიწყებთ": მეორე მწვრთნელად **ზაურ სვანაძე** მუშაობს, ხოლო გუნდის მენეჯერი (უფრო ზუსტად, მწვრთნელ-სელექციონერი) **ალექსანდრე რეხვიაშვილი** გახლავთ.

„ინტერისა" და „პოლონიას" შეხვედრაში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი მონაწილეობდა: ვარშავული გუნდის ძირითადში იყო ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და საუკეთესო თავდამსხმელი, 25 წლის **ლადო დვალიშვილი.**

ისე, დრო იყო, ლადო დვალიშვილიც კახა ცხადაძის შეგირდი რომ გახლდათ: 2004-05 წლების სეზონს ვგულისხმობთ, როცა ცხადაძემ თბილისის „დინამო" ჩაიბარა და თავის სადებიუტო მატჩში გორის „დილას" 9:0 მოუგო. დვალიშვილი იმ დროს 17 წლის გახლდათ და ეს იყო მისი პირველი მატჩი „დინამოს" ძირითადში, რომელიც, გოლითაც აღნიშნა! 2005 წლის 2 აპრილს ჩატარებული ის მატჩი იმითაც ღსანიშნავი იყო, დინამოელმა **ლევან მელქაძემ** „დილას" კარში 5 (!) გოლი რომ გაიტანა: აღარაფერს ვამბობთ **გოჩა ჯამარაულის** მართლაც ზღაპრულ თამაშზე.

**გია გაგოშიძე**



კახა ცხადაძის ინტერმა პოლონია დაამარცხა

# ვოლგა და ქართველები ისევ დავობენ

რუსეთის საფეხბურთო კავშირის მოთამაშეთა სტატუსის კომიტეტში მორიგი სხდომა გაიმართა. ორგანიზაციის პრესსამსახურის ცნობით, ამჯერად მოთამაშეთა და კლუბების მორიგი დავები განიხილეს.

ერთ-ერთი ქართველი მოთამაშეების საკითხი გახლდათ. როგორც მოგეხსენებათ, 2011 წელს ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგამ" ქართველი ფეხბურთელები დაითხოვა, ხელფასების გადახდა შეუწყვიტა და არც პრემიების (დავალიანება ჰქონდა) ჩარიცხვას აპირებდა.

მიუხედავად ხელშეკრულების ცალმხრივად გაწყვეტისა, რუსეთის პრემიერლიგის კლუბი პარადოქსულ მოთხოვნებს აყენებდა, რომ ქართველებს უნდა წარედგინათ საბუთები, თანხა რაში დახარჯეს.

მთელი წელიწადნახევარია, რაც ეს საკითხი განიხილება, მაგრამ საშველი ვერა და ვერ დაადგა. არადა, პატარა თანხაზე არ არის ლაპარაკი – 200-დან 300 ათას დოლარზე, შესაძლოა, მეტზეც.

აი, რა გადაწყდა რუსეთის საფეხბურთო კავშირის მოთამაშეთა სტატუსის კომიტეტის სხდომაზე:

– შეიცვალოს ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგასა" და მისი ყოფილ ფეხბურთელებთან (**ლაშა სალუქვაძე, გოგიტა გოგუა, ედიკ საჯაიას**) დაკავშირებით დავების პალატის მიღებული გადაწყვეტილება. მასალები გადაიგზავნოს ხელახალი განხილვისთვის.

- შეიცვალოს ნიჟნი ნოვგოროდში „ვოლგას" წინააღმდეგ **გოჩა ხოჯავას** შეტანილ სარჩელთან მიღებული გადაწყვეტილება.

როდის განიხილება საკითხი და რა გადაწყვეტილებას მიიღებს რუსეთის საფეხბურთო კავშირი, ჯერ უცნობია.

**მერაბ მამუალაშვილი**

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXIII ტური

# პარიზელთა შთამბეჭდავი გამარჯვება

**ტულუზი-პსჟ** 0:4
**გოლები:** 0:1 პასტორე (4), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (36), 0:3 სახო (70), 0:4 ვან დერ ვილი (73).

**ლორიანი-რენი** 2:2
**გოლები:** 1:0 ჟუფრე (31), 1:1 ერდინჩი (56), 2:1 ალიადიერი (80), 2:2 ნგანდო (90).

**სოშო-სტ. ეტიენი** 1:2
**გოლები:** 0:1 ობამეიანი (23), 1:1 ბუტენი (72), 1:2 ლემუანი (77).

**ბორდო-ვალანსიენი** 2:0
**გოლები:** 1:0 ბელიონი (33), 2:0 ობრანიაკი (71).

**ლილი-ტრუა** 1:1
**გოლები:** 0:1 კამიუ (30), 1:1 ორიგი (75).

**ბრესტი-ნიცა** 0:2
**გოლები:** 0:1 პეიჩინოვიჩი (13), 0:2 ფერაჯი (46-საკ. კარში).

**ბასტია-ევიანი** 0:0

**აიაჩო-ლიონი** 3:1
**გოლები:** 0:1 ლაკაზეტი (53), 1:1 ბელგაზუანი (57), 2:1 მუტუ (65), 3:1 მუტუ (90-პენ).

**მონპელიე-რეიმსი** 3:1
**გოლები:** 0:1 კურტე (33), 1:1 ს. კამარა (49), 2:1 ესტრადა (65), 3:1 ბელჰანდა (71).

**მარსელი-ნანსი** 0:1
**გოლები:** 0:1 ა. აიუ (73-საკ. კარი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 23 | 14 | 6 | 3 | 42-12 | 48 |
| 2. ლიონი | 23 | 13 | 6 | 4 | 38-21 | 45 |
| 3. მარსელი | 23 | 13 | 3 | 7 | 30-28 | 42 |
| 4. ბორდო | 23 | 9 | 11 | 3 | 26-15 | 38 |
| 5. ნიცა | 23 | 10 | 8 | 5 | 35-27 | 38 |
| 6. სტ. ეტიენი | 23 | 10 | 7 | 6 | 32-17 | 37 |
| 7. რენი | 23 | 11 | 4 | 8 | 35-30 | 37 |
| 8. მონპელიე | 23 | 10 | 5 | 8 | 38-28 | 35 |
| 9. ლორიანი | 23 | 9 | 8 | 6 | 38-37 | 35 |
| 10. ლილი | 23 | 7 | 10 | 6 | 27-24 | 31 |
| 11. ტულუზა | 23 | 8 | 7 | 8 | 30-28 | 31 |
| 12. ვალანსიენი | 23 | 8 | 6 | 9 | 32-34 | 30 |
| 13. ბასტია | 23 | 7 | 5 | 11 | 28-47 | 26 |
| 14. აიაჩო | 23 | 6 | 9 | 8 | 26-32 | 25 |
| 15. ბრესტი | 23 | 7 | 3 | 13 | 23-33 | 24 |
| 16. ევიანი | 23 | 5 | 7 | 11 | 23-35 | 22 |
| 17. სოშო | 23 | 6 | 4 | 13 | 22-34 | 22 |
| 18. რეიმსი | 23 | 4 | 8 | 11 | 19-27 | 20 |
| 19. ნანსი | 23 | 3 | 9 | 11 | 21-38 | 18 |
| 20. ტრუა | 23 | 3 | 8 | 12 | 26-44 | 17 |

შენიშვნა: "აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 20 - იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 10 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 9 – ალესანდრინი (რენი), ალიადიერი (ლორიანი), ბენ ბასატი (ბრესტი/ტულუზი), ბენ იედერი (ტულუზი), მოდესტი (ბასტია).



ლუკას მოურამ ორი საგოლე პასი გააკეთა

23-ე ტური, ტრადიციულად, პარასკევს დაიწყო. ჩემპიონატის ლიდერი სტუმრად ტულუზში ჩავიდა და მასპინძელი მიწასთან გაასწორა. პარიზელთა განაცხადში არ იყო **დევიდ ბექჰემი**, სამაგიეროდ ძირითადში გახლდათ **ლუკას მოურა**, რომელმაც ორი საგოლე პასი გააკეთა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. ანგარიში მე-4 წუთზე **ხავიერ პასტორემ ესეკილ ლავეცის** გადაცემის შემდეგ გახსნა. ამის შემდეგ ჩემპიონატში თავისი მე-20 გოლი **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** სწორედ ლუკასის პასით გაიტანა. მეორე ტაიმში "პარი სენ-ჟერმენმა", **ალი აჰამადას** კარი კიდევ ორჯერ აილო – თავი მცველებმა, **მამადუ სახომ** და **გრეგორი ვან დერ ვილმა** გამოიჩინეს. საბოლოოდ, 0:4 და **კარლო ანჩელოტის** გუნდმა ლიდერობა შეინარჩუნა.

იტალიელი სპეციალისტი საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა: *"ვფიქრობ, 2013 წელს საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ. ამ შეხვედრაში ზუსტად ისე ვუტევდით, როგორც ზამთრის შესვენებამდე. ბურთს კარგად ვაკონტროლებდით და რაც მთავარია, სწრაფად ვმოქმედებდით. "ტულუზი" ძალიან კარგი გუნდია, უბრალოდ პასტორეს ნაადრევმა გოლმა მათზე ძალიან ცუდად იმოქმედა. აუცილებლად უნდა გამოვარჩიო ლუკასი, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა".*

აღსანიშნავია, რომ პსჟ-მა, ლიგა 1-ში "ტულუზს" ზედიზედ მეშვიდედ მოუგო, გარდა ამისა, ამ გუნდებმა, ცოტა ხნის წინ თასზეც ითამაშეს და გამარჯვება იმ შეხვედრაშიც პსჟ-ს დარჩა.

ჩემპიონატში ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა "სენტ ეტიენმა", რომელმაც ჩავარდნა დაძლია და სატურნირო მდგომარეობა გამოისწორა. "სოშომ" მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მაინც დამარცხდა. სტუმართა რიგებში ისევ გამოირჩა **პიერ-ემერიკ ობამეიანი**, რომელმაც წინა ტურის მსგავსად, ამჯერადაც გაიტანა.

ტურის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია ლილში დაფიქსირდა, სადაც მასპინძელმა, მე-19 ადგილზე მყოფ "ტრუას" ვერ მოუგო. სტუმართა მხრიდან მორიგი გოლი გაიტანა **ფაბიენ კამიუმ** – გენიალური მწერლის ტუნისელ მოგვარეს უკვე 6 გოლი აქვს გატანილი და ამ მაჩვენებლით, **ბენჟამინ ნივეს** შემდეგ, გუნდის ბომბარდირებში მეორე ადგილზეა, არადა ნივეც და კამიუც ნახევარმცველები არიან.

"ძაღლები" მარცხისგან **დივოკ ორიგიმ** იხსნა, რომელიც "დიდების" ფეხბურთში კარიერაში პირველ შეხვედრას ატარებდა. ბელგიის 19-წლამდელთა ნაკრების 17 წლის წევრი, რომელიც კენიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის **მაიკ ორიგის** შვილი გახლავთ, მოედანზე 69-ე წუთზე გამოჩნდა და ზუსტად 6 წუთში პირველი გოლიც გაიტანა.

ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა "ბორდომ", რომელსაც **ლუდოვიკ ობრანიაკის** დაბრუნება დაეტყო. პოლონეთის ნაკრების წევრმა, "ვალანსიენს" მეორე გოლი გაუტანა, ანგარიში კი **დავიდ ბელიონმა** გახსნა, ვისთვისაც ეს გოლი ამ სეზონში პირველ იყო. **გიომ ჟილის** გუნდი მეოთხე ადგილზეა და ევროპა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. მეხუთეზეა "ნიცა", რომელმაც წინა ტურში "ბორდოსთან" წაგების შემდეგ ხასიათი გამოიკეთა და სტუმრად "ბრესტს" სძლია. წინა შეხვედრის მსგავსად, ისევ ვერ გაიტანა **დარიო ცვიტანიჩმა**, მაგრამ ამჯერად ამის მიზეზი ტრავმა გახდა – არგენტინელი დაშავდა და მე-12 წუთზე შესაცვლელი გახდა.

კვირას სენსაციური შედეგი დაფიქსირდა კორსიკაზე, სადაც "ლიონმა" "აიაჩოსთან" წააგო. სტუმრებს ტრავმების გამო **ლისანდრო ლოპესი** და **ჯიმი ბრიანი** არ ჰყავდათ, მასპინძლების რიგებში კი აფრიკის თასიდან დაბრუნებული **ბელგაზუანი** და გუნდის ახალწვეულები: **მატიო შალმე** და **დენის ოლიეჩი** გამოჩნდნენ. **ლაკაზეტის** გოლის შემდეგ წონასწორობა სწორედ ბელგაზუანმა აღადგინა, ამის შემდეგ კი **ადრიან მუტუს** ჯერი დადგა – ვეტერანმა რუმინელმა დუბლი გაიფორმა და გოლების რაოდენობა 7-მდე გაზარდა. ამ შეხვედრის შემდეგ, პსჟ უახლოეს მდევარს უკვე სამი ქულით უსწრებს.

ტატო ბაციკაძე

**ვაალვაიკი-ჰერენვენი** 0:1
**გოლი:** 0:1 ჯურიჩიჩი (85-პენ).

**ალკმაარი-გრონინგენი** 0:1
**გოლი:** 0:1 კირმი (27).

**როდა-ჰერაკლესი** 3:3
**გოლები:** 1:0 მალკი (1), 1:1 ვეინოვიჩი (15), 1:2 გურიე (41), 1:3 ვუიჩევიჩი (46), 2:3 დანილო პერეირა (57), 3:3 დორდა (90-საკ. კარში).

**ბრედა-ზვოლე** 3:0
**გოლები:** 1:0 ბუისი (40-პენ), 2:0 გუდელი (46), 3:0 ჰადუირი (68).

**პსვ-დენ ჰააგი** 7:0
**გოლები:** 1:0 ვაინალდუმი (9), 2:0 სუპუსეპა (57-საკ. კარში), 3:0 მერტენსი (64), 4:0 ლენსი (66), 5:0 ლოკადია (80), 6:0 მერტენსი (85), 7:0 ვაინალდუმი (90).

**ნაიმეგენი-ვიტესი** 2:1
**გოლები:** 1:0 ამოი (38), 1:1 ჰავენაარი (51), 2:1 ბოიმანსი (74).

**ვენლო-აიაქსი** 0:3
**გოლები:** 0:1 ს. დე იონგი (34), 0:2 ფიშერი (61), 0:3 ბურიხტერი (82).

**ტვენტე-უტრეხტი** 2:4
**გოლები:** 0:1 ტოორნსტრა (32), 0:2 მულენგა (45-პენ), 1:2 ტადიჩი (56), 1:3 ბულტჰუისი (66), 2:3 ტადიჩი (73-პენ), 2:4 ვან დერ ჰოორნი (74).

**ვილემ II-ფეიენოორდი** 1:3
**გოლები:** 0:1 პელე (10), 1:1 მისიჯანი (38-პენ), 1:2 ვილენა (49), 1:3 ვილენა (58).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 21 | 15 | 1 | 5 | 73-22 | 46 |
| 2. აიაქსი | 21 | 12 | 7 | 2 | 50-23 | 43 |
| 3. ტვენტე | 21 | 12 | 6 | 3 | 37-18 | 42 |
| 4. ფეიენოორდი | 21 | 12 | 5 | 4 | 40-27 | 41 |
| 5. უტრეხტი | 21 | 11 | 6 | 4 | 33-22 | 39 |
| 6. ვიტესი | 21 | 11 | 5 | 5 | 39-26 | 38 |
| 7. ნაიმეგენი | 21 | 8 | 6 | 7 | 28-34 | 30 |
| 8. დან ჰააგი | 21 | 5 | 10 | 6 | 33-39 | 25 |
| 9. ჰერაკლესი | 21 | 5 | 9 | 7 | 40-43 | 24 |
| 10. ალკმაარი | 21 | 6 | 6 | 9 | 31-35 | 24 |
| 11. ვაალვაიკი | 21 | 5 | 8 | 8 | 24-27 | 23 |
| 12. გრონინგენი | 21 | 6 | 5 | 10 | 20-32 | 23 |
| 13. ბრედა | 21 | 6 | 5 | 10 | 23-37 | 23 |
| 14. ჰერენვენი | 21 | 5 | 7 | 9 | 29-40 | 22 |
| 15. როდა | 21 | 4 | 8 | 9 | 29-42 | 20 |
| 16. ზვოლე | 21 | 4 | 7 | 10 | 21-34 | 19 |
| 17. ვენლო | 21 | 3 | 6 | 12 | 23-46 | 15 |
| 18. ვილემ II | 21 | 2 | 7 | 12 | 19-45 | 13 |

**ბომბარდირები:** 16 – ბონი (ვიტესი); 15 – ფინბოგასონი (ჰერენვენი), ალტიდორი (ალკმაარი); 14 – პელე (ფეიენოორდი); 11 – ვაინალდუმი (პსვ ეინდჰოვენი); 10 – იმერსი (ფეიენოორდი), მალკი (როდა), მერტენსი (პსვ ეინდჰოვენი), მატავუი (პსვ ეინდჰოვენი).

ტატო ბაციკაძე



● იტალია. სერია A. XXIII ტური

# სუპერმარიო დუბლით ინცყებს

## ზემანის გზა რომში აღარ მიდის

**იმის გამო, რომ იტალიის სარაგბო ნაკრებს კვირას 6 ერის გათამაშების ფორმატში საფრანგეთთან უწევდა საშინაო პაექრობა "ოლიმპიკოზე", "რომამ" "კალიარის" პარასკევს უმასპინძლა. რომაული შეხვედრა ფატალური გამოდგა ზდენეკ ზემანისთვის და სწორედ ამ მატჩით დავიწყოთ.**

### ზემანი სახლში

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, რომ "კალიარისთან" წაფორხილების შემთხვევაში, **ზდენეკ ზემანს** პოსტის დატოვება მოუწევდა და ასეც მოხდა. ჩეხი სპეციალისტი უკვე გათავისუფლებულია "რომას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან, მის ადგილს კი დროებით გუნდის სამწვრთნელო შტაბის ერთ-ერთი წარმომადგენელი: **აურელიო ანდრეაცოლი** იკავებს.

"რომამ" ტერიტორიული უპირატესობით წარმართა "კალიარისთან" შეხვედრა და მომენტებიც თითქოს მეტი შექმნა, მაგრამ მთლიანობაში, გაცილებით უკეთესი, უფრო მაღალი ხარისხის ფეხბურთი სწორედაც რომ სარდინიელებმა ითამაშეს. მატჩი ახალი დაწყებული იყო, როდესაც **რაჯა ნაინგოლანმა** უძლიერესი დარტყმით სტუმრები წინ გაიყვანა. ტაიმის შუაწელს **ფრანჩესკო ტოტიმ** საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში და თითქოს, "რომამ" სათავისოდ შეატრიალა მატჩის ბედი. თუმცა, მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როდესაც მასპინძელთა მეკარემ მძიმე შეცდომა დაუშვა და ბურთი საკუთარ კარში შეაგდო. დიახ, **მაურო გოიკოეჩეა** ჩაკიდებულ ბურთზე გავიდა, ჰაერიდან ჩამოხსნა და ბადეში შეაგორა. სიმბოლურია, რომ ზემანის ბოლო "რომაული" მატჩის მთავარი ანტიგმირი სწორედ ის მოთამაშე გახლავთ, რომელიც ჩეხმა ამოიჩემა და მის გამო **მაარტენ სტეკელენბურგს** თავი თადარიგში უკრა.

ფრთაშესხმულმა სარდინიელებმა დედაქალაქელებს კიდევ ორი გოლი გაუტანეს და ანგარიში გამანადგურებელი გახადეს – ამ ყველაფრის ფონზე, ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ, **მარკინიოს** გაქვითული ერთი ბურთი მასპინძელთათვის ვერაფერი ნუგეში გახლდათ. მატჩის დასრულებიდან რამდენიმე საათში, "რომას" ოფიციალურ ვებგვერდზე შემდეგი განცხადება გავრცელდა:

*"დღეიდან, ზდენეკ ზემანი გათავისუფლებულია "რომას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. მადლობას ვუხდით როგორც პირადად ზემანს, ასევე მისი სამწვრთნელო შტაბის თითოეულ წევრს პროფესიულად შესრულებული სამუშაოსთვის. სენიორ ზდენეკს წარმატებებს ვუსურვებთ, მის ადგილს კი დროებით აურელიო ანდრეაცოლი დაიკავებს".*

### ერთი ამოსუნთქვით

"ნაპოლიმ" განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაამარცხა "კატანია" და მნიშვნელოვანი ქულები ჩაიწერა აქტივში. **ვალტერ მაცარიმ** ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავა და დაცვა სამ მცველზე დატოვა. უკანა ხაზში არსებული პრობლემები კი მარტივად გადაჭრა, დააყენა რა ძირითად შემადგენლობაში ტრადიციულად ღრმა თადარიგისთვის განწირული **ჯუზეპე გრავა**. მოკლედ, სენიორ ვალტერმა გარისკა და ამ რისკმა გაუმართლა. "ლაციოს" კიდევ ერთი წაფორხილების ფონზე, "ნაპოლი" "იუვეს" ერთადერთ კონკურენტად მოჩანს – ანუ, სკუდეტოსთვის ორი გუნდი იბრძვის.

თამაში ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა, მაგრამ მთელი თამაშის განმავლობაში იგრძნობოდა მასპინძელთა მაღალი კლასი და სათამაშო უპირატესობა. გოლების აღწერას აღარ მოვყვებით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ნეაპოლელებს მეტის გატანაც შეეძლოთ. დარჩა შთაბეჭდილება, რომ "ნაპოლიმ" ძალების დაზოგვით მოიგო და მაცარის მატჩის შემდგომი სიტყვები ამის დადასტურებაა:

*"კმაყოფილი ვარ შეგირდთა თამაშით, რადგან სამი ქულა სრულიად დამსახურებულად მოვიპოვეთ. ამასთან, დავხარჯეთ ზუსტად იმდენივე ენერგია, რამდენიც ამ მნიშვნელოვანი გამარჯვებისთვის გვჭირდებოდა. სწორედ ასე უნდა ირჯებოდეს საჩემპიონოდ შემართული გუნდი და იმედია, ასევე გავაგრძელებთ. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი გოლი პაოლო კანავარომ გაიტანა – ის ნამდვილი კაპიტანი და ლიდერია. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რამხელა ძალაა ჩვენთვის პაოლო და რაოდენ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით მისი დისკვალიფიკაციის დროს. საბედნიეროდ, ეს საკითხი დადებითად გადაწყდა".*

### სტატუს-კვო ნაპოლისთან

"იუვენტუსი" ვერონაში ჩავიდა და იქაური "კიევო" დაამარცხა. ეს მოგება ტურინელთათვის ძალზედ მნიშვნელოვანი გახლდათ და ამაზე სტუმართა რეაქციებიც ნათლად მოწმობდა. მაგალითად, **ჯანლუიჯი ბუფონმა** იმდენად ემოციურად აღნიშნა მისი გუნდის ორივე გოლი, რომ ასეთი გადარეული მხოლოდ დიდ საფეხბურთო ფორუმებზე თუ გვინახავს. გოლები კი ტურინელებმა ერთობ ეფექტური გაიტანეს, რომლებზეც ნამდვილად ღირს ორიოდე სიტყვის თქმა:

მატჩის მე-10 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **არტურო ვიდალმა** საჯარიმოში შეჭრილ **ალესანდრო მატრის** დიდებულად ჩააწოდა ბურთი და ამ უკანასკნელმაც ერთი შეხებით გადაგზავნა მეტოქის კარის ბადეში. მეორე გოლი ტურინელებმა ერთი ამოსუნთქვით გაიტანეს და ამჯერად უკვე სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს – მატრიმ **სებასტიან ჯოვინკო** მონახა, რომელმაც თავის მხრივ **შტეფან ლიხტშტაინერი** გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, დარტყმა კი აულებელი გამოდგა. ვერონელებმა მეორე ნახევრის სტარტზე იხეირეს და მატჩში ინტრიგა დააბრუნეს, თუმცა მეტის გაკეთება უკვე ველარ შეძლეს. "იუვემ" დაამარცხა მეტოქე და "ნაპოლისთან" 3-ქულიანი ინტერვალი შეინარჩუნა.




კვირა საღამოს მარიო ბალოტელის დუბლმა მილანს 3 ქულა მოუტანა

### ინტერის მორიგი მარცხი

"სიენას" 6 ქულა რომ არ ჰქონდეს დაკლებული, მთლად ბოლო ადგილზე არ იქნებოდა, მაგრამ ერთ-ერთ აუტსაიდერობას ნამდვილად ვერ გაცდებოდა. აი, ამ აუტსაიდერს "ინტერი" ესტუმრა და მორიგი მარცხი იწვნია. მატჩის წინ **მასიმო მორატიმ** კმაყოფილება გამოხატა მისი გუნდის გაძლიერებით სატრანსფერო ბაზარზე და იქვე დაამატა, იმედია ახალწვეულებს უახლოეს შეხვედრაშივე ვიხილავო. იხილა კიდეც, ვიხილეთ ჩვენც, მაგრამ "ინტერს" ამით ბევრი არაფერი მოუგია – პირიქით, დამარცხდა და კიდევ უფრო გაირთულა მდგომარეობა.

მომენტების და გოლების აღწერას აღარ მოვყვებით, რადგან ეს უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია. "ინტერი" კრიზისშია, მაგრამ შეუძლია კი **ანდრეა სტრამაჩონის** გუნდს მეტი? – საკითხავი აი, ეს არის.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

**მომდევნო ტური**

**9 თებერვალი:** იუვენტუსი-ფიორენტინა, ლაციო-ნაპოლი.

**2 თებერვალი:** პარმა-ჯენოა, ატალანტა-კატანია, კალიარი-მილანი, პალერმო-პესკარა, სამპდორია-რომა, ბოლონია-სიენა, უდინეზე-ტორინო, ინტერი-კიევო.

**რომა-კალიარი 2:4**

**გოლები:** 0:1 ნაინგოლანი (4), 1:1 ტოტი (35), 1:2 გოიკოეჩეა (47-საკ. კარში), 1:3 საუ (53), 1:4 პიზანო (71), 2:4 მარკინიო (90).

**რომა (4-3-3):** გოიკოეჩეა – პირისი, ბურდისო, მარკინიოსი, დოდო – ბრედლი, პანაიოტისი (60. დე როსი), ფლორენცი (60. მარკინიო) – ლამელა, ოსვალდო, ტოტი.

**კალიარი (4-3-3):** აგაცი – პიზანო, როსეტინი (77. პერიკო), ასტორი, აველარი – ეკდალი, კონტი (80. კაზარინი), ნაინგოლანი – რიბეირო (88. კოსუ), იბარბო, საუ.

**გაფრთხილება:** პანაიოტისი, ლამელა – აველარი, ნაინგოლანი.

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 15-10; **თამაშგარე:** 2-8; **კარში დარტყმა:** 18-10(8-4); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 32 000

**ტორინო-სამპდორია 0:0**

**ტორინო (4-4-2):** ჟილე – დამბროზიო, გლიკი, როდრიგესი, მაზიელო – ბრიგი, გაცი, სანტანა (85. ბირსა), მეჯორინი (64. ბიანკი) – ჩერჩი, ბარეტო (88. ჯონატასი).

**სამპდორია (3-5-2):** რომერო – გასტალდელო, პალომბო, კოსტა - დე სილვესტრი, კრსტიჩიჩი, მუნარი, პოლი, ესტიგარიბია (80. პოულსენი) – ედერი (72. სორიანო), იკარდი.

**გაფრთხილება:** გაცი – დე სილვესტრი.

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 7-3(2-0); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 14 000

**ნაპოლი-კატანია 2:0**

**გოლები:** 1:0 ჰამშიკი (31), 2:0 კანავარო (44).

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი – გამბერინი, კანავარო, გრავა – მესტო, ჯემაილი, ბერამი (63. ინლერი), ცუნიგა (84. არმერო) – ჰამშიკი (77. ინსინიე) – პანდევი, კავანი.

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – ბელუში, როლინი, სპოლი, კაპუანო - ისკო, ბიაჯანტი (72. ალმირონი), ლოდი – ბარიენტოსი, ბერგესიო, გომესი.

**გაფრთხილება:** გრავა, ბერამი, ჯემაილი - სპოლი.

**კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 8-9(3-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 40 000

**კიევო-იუვენტუსი 1:2**

**გოლები:** 0:1 მატრი (10), 0:2 ლიხტშტაინერი (42), 1:2 თერეუ (52).

**კიევო (5-3-2):** პუჯონი – სამპირიზი (46. სეიმური), დაინელი, ანდრეოლი, ცეზარი (46. აჩერბი), იოკიჩი - ლ. რიგონი, კოფიე (73. პელისიერი), ჰეტემაი – თერეუ, პალოსკი.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – მარონე, ბარცალი, კასერესი – ლიხტშტაინერი (78. პადოინი), პოგბა, ვიდალი, პირლო, დე ჩელიე – ჯოვინკო (58. კვალიარელა), მატრი (88. ისლა).

**გაფრთხილება:** ცეზარი, კოფიე – დე ჩელიე.

**კუთხური:** 0-4; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 0-7; **კარში დარტყმა:** 6-13(3-6); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 10 000

**ფიორენტინა-პარმა 2:0**

**გოლები:** 1:0 ტონი (27), 2:0 იოვეტიჩი (50).

**ფიორენტინა (3-5-2):** ვივიანო – რონკალია, გონსალო, სავიჩი – კუადრადო, პისარო, მილიაჩო, ბორხა ვალერო (87. ლამა), პასკუალი – იოვეტიჩი (71. ელ ჰამდაუი), ტონი (79. ლარონდო).

**პარმა (4-3-3):** მირანტე – როზი (57. კოდა), ლუკარელი, პალეტა, გობი - მარკიონი, ვალდესი (67. მარიგა), პაროლო - ბიაბიანი, სანსონე, ბელფოდილი (57. ამაური).

**გაფრთხილება:** მილიაჩო – როზი, მარკიონი, სანსონე.

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 12-8; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 10-9(7-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 23 000

**ჯენოა-ლაციო 3:2**

**გოლები:** 1:0 ბორიელო (16), 2:0 ბერტოლაჩი (21), 2:1 ფლოკარი (58), 2:2 მაური (82-პენ.), 3:2 მ. რიგონი (90).

**ჯენოა (3-5-1-1):** ფრეი – გრანკვისტი, მანფრედინი, პორტანოვა – კასანი (25. ფერონეტი), კუჩკა, მათუზალემი, როსი (68. მ. რიგონი), მორეტი – ბერტოლაჩი (73. ოლივერა) - ბორიელო.

**ლაციო (3-5-2):** მარკეტი – სიანი, ცანა, რადუ – კონკო, გონსალესი, ლედესმა (64. ბროკი – 71. პერეირინია), მაური, ლულიჩი – ფლოკარი, კლოზე (46. კოზაკი).

**გაფრთხილება:** მანფრედინი, მათუსალემი, მორეტი – სიანი, ლულიჩი.

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 18-21; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 6-7(4-4); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 20 000

**პალერმო-ატალანტა 1:2**

**გოლები:** 0:1 კარმონა (54), 0:2 დენისი (71), 1:2 ნელსონი (83).

**პალერმო (3-4-2-1):** სორენტინო – დონატი, მუნიოსი, გარსია – ნელსონი, ბარეტო, ფაურლინი, დოსენა (57. დიბალა) – ილიჩიჩი (78. მალელე), ფაბრინი (69. ფორმიკა) - ბოსელი.

**ატალანტა (4-3-1-2):** კონსილი – სკალონი (56. რაიმონდი), სტენდარდო, კანინი, დელ გროსო – რადოვანოვიჩი (65. კაცოლა), ბიონდინი, კარმონა – ბონავენტურა, ჯორჯი – პარა (53. დენისი).

**გაფრთხილება:** ფორმიკა – სკალონი, რადოვანოვიჩი, კაცოლა.

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13-8(6-5); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 17 000

**პესკარა-ბოლონია 2:3**

**გოლები:** 1:0 ვეისი (30-პენ.), 1:1 დიამანტი (34-პენ.), 2:1 დაგოსტინო (44-პენ.), 2:2 ჯილარდინო (50), 2:3 კონე (67).

**პესკარა (4-3-1-2):** პერინი – ძანონი, კოსიჩი, არჩე, მოდესტო – რიცო, დაგოსტინო (71. ბარნასონი), კაშონე (79. აბრუსკატო) – ვეისი – ვუკუსიჩი (71. სელიკი), სფორცინი.

**ბოლონია (3-4-2-1):** კურჩი – კერუბინი, სორენსენი, ანტონსონი – მოტა (77. გარიჩი), პერესი, ტაიდერი, მორლეო – დიამანტი (79. მოსკარდელი), კონე – ჯილარდინო (87. პასკუატო).

**გაფრთხილება:** დაგოსტინო, კაშონე, სფორცინი - პასკუატო.

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 18-25; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 6-16(2-6); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 13 000

**სიენა-ინტერი 3:1**

**გოლები:** 1:0 ემეგარა (21), 1:1 კასანო (22), 2:1 სესტუ (25), 3:1 როზინა (56-პენ.).

**სიენა (3-4-2-1):** პეგოლო – ბელმონტე, პაჩი, ფელიპე – ანჯელო, დელა როკა, რუბინი, ვერგასოლა – სესტუ (79. ბოლცონი), როზინა (69. ვალიანი) – ემეგარა (82. ბოგდანი).

**მაყურებელი:** 22 257

### ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი 2:1

**გოლები:** 0:1 მ. კრუსე (4), 1:1 ვოლანდი (10), 2:1 ვოლანდი (27)

**ჰოფენჰაიმი (4-2-2-1-1):** გომეში - ბეკი, აბრაამი, დელპიერი, ჯონსონი - ვაისი (75. ვილიამსი), პოლანსკი - რობერტო ფირმინიო (83. ოხსი), უსამი - ვოლანდი - დე კამარგო (70. დერდიოკი).

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - ჰედენსტადი, კრმასი, დიანიე, ზორგი - შუსტერი, ფლუმი - შმიდი (76. მაკიადი), დ. კალიჯური - როზენტალი (83. იენდრიშეკი), მ. კრუსე.

**გაფრთხილება:** ბეკი, პოლანსკი, რობერტო ფირმინიო - ჰედენსტადი, შუსტერი

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 23-15; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 9(3)-9(5); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 24 000

### მაინცი-ბაიერნი 0:3

**გოლები:** 0:1 თ. მიულერი (41), 0:2 მანჯუკიჩი (50), 0:3 მანჯუკიჩი (57)

**მაინცი (4-4-1-1):** ვეტკლო - პოსპეხი, კირხჰოფი, ნოვესკი, ზაბავნიკი - ნ. მიულერი, ბაუმგარტლინგერი, სოტო (62. ზიმლინგი), მალი (46. რისე) - ივანშიტცი - შ. პარკერი (84. მ. კალიჯური).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, კროოსი (82. ლუის გუსტავო), რიბერი (76. რობენი) - მანჯუკიჩი (76. გომესი).

**გაფრთხილება:** ზაბავნიკი, ნ. მიულერი, რისსე

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 15-10; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 10(0)-10(6); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 34 000

### ფორტუნა-შტუტგარტი 3:1

**გოლები:** 1:0 კრუსი (10), 2:0 კრუსი (37), 2:1 გენტნერი (60), 3:1 ო. ფინკი (76)

**ფორტუნა (4-2-2-1-1):** გიფერი - ბალოგუნი, ლატკა, მალეზასი, ვან დერ ბერგი - ბოძეკი, ტეშე - კრუსი (90. ბელინგჰაუზენი), ლამბერტცი - ილსიო (67. ო. ფინკი) - რაიზინგერი (80. დ. შაპინი).

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - გ. საკაი, ტასკი, ფელიპე, მოლინარო - კვისტი, გენტნერი - ჰოლცჰოიზერი (46. მაკედა), ჰაინალი (46. ტრაორე), თორუნი (71. ოკაზაკი) - იბიშევიჩი.

**გაფრთხილება:** მალეზასი, კრუსი - გ. საკაი, კვისტი, ფელიპე

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 12(5)-7(4); **ბურთის ფლობა:** 29%-71%.

**მაყურებელი:** 44 153

### ჰამბურგი-აინტრახტი 0:2

**გოლები:** 0:1 ლაკიჩი (22), 0:2 ლაკიჩი (36)

**ჰამბურგი (4-1-2-1-2):** ადლერი - დიკმაიერი, ბრუმა, ვესტერმანი, იანსენი - ბადელი (46. ბაისტერი) - არსლანი (46. რინკონი), აოგო (78. ბერგი) - ვან დერ ვაარტი - რუდნევსი, სონი.

**აინტრახტი (4-2-2-1-1):** ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, ანდერსონი, ოჩიპკა - შვეგლერი, როდე - აიგნერი (90. ჩელოცი), ინუი (87. რუსი) - მაიერი - ლაკიჩი (83. მატმური).

**გაფრთხილება:** ბადელი, რუდნევსი, ბრუმა - მატმური

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 19-11; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 23(10)-16(5); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 52 523

### ნიურნბერგი-ბორუსია (მ) 2:1

**გოლები:** 1:0 სიმონსი (4-პენ), 2:0 პეკჰარტი (30), 2:1 ჰერმანი (58)

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რ. შეფერი – ჩენდლერი, ნილსონი, კლოზე, პინოლა – სიმონსი – კიოტაკე, ფოილნერი, ბალიჩი (92. დაბანლი), ფრანტცი (75. მაკი) – პეკჰარტი (68. პოლტერი).

**ბორუსია /მ/ (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანჩკე, ბრუვერსი, ალვარო დომინგესი, ვენდტი – რუპი (60. მლაპა/80. ჰანკე), მარქსი (78. რინგი) – ჩიგერჩი, არანგო – ჰერმანი, ლ. დე იონგი.

**გაფრთხილება:** პინოლა, მაკი – ვენდტი, იანჩკე, ჰერმანი

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 24-20; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 10(5)-12(6); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 37 793

### ლევერკუზენი-ბორუსია (დ) 2:3

**გოლები:** 0:1 როისი (3), 0:2 ბლაშჩიკოვსკი (9-პენ), 1:2 რაინარტცი (58), 2:2 რაინარტცი (62), 2:3 ლევანდოვსკი (63)

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო – კარვახალი, ვოლშაიდი, ტოპრაკი, ბიონიში – რაინარტცი (86. ...ლიკი) – ლ. ბენდერი, როლფესი (46. სემი) – კასტრო (78. ჰეგელერი), შიურლე – კისლინგი.

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ლანგერაკი – პიშჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი, გიუნდოგანი (93. შიბერი) – ბლაშჩიკოვსკი (80. გროსკროიტცი), გიოტცე (90. კელი), როისი – ლევანდოვსკი.

*70-ე წუთზე ბლაშჩიკოვსკიმ (ბორუსია /დ/) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გაფრთხილება: ლენო, კარვახალი, ბიონიში, ტოპრაკი - ლანგერაკი

**კუთხური:** 12-4; **ჯარიმა:** 21-16; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 27(8)-12(7); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 30 210

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 20 | 16 | 3 | 1 | 51-7 | 51 |
| 2. ბორუსია (დ) | 20 | 11 | 6 | 3 | 46-22 | 39 |
| 3. ლევერკუზენი | 20 | 11 | 4 | 5 | 38-26 | 37 |
| 4. აინტრახტი | 20 | 11 | 3 | 6 | 38-31 | 36 |
| 5. მაინცი | 20 | 9 | 3 | 8 | 27-24 | 30 |
| 6. შალკე | 20 | 8 | 5 | 7 | 33-31 | 29 |
| 7. ბორუსია (მ) | 20 | 7 | 8 | 5 | 28-29 | 29 |
| 8. ფრაიბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 25-20 | 28 |
| 9. ჰამბურგი | 20 | 8 | 4 | 8 | 22-26 | 28 |
| 10. ჰანოვერი | 20 | 8 | 2 | 10 | 38-39 | 26 |
| 11. ვერდერი | 20 | 7 | 4 | 9 | 32-37 | 25 |
| 12. შტუტგარტი | 20 | 7 | 4 | 9 | 22-35 | 25 |
| 13. ფორტუნა | 20 | 6 | 6 | 8 | 26-28 | 24 |
| 14. ნიურნბერგი | 20 | 6 | 6 | 8 | 20-27 | 24 |
| 15. ვოლფსბურგი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-30 | 23 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 20 | 4 | 4 | 12 | 26-44 | 16 |
| 17. აუგსბურგი | 20 | 2 | 8 | 10 | 16-32 | 14 |
| 18. ფიურტი | 20 | 2 | 6 | 12 | 13-34 | 12 |

**ბომბარდირები:** 14 – მანჯუკიჩი (ბაიერნი); 13 – კისლინგი (ლევერკუზენი), ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/); 12 – მაიერი (აინტრახტი); 11 – თ. მიულერი (ბაიერნი), სალაი (მაინცი); 10 – იბიშევიჩი (შტუტგარტი).

## II ბუნდესლიგა. XX ტური

**უნიონი-ზანდჰაუზენი 3:1**

გოლები: 1:0 პეტერსენი (6), 2:0 მატუშკა (32-პენ), 3:0 იოზბექი (68), 3:1 შაუერტე (90)

**აალენი-ბოხუმი 2:2**

გოლები: 0:1 რჟატკოვსკი (25), 1:1 კიდიმარი (47), 1:2 გორეტცკა (51), 2:2 ლეხლაიტერი (71)

**კიოლნი-აუე 2:1**

გოლები: 1:0 მარო (4), 1:1 პეცონი (79), 2:1 კლემენსი (92)

**პადერბორნი-ბრაუნშვაიგი 1:2**

გოლები: 0:1 პეტერში (9), 0:2 დოგანი (74), 1:2 ბარტელსი (92)

**ფრანკფურტი-ინგოლშტადტი 0:2**

გოლები: 0:1 ლაპე (57), 0:2 კაიუბი (67)

**რეგენსბურგი-ჰერტა 1:5**

გოლები: 0:1 რამოსი (52), 0:2 რამოსი (56-პენ), 0:3 ვაგნერი (68), 1:3 ვაიდლიხი (78), 1:4 რონი (85), 1:5 კნოლი (90)

**დინამო-დუისბურგი 0:0**

**ზანკტ პაული-კოტბუსი 0:0**

**მიუნხენ 1860-კაიზერსლაუტ.** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაუნშვაიგი | 20 | 14 | 5 | 1 | 37-16 | 47 |
| 2. ჰერტა | 20 | 13 | 6 | 1 | 41-16 | 45 |
| 3. კაიზერსლაუტ. | 19 | 8 | 8 | 3 | 29-21 | 32 |
| 4. უნიონი | 20 | 8 | 6 | 6 | 33-28 | 30 |
| 5. კოტბუსი | 20 | 8 | 6 | 6 | 26-23 | 30 |
| 6. აალენი | 20 | 8 | 5 | 7 | 22-18 | 29 |
| 7. ინგოლშტადტი | 20 | 7 | 8 | 5 | 24-21 | 29 |
| 8. კიოლნი | 20 | 7 | 8 | 5 | 24-22 | 29 |
| 9. მიუნხენ 1860 | 19 | 6 | 9 | 4 | 21-17 | 27 |
| 10. ფრანკფურტი | 20 | 8 | 3 | 9 | 27-26 | 27 |
| 11. აუე | 20 | 6 | 5 | 9 | 28-30 | 23 |
| 12. პადერბორნი | 20 | 6 | 5 | 9 | 24-26 | 23 |
| 13. ზანკტ პაული | 20 | 5 | 8 | 7 | 18-22 | 23 |
| 14. დუისბურგი | 20 | 6 | 4 | 10 | 20-32 | 22 |
| 15. ბოხუმი | 20 | 5 | 6 | 9 | 26-35 | 21 |
| 16. დინამო | 20 | 3 | 8 | 9 | 19-29 | 17 |
| 17. ზანდჰაუზენი | 20 | 3 | 6 | 11 | 21-42 | 15 |
| 18. რეგენსბურგი | 20 | 3 | 4 | 13 | 23-39 | 13 |

**ბომბარდირები:** 12 - კუმბელა (ბრაუნშვაიგი); 11 - რონი (ჰერტა); 10 - სანოგო (კოტბუსი); 9 - იდრისუ (კაიზერსლაუტერნი).

## III ბუნდესლიგა

**დარმშტადტი-ბურგჰაუზენი 0:0, ერფურტი-ოსნაბრიუკი 2:1, შტუტ. კიკერსი-შტუტგარტი II 3:0, ბაბელსბერგი-ჰაიდენჰაიმი 2:4, პროისენ მიუნსტერი-ვეენი 0:0, ხემნიტცი-ჰანზა 2:1, ოფენბახი-ალემანია 1:1, კარლსრუე-არმინია 0:0, უნტერჰახინგი-ჰალეშერი 1:3, ზაარბრიუკენი-ბორუსია (დ) II 3:3.**

## მომდევნო ტური

**9 თებერვალი.** ბორუსია (დ)-ჰამბურგი, ბორუსია (მ)-ლევერკუზენი, შტუტგარტი-ვერდერი, ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი, ფიურტი-ვოლფსბურგი, აინტრახტი-ნიურნბერგი, ბაიერნი-შალკე.

**10 თებერვალი.** აუგსბურგი-მაინცი, ფრაიბურგი-ფორტუნა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტური

# 12 ქულა და ჯანმრთელობა

« მე-9 გვერდიდან

ლევერკუზენელებმა პირველ ტაიმში ვერაფერი მოახერხეს – ერთადერთი რეალური მომენტი **შიურლემ** ტაიმის მიწურულს გააფუჭა. მეორე ტაიმი „ბაიერმა" აქტიურად და შედეგიანად დაიწყო – საყრდენმა **შტეფან რაინარტცმა** 4 წუთში დუბლი შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა. მაგრამ ლევერკუზენელებს მისი მეორე გოლის ზეიმი ხეირიანად არც კი დაემთავრებინათ, რომ ლევანდოვსკიმ „ბორუსია" ისევ დააწინაურა (პოლონელის მე-13 გოლი). 70-ე წუთზე „კუბამ" პენალტი ველარ გამოიყენა, რის შემდეგაც „დორტმუნდმა" ემოციური მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა. ასე რომ, სამი თამაში, სამი მოგება, 9 ქულა და 11 გოლი – მეორე წრეში „დორტმუნდი" „ბაიერნს" ტოლს არ უდებს და რეკორდმასტერის კრიზისს ელოდება.

### ტურის სენსაცია: შალკეს ბასტოსმაც ვერ უშველა!

ბოლოადგილოსან „ფიურტს" ამ სეზონში აქამდე მხოლოდ ერთი მატჩი ჰქონდა მოგებული და ისიც სტუმრად, სეზონის დასაწყისში და მეორე შაბათს მოიგო, ასევე სტუმრად, ოღონდ უკვე გელზენკირხენში! შესაბამისად, ამას ერთ ჩვეულებრივ სენსაციასაც ვერ ვუწოდებთ. ფაქტია, რომ **იენს კელერი** არ არის ის მწვრთნელი, რომელმაც „შალკეს" რაღაც მაინც უნდა შეაძლებინოს და ამ სეზონში არც „შალკე" ჰგავს ისეთ გუნდს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. გელზენკირხენელებმა იანვრის მიწურულს „ლიონიდან" **მიშელ ბასტოსი** დაიმატეს, ეს უკანასკნელი შაბათს პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში მოხვდა და გოლიც გაიტანა (ანგარიში სწორედ ბრაზილიელმა გახსნა), მაგრამ ექსშალკელი **მაიკ ბიუსკენსის** შეგირდებმა წონასწორობა ძალიან მალე აღადგინეს, მერე კი, უფრო სწორად, სულ ბოლოს, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ფიურტელთა ახალმა იმედმა **ჯურჯიჩმა** ბიუსკენსის გუნდისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გოლი გაიტანა. შედეგად 1:2, რომლის პროგნოზირება მხოლოდ იმ შემთხვევის გათვალისწინებით შეიძლებოდა, რომ ბიუსკენსი ძირძველი შალკელია.

### შტუტგარტი დიუსელდორფში დაეცა, ფრაიბურგი - ჰოფენჰაიმში

ზოგადად, ეს აშკარად სუსტი გუნდების ტური იყო. თავად განსაჯეთ: მაჩანჩალა სამეულიდან ორმა მოიგო და ერთმა ფრედ ითამაშა. გაიმარჯვა დიუსელდორფის „ფორტუნამაც", რომელმაც „შტუტგარტი" გაამწარა. თანაც, ეს მას მერე მოხდა, რაც შვაბთა მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ** ბოლოს და ბოლოს ახალი კონტრაქტი გააფორმა. რაც შეეხება იმ „სამეულის" ვაჟკაცობას - „ფიურტის" არ იყოს, საკმაოდ მოულოდნელი იყო „ჰოფენჰაიმის" გამარჯვება „ფრაიბურგთან". სხვა დროს ეს შედეგი მოულოდნელად არ ჩაითვლებოდა, მაგრამ ამ სეზონში „ფრაი" ძალიან კარგი გუნდია, რომელსაც დაცვის ხაზი ჰყავს განსაკუთრებით ძლიერი, მაგრამ როგორც ჩანს, „ჰოფენჰაიმიც" დალაგდა. ყოველ შემთხვევაში, **ტიმ ვიზეს** დეგრადირება და „ტოტენჰემიდან" **ეურელიო გომეშის** ტრანსფერი „სოფლელებს" აშკარად წაადგათ. გომეშმა თავის სადებიუტო მატჩში „ჰოფეს" კარი კარგად დაიცვა. ფრაიბურგელები **მაქს კრუსეს** გოლით იგებდნენ, რაშიც გომეშს ბრალი არ მიუძღვის, მაგრამ **კევინ ვოლანდმა** თამაში „ჰოფეს" სასარგებლოდ პირველივე ტაიმში შეატრიალა. ამრიგად, ჰოფენჰაიმელებმა მე-10 ტურის შემდეგ პირველი თამაში მოიგეს და „აუგსბურგს" ისევ გადაასწრეს.

თავის მხრივ, „აუგსბურგმა" სარელეგაციო მე-16 ადგილი კი დაკარგა, მაგრამ ვოლფსბურგიდან უმნიშვნელოვანესი ქულა წაიღო. „მგლები" **ნალდოს** გოლით იგებდნენ, მაგრამ **იან მორავეკმა** წონასწორობა ორ წუთში აღადგინა და ვოლფსბურგელებმა მეორე გოლის გატანა ველარ მოახერხეს, რაც პირადად აუგსბურგელთა ვეტერანის 35 წლის მეკარე **ალექს მანინგერის** დამსახურებაა.

### ლაკიჩმა ჰამბურგი ააფეთქა

ფრანკფურტის „აინტრახტი" სენსაციურ სვლას აგრძელებს! **არმინ ფეჰ** ბიჭებმა შაბათის საღამოს მატჩში ჰამბურგში 2:0 გაიმარჯვეს და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში პოზიციები მნიშვნელოვნად გაიმყარეს. რაკი კონკურენტები „ფრაიბურგი", „მაინცი" და „შალკე" დამარცხდნენ, მეოთხეადგილოსანი „აინტრახტი" უახლოეს მდევარ „მაინცს" 6 ქულით უსწრებს. მატჩის გმირი კი ფრანკფურტელთა ახალწვეული **სრდიან ლაკიჩი** გახდა, რომელიც ფეჰ გუნდში „ვოლფსბურგიდან" ახლახან გადაბარგდა - ორივე გოლი მის ანგარიშზეა.

**გოტფრიდ ლენცი**

## აფრიკის თასი. სამხრეთ აფრიკა 2013. 1/4 ფინალი

# დროგბას სანაქრებო ტიტულის მოგება არ უწერია

### მასპინძელი ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშა

**განა–კაბო ვერდე 2:0**

**გოლები:** 1:0 ვაკასო (54-პენ), 2:0 ვაკასო (90).

**ს. აფრიკა–მალი 1:1 პენ. 1:3**

**გოლები:** 1:0 რანტიე (31), 1:1 ს. კეიტა (58).

**პენალტების სერია:** 1:0 ჩაბალალა, 1:1 დიაბატე, 1:1 ფურმანი (მეკარე), 1:2 ტამბურა, 1:2 მაჰლანგუ (მეკარე), 1:3 მ. ტრაორე, 1:3 მაჯორო (ააცილა).

**კოტ დივუარი–ნიგერია 1:2**

**გოლები:** 0:1 ემენიკე (43), 1:1 ტიოტე (50), 1:2 მბა (78).

**ბურკინა ფასო–ტოგო 0:0 დ.დ. 1:0**



ემენიკემ (მარცხნივ) ნიგერიის სენსაციურ გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი

აფრიკის თასზე პლეი ოფის ეტაპი დაიწყო. პირველად მოედანზე B ჯგუფის გამარჯვებული განა და A ჯგუფის მეორეადგილოსანი კაბო ვერდე გამოვიდნენ. წყვილის ფავორიტი, რა თქმა უნდა, განის ნაკრები იყო და საბოლოოდ, **კვასი აპიას** შეგირდებმა გამარჯვება და 1/2 ფინალის საგზური მოიპოვეს.

პირველ ტაიმში განელებმა მეტოქის კარში გოლის გატანა ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, მეორე ტაიმის დებიუტში, **ასამოა გიანის** წაქცევისთვის, კაბო ვერდეს ნაკრების კარში პენალტი დაინიშნა. ბურთთან **ვაკასო მუბარაქი** მივიდა და ამ ტურნირზე თავისი მეორე გოლი გაიტანა. ამის შემდეგ მატჩი კაბოვერდელთა უპირატესობით გაგრძელდა, მაგრამ მინიმალური ანგარიში ლამის საფინალო სასტვენამდე შენარჩუნდა. არბიტრის მიერ დამატებულ მეხუთე წუთზე, კაბო ვერდემ კუთხურის მოწოდების უფლება მოიპოვა და მთელი გუნდით (მეკარის ჩათვლით) მეტოქის საჯარიმოში ჩავიდა. განელებმა ბურთი მოიგერიეს და ვაკასო ცარიელ კართან დატოვეს. „ვილიარეალის" ყოფილ ფეხბურთელს გოლის გატანა, რა თქმა უნდა, აღარ გაჭირვებია და მატჩიც აქვე დასრულდა.

მეოთხედფინალის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი დურბანში, სამხრეთ აფრიკასა და მალის შორის გაიმართა. დაძაბული შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. გუნდებს გოლის გატანის არაერთი შანსი ჰქონდათ, როგორც ძირითად, ასევე დამატებით დროში, მაგრამ თითო ბურთის მეტი ვერ გაიტანეს. საბოლოოდ, გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების შესრულება გახდა საჭირო. როგორც ჩანს, მასპინძლებზე საშინაო კედლების ფაქტორმა დამთრგუნველად იმოქმედა, რადგან სამხრეთაფრიკელებმა ოთხი პენალტიდან სამი ვერ გაიტანეს. ერთადერთი მოთამაშე, რომელსაც ფსიქოლოგიური პრობლემები არ ჰქონდა, **სიფივე ჩაბალალა** გახლდათ. **ფურმანის** და **მაჰლანგუს** 11-მეტრიანები **სუმბელია დიაკიტემ** მოიგერია, გამანწყვეტი პენალტი კი **ლეჰლოჰონოლო მაჯორომ** კარს ააცილა (დიაკიტემ დარტყმის კუთხე აქაც გამოიცნო). 11-მეტრიანების სერიისთვის უჩვეულო ანგარიში, 1:3 მივიღეთ, რაც ნიშნავს იმას, რომ მასპინძელი ტურნირს გამოეთიშა, **სეიდუ კეიტას** მალი კი 1/2 ფინალში გავიდა.

კვირას კოტ დივუარის ნაკრებმა ნიგერიასთან წააგო და გავარდა. როგორც ჩანს, **დიდიე დროგბას**, ნაკრებთან ერთად ტიტულის მოგება არ უწერია. შარშან სპილოს ძვლის სანაპიროს წარმომადგენლებმა ფინალში, პენალტების სერიაში წააგეს, წელს კი, აშკარა ფავორიტობის მიუხედავად, ასპარეზობა 1/4 ფინალში დაასრულეს.

ანგარიში **ემანუელ ემენიკემ** 43-ე წუთზე გახსნა და ტაიმი ნიგერიამ მოიგო. მეორე ტაიმის დებიუტში, ნიუკასლელმა **შეიკ ტიოტემ** წონასწორობა აღადგინა და თითქოს, **საბრი ლამუშის** გუნდს ლოგიკური გამარჯვება უნდა მოეპოვებინა, მაგრამ ასე არ ფიქრობდა **სანდეი მბა**, რომელმაც 78-ე წუთზე ისევ ნიგერია დააწინაურა. მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე დიდიე დროგბა, **ლასინა ტრაორე, მარკ-ალან გრადელი, ჟერვინიო** და **იაია ტურე** იყვნენ (**სალომონ კალუმ** 69-ე წუთამდე ითამაშა, **ვილფრედ ბონი, არუნა კონე** და **დიდიე ია კონანი** კი საერთოდ არ გამოსულან), კოტ დივუარმა დარჩენილ წუთებში ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო და ტურნირს სენსაციურად გამოეთიშა.

ნიგერიის ნაკრები 1/2 ფინალში მალის შეხვდება.

**ტატო ბაციკაძე**

# ქართული სპორტი

## ძიუდო. ევროპის თასი



# პირველი ტურნირის წქიპურტები

### ოქრუაშვილის ოქროს ფინალი

ცოტა დააკლდა, ძიუდოში თბილისის ტურნირის არსებობის ისტორიაში კინაღამ პირველად დავრჩით ოქროს მედლის გარეშე! საშვილიშვილო წარუმატებლობისგან მძიმეწონოსანმა **ადამ ოქრუაშვილმა** გვიხსნა, როცა შეჯიბრების უკანასკნელ შეხვედრაში ოქროს ფინალი შემოგვთავაზა და იაპონელ **ტაკეში ოჯიტანის** ტაქტიკურ ბრძოლაში მოუგო.

1 ოქრო, 1 ვერცხლი და 6 ბრინჯაო - ასეთი სტატისტიკით ჩაამთავრა ჩვენმა ნაკრებმა სეზონის და ახალი ოლიმპიური ციკლის პირველი ტურნირი. როგორც გითხარით, ჩემპიონი ადამ ოქრუაშვილია, **ლაშა გურული** (100) ფინალში დამარცხდა, ბრინჯაოს მფლობელები კი **ამირან პაპინაშვილი, პაატა მერებაშვილი** (60), **ტრისტან ფეიქრიშვილი** (66), **ლაშა ტაველური** (90), **დავით ლორიაშვილი** (100) და **გიორგი ზაქარიაძე** (+100) გახდნენ.

შეჯიბრების დასრულების შემდეგ ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ**, რომლისთვისაც ეს სადებიუტო ტურნირი იყო ამ ამპლუაში, განაცხადა, რომ გუნდმა ამ ეტაპისთვის დასახული ამოცანა შეასრულა და მათი გეგმა სწორია, თუმცა ამ შედეგს დამაკმაყოფილებელს ვერაფრით ვუწოდებთ. ამის მიუხედავად, კრიტიკა ჯერჯერობით ნაჩქარევი გვგონია და ამ ეტაპზე ამას არც ვაპირებთ იმის მიუხედავად, რომ ცუდი სჭარბობდა დადებითს. მწვრთნელს თავისი ამოცანა აქვს - ის შედეგს ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე უმიზნებს, მანამდელ შეჯიბრებებს კი მოსამზადებლად იყენებს. თან ისვენებდა გუნდის რამდენიმე ლიდერი, ხოლო ნაკრებს დააკლდა მოსამზადებელი ციკლი - ფედერაციის ხელმძღვანელობის გაჭიანურებული არჩევნების გამო ის სერიოზულად შეფერხდა, ფიზმომზადება კი არც გაუვლიათ. ამასთან, სეზონის სტარტზე გუნდის „ამოქოქვა" ყოველთვის ძნელია, ეს უფრო მომდევნო შეჯიბრებებში ხდება და დაველოდოთ, როგორ იჭიდავებენ ჩვენები პარიზში, დიუსელდორფსა თუ სხვა ტურნირებში. მით უფრო, ამჯერად ფიზმომზადების საერთო დონე მაინც გაუმჯობესებული გვეჩვენა. ყოველ შემთხვევაში, ადრინდელივით „მყვირალა" ხარვეზები არ დაგვინახავს. იმედია, მომავალში ჩვენი ნაკრების ექსთავკაც **პეტერ ზაიზენბახერის** დასაცინი არ გავხდებით, რომელიც ამჯერად აზერბაიჯანელთა თავკაცის რანგში გვესტუმრა და აქაური ნაცნობების ვიწრო წრეში უთქვამს კიდეც, ჩემი მოსამზადებელი გეგმა არ მოგწონდათ და მე შარშან ამ ტურნირზე 6 ოქრო მოვიპოვეო. მართალია, ისტორიულ წარუმატებლობას გადავრჩით და საბოლოოდ ოქრო მაინც ვირგუნეთ, მაგრამ ავსტრიელს ნიშნის მოსაგებად სრული საფუძველი აქვს - პირად შეხვედრებში ხომ გვარიანად მოგვიგო და ოქროებითაც გვაჯობა, ბაქოში ორი უმაღლესი სინჯის მედალი წაიღო. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია - თბილისის სპორტის სასახლეში ამჯერად ქართული ფინალი არ გამართულა, აზერბაიჯანული კი შედგა.

როცა ჩვენებურთა მარცხის გამამართლებელ მიზეზებზე ვსაუბრობთ, სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ეს შეჯიბრება სხვებისთვისაც სტარტი იყო და უძლიერესი შემადგენლობით არც ისინი ჩამოსულან. „ღია თასზე" 20 გუნდი კი მონაწილეობდა, მაგრამ ტიტულებით დახუნძლული ვარსკვლავები არ ყოფილან - გვესტუმრა რამდენიმე სტაბილურად ძლიერი ძიუდოისტი (თუმცა ისინიც ადრევე გავარდნენ და „ამინდი ვერ შექმნეს"), რომლებსაც ისინი მიემატნენ, ჯერ კიდევ შარშან რომ დაგვამახსოვრეს თავი კარგი ჭიდაობით (მაგალითად, **გოლან პოლაცკი** (66) ისრაელიდან და, განსაკუთრებით, მისი თანაგუნდელი **ორ სასონი** (100), რომელსაც ცოტა დააკლდა ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრამდე, ოღონდ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინ მძიმეში გამოდიოდა), ან ისეთები, რომლებიც ახალ ოლიმპიურ ციკლში ლიდერებად მოგვევლინებიან: თუნდაც იგივე ოჯიტანი, აზერბაიჯანელი **შეხმად მაგომედოვი** და სხვა. ამის მიუხედავად, მაინც უვარსკვლავებო ტურნირი იყო (ამათ ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვთ), თუმცა პირველ დღეს ყაზახებმა და ბელარუსებმა, მეორე დღეს კი იმავე აზერბაიჯანელებმა შავი დღე გვაყარეს.

სამწუხაროდ, ჩვენი გუნდიდან ძალიან ბევრმა ვერ გაამართლა იმედები და ვერ აჩვენა საქართველოს ჩემპიონატში გამოვლენილი დონე. ახალი სახეებიც (ვგულისხმობთ საერთაშორისო არენას, თორემ აქ სულ ქვეყნის პირველობის მედალოსნები გამოდიოდნენ ანუ სრულიად უცნობი ვერც მოხვდებოდა) ნაკლებად გამოჩნდნენ, თუმცა ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისებიც იყვნენ. უპირველესად, ტაველურს დავასახელებთ, რომელმაც მართლაც ლამაზად იჭიდავა. კარგი იყო ზაქარიაძეც, ფეიქრიშვილიც, უმედლოდ დარჩენილთაგან კი ამავე სიაში შევიყვანთ **ტრისტან თათარაშვილს** (66). გარკვეულ ასპექტებში არა უშავდა **ონისე ბულაძესაც** (+120) იმის მიუხედავად, რომ მძიმე წონის კვალობაზე დაბალიცაა და წონითაც პატარა. გვარიანი პროგრესია გურულის ჭიდაობაშიც, **ბექა ღვინიაშვილზე** (90) კი ქვემოთ ვისაუბრებთ.

უმედლოდ მხოლოდ ორ წონაში დავრჩით - 73-ში და 81-ში, თუმცა პირველში დამამშვიდებელში ერთი მონაწილე მაინც გვყავდა, 81-ში კი ესეც სანატრელი გაგვიხდა - იქ გვარიანი საკადრო კრიზისია. ვნახოთ, ისევ **ავთანდილ ჭრიკიშვილი** თუ გვიშველის.

ახალ წესებს რაც შეეხება, ალბათ, არაფერია შეუგუებელი და როგორც სპორტის სასახლეში გამოჩნდა, ფალავანთა უმეტესობამ იოლადაც აუღო ალღო. უბრალოდ, ჩვეულება ხომ რჯულზე უმტკიცესია და აქა-იქ ზოგს (უცხოელებსაც) ფეხზეც წაუცდათ ხელი, არასწორი ჩავლება-გაშვებაც ვიხილეთ და იქნებ ზოგჯერ მსაჯებიც შეცდნენ, თუმცა მსგავსი დარღვევები იშვიათად იყო.

» მე-11 გვერდზე

მე-10 გვერდიდან

გუშინ, ტურნირის მიმდინარეობის ფარგლებში გაცილების საზეიმო ცერემონიალიც გაიმართა - დიდი სპორტიდან ახალ სარბიელზე, სამწვრთნელო ასპარეზზე გზა დაულოცეს უტიტულოვანეს ქართველ ძიუდოისტს, ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძეს**. მოოქროვილი ბიბლია მას საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **დავით ქევხიშვილმა** და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ზურაბ ზვიადაურმა** გადასცეს, რომლისგანაც გადაიბარა ცირეკიძემ ოლიმპიური ოქროს ესტაფეტა. *„ცოტა არ იყოს და ემოციური მომენტია. ჩემთვის ყოველთვის ძნელი იყო ამ დარბაზში ქართველი გულშემატკივრის წინაშე გამოსვლა, რაც მუდამ დამატებით სტიმულს მაძლევდა. მადლობა იმ ქომაგობისთვის, რასაც ამ წლების განმავლობაში ჩემდამი იჩენდით. მადლობა მთლიანად საქართველოს!“* - ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა დიდი ჩემპიონი, რომელიც სადღეისოდ ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობს.

## დღე პირველი, წარუმატებელი

ზემოდასახელებული 8 მედლიდან 5 კვირაზე მოდის, თორემ შაბათს ძალზე ცუდად გამოვედით და მხოლოდ სამ ბრინჯაოს დავჯერდით - 60-66-ში. 60-ში ამჯერად ყველაზე კარგად თავი ისევ ძველებმა წარმოაჩინეს, თორემ საქართველოს 19 წლის ჩემპიონ **ვაჟა მარგველაშვილს** ჯერ კიდევ გვარიანი მომატება სჭირდება უფროსებთან საპაექროდ. იმედია, ის ახალგაზრდულში გასატარებელ წლებს ნაყოფიერად გამოიყენებს საამისოდ. თუმცა მომატება მერებაშვილ-პაპინაშვილის დუეტსაც გვარიანად მართებს. სავარაუდოდ, უახლოეს ხანებში ამ წონის კონკურენციაში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ბეთქილ შუკვანიც** ჩაებმება. შესაძლოა, ის უკვე პარიზშიც ვიხილოთ, თუმცა როცა უნდა დაბრუნდეს, კონკურენციას სასიკეთოდ წაადგება.

66-ის ლიდერი, ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** არც პარიზში იჭიდავებს, ამ წონაში კინაღამ ქართული ნახევარფინალი გაიმართა ფეიქრიშვილსა და თათარაშვილს შორის. ისინი ქვეყნის პირველობაზეც ამავე ეტაპზე შეერკინნენ ერთმანეთს და მაშინ ფეიქრიშვილმა იმარჯვა. ამჯერად მათი პაექრობა მომავალმა ჩემპიონმა, ბელარუსმა **დმიტრი შერშანმა** ჩაშალა - მან ჯერ ქვეყნის ჩემპიონი ფეიქრიშვილი დააიპონა, მერე - თათარაშვილი. ძირითად ბადეში უფრო ძნელი წილისყრა თათარაშვილს ერგო - გამოცდილი უნგრელი **ლასლო ბურიანი** და ბევრად უფროსი, თუმცა უკვე ვეტერანი რუსი **დენის ლავრენტიევი** დააიპონა, მაგრამ ფეიქრიშვილმაც ახალგაზრდებში სახელმოხვეჭილ უკრაინელ **რუფატ მაგომედოვს** და იაპონელ **მასაში კოდერას** სძლია წმინდად. ფეიქრიშვილის ოდნავ უფროსი ასაკი და ცოტა მეტი გამოცდილება დამამშვიდებელში გამოჩნდა - გამოცდილ უნგრელ **ლასლო გორჯანასცს** აჯობა, ვინაც მანამდე იაპონელი **იუიტა იოშიდა** დაჯაბნა, ამან კი ბრინჯაოსთვის შეხვედრა თათარაშვილს მოუგო.

73-ის ლიდერი **ნუგზარ ტატალაშვილი** მსაჯებმა პირველივე შეხვედრაში მოხსნეს - მეტოქეს ხელი ჰკრა, რაც ცოტა ზედმეტი მოუვიდა თუ ირანელმა **ელიას ალი აკბარიმ** გააფორმა, მაგრამ ის სარეკლამო დაფებში გადავარდა, რაც მსაჯებისთვის საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა, **ზებედა რეხვიაშვილი** კი მეშვიდეზე დარჩა.

## დღე მეორე - უფრო წარმატებული

კვირას მოასპარეზე ფალავნებიდან ქომაგთა განსაკუთრებულ ინტერესს ახალ წონაში გადმონაცვლებული ბექა ლვინიაშვილი იქცევდა, რომელსაც ახალგაზრდული გუნდიდან გადმოსვლის შემდეგ შარშან ბევრი სტარტი არც მისცემია. მან საკუთარი დიდი ტალანტი ახლაც გამოავლინა, თუმცა ნაკლოვანებებიც ეტყობოდა. უპირველესად - ფიზიკური მომზადება. ეს მისი კოზირი იყო და ახლაც ასე დარჩება, მაგრამ გუშინ თავისსავით ჯანიანებთან უჭირდა. ვერც მის განთქმულ ბრუნებს აკეთებდა ისე წარმატებით, რაც ასევე არასაკმარისი ძალის ბრალი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ფიზიკურად ძლიერებთან - იაპონელ **იუია იოშიდასთან** და ზემოხსენებულ მაგომედოვთან აშკარად გაუჭირდა, აზერბაიჯანელ **მურად რაჯაბლის** კი ბევრად უფრო იოლად გაუსწორდა. ეტყობა, მისთვის ქამარში ჩავლებაც კოზირადვე დარჩება. შთამბეჭდავი იყო იოშიდასთან მოგება, როცა სამჯერ სცადა ქამრიდან აყვანა, მაგრამ ბრუნი ბოლომდე ვერ შეასრულა. სანადელს მხოლოდ ბოლო წამზე უნია, როცა გამარჯვების ბედი წამის მეასედებმა გადაწყვიტეს. აზერბაიჯანელი მაგომედოვი ფიზიკურად ძლიერია და მისი სახით ამ წონას მართლაც კარგი ფალავანი ეზრდება. მან ჩვენებურამდეც ძლიერ ათლეტებს მოუგო, ლვინიაშვილი კი მასთან ბოლო წამზე ვა-ბანკზე წავიდა, რადგან გაფრთხილებით ისედაც აგებდა და იპონზე მოჰყვა. აი, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში უკრაინელ **სტანისლავ რეტინსკისთან** მარცხი კი უფრო გამოუცდელობის ბრალი გვგონია, რაღაც ისე იოლად გადაჰყვა მეტოქეს ილეთზე. ლვინიაშვილმა კიდევ ერთი კარგი თვისება გამოავლინა - სისწრაფე და ელასტიურობა, ძალიან მოქნილი წელი აქვს, რის ხარჯზეც რამდენჯერმე სასწაულებრივად გადაურჩა იპონს.

ამ წონაში ტაველურმაც გაგვაოცა ძლიერი, კარგი და დაკვირვებული ჭიდაობით. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი მოგება აზერბაიჯანელ **რამილ გურბანოვთან**, რომელიც ლამის ტატამზე დაარჭო,

ოქრუაშვილს საქართველოს ჩემპიონატთან შედარებით წონაც დაუკლია, რაც ჭიდაობასაც დაეტყო. მას პირველი მეტოქე მოუხსნეს, მერე უკრაინელი **მიკიტა დიბრინი** ბრუნით გაისროლა იპონზე, დასასრული კი იაპონური გამოუვიდა - ჯერ იმავე ფანდით 55 წამში **რიუ სიჩინოჰეს** დაახვია რეტი, რაც ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ ოჯიტანისთან არ გამოუვიდა, მაგრამ სამი გაფრთხილება სავსებით დამსახურებულად მიაღებინა. ჩემპიონმა ქომაგს მადლობა გადაუხადა და სამომავლოდ დაგვპირდა, კიდევ გაგახარებთო. იმედია, ჭიდაობასაც მოუმატებს და მართლაც ასე იქნება. აი, საქართველოს ჩემპიონი **ლევან მატიაშვილი** კი უკრაინელ **იაკიმ ხამოსთან** ვერ გაიხსნა და დამარცხდა.

ირაკლი უზნაძე: *„ტურნირზე ნანახი სურათით კმაყოფილი საშუალო დონეზე ვარ, თუმცა მსაჯობაზე ამასაც ვერ ვიტყვი. ყველაფერს მათ ნამდვილად არ ვაბრალებ, მაგრამ გარკვეული წვლილი ნამდვილად მიუძღვით. ვფიქრობ, თათარაშვილი უმედლოდ არ უნდა დარჩენილიყო, ლორიაშვილიც მათ გამო ვერ შევიდა ფინალში, ტატალაშვილიც შეეძლოთ, არ მოეხსნათ. ტაველურმა და ლვინიაშვილმა ძალიან კარგად იჭიდავეს. ბიჭების კონდიციაც საშუალო დონისა იყო. მგონი, ტაქტიკურად ცუდად არ გამოიყურებოდნენ და, ვფიქრობ, არც - ფიზიკურად. ჩვენი გეგმა იყო, ბიჭებს საკუთარი შესაძლებლობები გამოევლინათ, რაც რამდენიმე შემთხვევის გარდა, შეასრულეს კიდეც. ვფიქრობ, დასახული კურსი სწორია და იმავე გზით წავალთ. ახალ წესებთან ადაპტაცია არ გაგვჭირვებია და არცაა ძნელი შესაგუებელი. პარიზში წამსვლელებს 2-3 დღეში დავასახელებთ, მანამ კი კიდევ ვიმსჯელებთ ცოტას, თუმცა ძირითადი ბირთვი ცნობილია.*

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

**60 კგ.** 1. შინჯი კიდო (იაპონია), 2. იელდოშ სმეტოვი (ყაზახეთი); **3. პაატა მერებაშვილი, ამირან პაპინაშვილი; 7. ვაჟა მარგველაშვილი (სამივე - საქართველო).**

**66 კგ.** 1. დმიტრი შერშანი; 2. ვადძიმ შოკა (ორივე - ბელარუსი); **3. ტრისტან ფეიქრიშვილი (საქართველო)**, იუიტო იოშიდა (იაპონია); **5. თორნიკე თათარაშვილი (საქართველო).**

**73 კგ.** 1. საგი მუკი (ისრაელი); 2. იერტუგან ტორენოვი (ყაზახეთი); 3. ალექსეი ასტაფიევი (რუსეთი), ჰუსეინ რაჰიმლი (აზერბაიჯანი); **7. ზებედა რეხვიაშვილი (საქართველო).**

**81 კგ.** 1. ტურალ საფგულიევი (აზერბაიჯანი); 2. ტაკანორი ნაგასე (იაპონია); 3. ასაფ ჩენი (ისრაელი), მამადალი მეჰდიევი (აზერბაიჯანი).

**90 კგ.** 1. შეხმად მაგომედოვი; 2. შაჰინ გაჰრამანოვი (ორივე - აზერბაიჯანი); **3. ლაშა ტაველური (საქართველო)**, სტანისლავ რეტინსკი (უკრაინა); **5. ბექა ლვინიაშვილი (საქართველო).**

**100 კგ.** 1. ორ სასონი (ისრაელი); **2. ლაშა გურული; 3. დავით ლორიაშვილი (ორივე - საქართველო)**, ჯავად მაჰჯოუბი (ირანი).

**+100 კგ. 1. ადამ ოქრუაშვილი (საქართველო)**; 2. ტაკეში ოჯიტანი, 3. რიუ სიჩინოჰე (ორივე - იაპონია), **გიორგი ზაქარიაძე; 7. ონისე ბულაძე (ორივე - საქართველო).**

სამბო

# ინტერესი პრემიებმაც გაზარდა

**წლეულს აპრილის შუა რიცხვებში კუნძულ კვიპროსზე გაიმართება ევროპის პირველობა სამბოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის. მანამდე ჩვენი ნაკრები გუნდები საწვრთნელ შეკრებასაც გაივლიან. საქართველოს პირველობა კი ორივე ასაკში სწორედ ევროპის პირველობის სამზადისი და შერჩევითი შეჯიბრება იყო, რომელიც დილომში გაიმართა.**

ჩვენი ნაკრები ევროპის პირველობის ერთ-ერთი ფავორიტია. შარშან ჭაბუკებმა გუნდური პირველი, ახალგაზრდებმა კი მეორე ადგილი მოიპოვეს.

საქართველოს პირველობამ დიდი ინტერესი გამოიწვია, სადაც 365 სამბისტი იბრძოდა გამარჯვებისათვის ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონიდან, გარდა აფხაზეთისა.

სამბოსადმი ინტერესი იმანაც აამაღლა, რომ გარდა ახალგაზრდებისა, ევროპისა და მსოფლიოს პირველობის ჭაბუკ პრიზიორებს და მათ მწვრთნელებსაც შესაბამისი პრემიები ეძლევათ.

### კვარცხლბეკი

**ჭაბუკები**
(1995-1996 წ.წ. დაბადებულები)

**48 კგ.** 1. თორნიკე ნაგლიაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 2. ზურაბ როხვაძე (იმერეთი), 3. გიორგი მელქუაშვილი (შიდა ქართლი), 3. ბექა კონწლიაშვილი (მცხეთა-მთიანეთი);

**52 კგ.** 1. იოსებ მელაძე, 2. ნიკა ჩიჩუა (ორივე - მცხეთა-მთიანეთი), 2. ჯეირან წულაია (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 3. იაგო დიხამინჯია (იმერეთი);

**56 კგ.** 1. სოლომონ თედიაშვილი, 2. გიორგი ხუციანიძე (ორივე - კახეთი), 3. ივანე გაჩეჩილაძე (იმერეთი), 3. დავით მალალაშვილი (შიდა ქართლი);

**60 კგ.** 1. თორნიკე ჭოველიძე (სამაჩაბლო), 2. გივი აფაქიძე (რაჭა ლეჩხუმი- ქვემო სვანეთი), 3. ვარლამ შალიკაშვილი (იმერეთი), 3. ვალერი მათიაშვილი (მცხეთა-მთიანეთი);

**65 კგ.** 1. გიორგი გუგულაშვილი, 2. ილია ლეკიაშვილი (ორივე - თბილისი), 3. გიორგი მეტრეველი (შიდა ქართლი), 3. ვანო მამისაშვილი (კახეთი);

**70 კგ.** 1. გიგა ნოზაძე, 2. ვალერი იაშვილი (ორივე - შიდა ქართლი), 3. შმაგი დადუნაშვილი (იმერეთი), 3. თემურ სამუკაშვილი (კახეთი);

**75 კგ.** 1. აპალონ ზურაბიანი (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 2. ლერი დადვანი (ქვემო ქართლი), 3. ომარ ვაშაკიძე (იმერეთი), 3. ბექა შერეზადიშვილი (შიდა ქართლი);

**81 კგ.** 1. ირაკლი გოგია (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 2. გიორგი ობოლაშვილი (ქვემო ქართლი), 3. ბექა ჩარქსელიანი (იმერეთი), 3. გიორგი კასაბური (მცხეთა- მთიანეთი);

**87 კგ.** 1. ჯონი ქითანავა (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 2. ნოდარ ბერიანი (ქვემო ქართლი), 3. ლაშა დავითაშვილი (კახეთი), 3. მიხეილ ჟორჟოლიანი (სამეგრელო- ზემო სვანეთი);

**+87 კგ.** 1. ჯემალ დაბრუნდაშვილი (შიდა ქართლი), 2. ზაზა ხუბულური (თბილისი), 3. ზაალ გაგნიძე (კახეთი), 3. გიგა გელაშვილი (შიდა ქართლი).

**ახალგაზრდები**
(19893-1994 წწ. დაბადებულები):

**48 კგ.** 1. ბერდია სვანაძე (იმერეთი), 2. საბა გრიგალაშვილი (თბილისი);

**52 კგ.** 1. ლერი ბედინაძე (აჭარა), 2. კონსტანტინე ლაფერაშვილი (თბილისი), 3. გიორგი რაზმაძე, 3. შალვა ხადილაშვილი (კახეთი);

**57 კგ.** 1. თორნიკე მუზაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 2. აბესალომ ვაშაყმაძე (ქვემო ქართლი), 3. გიორგი კუპატაძე (კახეთი), 3. გელა გელიტაშვილი (შიდა ქართლი);

**62 კგ.** 1. ლუხუმ ჩხვიმიანი (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 2. ირაკლი ლომიძე (შიდა ქართლი), 3. ლუკა ჯაში (თბილისი), 3. გიგა ბერიაშვილი (შიდა ქართლი);

**68 კგ.** 1. ბექა ტულუში (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 2. ლევან კირკიტაშვილი, 3. ომარ ნიაზაშვილი (ორივე - თბილისი), 3. ნიკოლოზ შიომღვდლიშვილი (მცხეთა- მთიანეთი);

**74 კგ.** 1. მიხეილ მეზურნიშვილი, 2. ბექა ხამასაშვილი (ორივე - თბილისი), 3. ალექსანდრე ნანიევი (კახეთი), 3. გურამ ხოხობაშვილი (თბილისი);

**82 კგ.** 1. უშანგი მარგიანი (იმერეთი), 2. ზაურ მამარდაშვილი (კახეთი), 3. თემურ ხაჩიძე (თბილისი), 3. ჯაბა ბიწაძე (კახეთი);

**90 კგ.** 1. ილია ოტიაშვილი (კახეთი) (ამ წონის მეორე ფინალისტი უშანგი გასიტაშვილი (შიდა ქართლი) მეტოქესთან უდიერად მოპყრობისთვის მოიხსნა შეჯიბრებიდან).

3. დავით ხოდელი (თბილისი), 3. გიორგი ჯაფარიძე (სამეგრელო-ზემო სვანეთი);

**100 კგ.** 1. თორნიკე ოთინაშვილი (სამაჩაბლო), 2. გიორგი თაყაძე (შიდა ქართლი), 3. ბექა ფარჩუკაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 3. დავით ბურდული (შიდა ქართლი);

**+100 კგ.** 1. გუგა კიბორძალიძე, 2. გიგა ჯიხვაძე (ორივე - იმერეთი), 3. გიორგი პარუნაშვილი (თბილისი), 3. სერგო ბალიაშვილი (შიდა ქართლი).

**გაბრიელ ბარჭაძე**
ავტორის ფოტო


გამარჯვებულები

ფარიკაობა

# ევროპაზე პიზის გავლით

**წლეულს 25 თებერვლიდან ბუდაპეშტი კადეტ და ახალგაზრდა მოფარიკავეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. შეჯიბრებაში ქართველებიც იასპარეზებენ.**

ტურნირისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი 1996-1997 წლებში დაბადებულთა საქართველოს პირველობაც იყო, რომელიც თბილისის ფარიკაობის დარბაზში გაიმართა. შეჯიბრებაში პირველი მოხმალავენი ჩაებნენ. გოგონებში ისევ თბილისელმა **ქრისტინე ნოზაძემ** (122-ე საჯარო სკოლა) იყოჩაღა, რომელმაც ჩემპიონობა შეინარჩუნა. ნახევარფინალში მან დედაქალაქელ **ანა აფრასიძეს** აჯობა - 15:14, გადამწყვეტ პაექრობაში კი **ელენე ნანობაშვილის** (თბილისი) მძლეველ (15:13) **ანა სინატაშვილი** (ქუთაისი) დაამარცხა - 15:10.

ვაჟებში უძლიერესი იყო, ასევე, თბილისელი **საბა სულამანიძე** (162-ე სკოლა): ნახევარფინალში **ნიკა შენგელიას** მოუგო (თბილისი, 15:10), ფინალში კი **გივი მერკვილაძე** დაჯაბნა (ქუთაისი, 15:9). შენგელიასთან ერთად ბრინჯაოს მედალი **ანზორ სიმსივეს** (ქუთაისი) ერგო.

რაპირით მოფარიკავეებმა ამას წინათ ევროპის თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე მოსინჯეს ძალები. ვარშავაში **ლუკა ლალანიძემ** (177-ე სკოლა) ჯგუფში ოთხ მეტოქეს სძლია, პლეი ოფშიც ამდენივე მეტოქე ჩამოიცილა გზიდან და საბოლოოდ 173 მონაწილეს შორის მე-14 ადგილი დაიკავა. საქართველოს პირველობაზე კი ტოლი ვერავინ დაუდგა (შეგახსენებთ, რომ ლუკამ შარშანწინ უფროსებშიც მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა). ნახევარფინალში რუსთაველ ნიკა ვეფხიაშვილს 15:6 მოუგო, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში **გიორგი გელაშვილს** (თბილისი) აჯობა - 15:5, ამ უკანასკნელმა 13 წლის **გივი ხართიშვილი** (თბილისი) დაჯაბნა - 15:1, არადა, ნახევარფინალამდე გივი ორ მეტოქეს იოლად გაუსწორდა.

გოგონებში პირველობა არავის დაუთმო **თეონა გოგლიძემ** (35-ე სკოლა), რომელმაც ორიოდე კვირის წინათ ბუქარესტში ევროპის თასის ეტაპზე მხოლოდ მერვედფინალური პაექრობა დათმო მასპინძელ მოფარიკავესთან და 23-ე ადგილს დასჯერდა. საქართველოს პირველობის ფინალში თეონამ **მარიამ ცუხიშვილს** (რუსთავი) აჯობა - 15:6. მესამე ადგილებზე **ლიკა ჯიჯეიშვილი** და **ანა მელია** (ორივე - თბილისი) გავიდნენ.

შვიდ თებერვალს ლუკა ლალანიძე, თეონა გოგლიძე, გიორგი გელაშვილი და მარიამ ცუხიშვილი იტალიურ პიზაში კადეტთა შორის ევროპის თასზე იასპარეზებენ.

გუშინ გამარჯვებულები და პრიზიორები დაშნით ფარიკაობაში გამოვლინდნენ. კვარცხკბეკზე ავიდნენ: გოგონები. 1. **მარია ზაკირჩენკო**, 2. **ქრისტინე მიქაძე**, 3. **ანა ბიბიჩაძე** (სამივე-ქუთაისი) და **ანა მელია** (თბილისი); ბიჭები. **მიქაელ მიქაელიანი** (თბილისი), 2. **ირაკლი ფანცხავა**, 3. **ანრი სიმსივე** და **გიორგი ყურაშვილი** (სამივე-ქუთაისი).

თბილისის ფარიკაობის დარბაზში 14-16 თებერვალს 20 წლამდელ მოფარიკავეთა საქართველოს პირველობა გაიმართება, რის შემდეგაც საბოლოოდ გაირკვევა ევროპის პირველობაზე წამსვლელ კადეტთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შემადგენლობა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო


მარცხნიდან: ლუკა ლალანიძე, თეონა გოგლიძე და ქრისტინე ნოზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭადრაკი




# ღია მოსკოვი ორი ქართველით

რუსეთის დედაქალაქში დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი Moscow Open, რომლის ქალთა ტურნირში 8 ქვეყნის 172 წარმომადგენელი ჩაება, მათ შორის ორი - საქართველოდან: **ნინო ბაციაშვილი** და **ანა გავაშელი.** რეიტინგით გავაშელი (2403) მეორეა მასპინძელი **ანასტასია ბოდნარუკის** (2430) შემდეგ. საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა შორის არიან დიდოსტატები - ბაირა კოვანოვა, ეგენია ოვოდი, ალინა კაშლინსკაია, მარია რომანკო, დარია ჩაროჩკინა (ყველა - რუსეთი), მარია მანაკოვა (სერბეთი), ლილით გალოიანი (სომხეთი) და სხვები.

პირველ ტურში ბაციაშვილი დაბალი რეიტინგის მქონე ანასტასია რომანოვას (რუსეთი) დაუზავდა, გავაშელს მეტოქე არ ჰყავდა და მოგება ჩაეთვალა. მეორე ტურში რეიტინგფავორიტმა ბოდნარუკმა შემოგვთავაზა სიურპრიზი - თეთრი ფიგურებით თანამემამულე ნატალია ჩერნიშოვას შეუთანხმდა ყაიმზე, რომელსაც რეიტინგში 306 პუნქტით უსწრებს. ბაციაშვილმა ეკატერინა ლიტვინენკოს (რუსეთი) მოუგო, გავაშელი კი ლიუბოვ კოსტიცინას დანებდა. მესამე ტურში ბაციაშვილი ანასტასია კოზინას (რუსეთი) გაუწევს მეტოქეობას, გავაშელი კი ვალენტინა სკაკუნს (რუსეთი) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

# მოგებით დაიწყეს

დიდოსტატი **ლუკა პაიჭაძე,** საერთაშორისო ოსტატი **შოთა აზალაძე** და ფიდეს ოსტატი **სალომე ხაჟომია** გუშინ პლოვდივში ბულგარეთის 35-ე ღია ჩემპიონატში ჩაებნენ. 13 ქვეყნის 280-მდე მოჭადრაკე (მათ შორის 22 დიდოსტატი) იბრძოლებს მთავარი პრიზის მოსაპოვებლად, თუმცა ასპარეზობას გამოკვეთილი ფავორიტიც ჰყავს - მასპინძელი **ივან ჩეპარინოვი,** რომლის რეიტინგიც 2709-ს აღწევს.

გუშინ პირველ ტურში სამივე ქართველმა გამარჯვება იზეიმა: პაიჭაძემ მილკო კიჩუკოვს (ბულგარეთი) გააჩერებინა საათი, აზალაძემ ზდრავკო ნიკოლოვს (ბულგარეთი) აჯობა, ხაჟომიამ კი ბერძენი მარიოს ნიკოლაკის პანაგიოტისი დაამარცხა. დღეს მე-2 ტურის პარტიები გათამაშდება.

**ვაჟა დანელია**

# მედლებისა და საგზურებისთვის

თბილისის ჭადრაკის სასახლე 18 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობას მასპინძლობს. ეს შეჯიბრება ამვდროულად შესარჩევი ტურნირიცაა, რადგან გამარჯვებულები წლეულს თანატოლთა მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრებიან, ხოლო ვერცხლის პრიზიორები ევროპის პირველობაზე ითამაშებენ.

გოგონებში სხვადასხვა კუთხის 21 წარმომადგენელი იბრძვის მედლებისა და საგზურებისთვის, ხოლო ვაჟებში 33 მონაწილეა. უკვე გათამაშდა ორი ტური. უდანაკარგოდ დაწინაურდნენ: გოგონებში - ნატო იმნაძე, ლიკა კობეშავიძე და მარიამ ჯავახიშვილი, ვაჟებში - ირაკლი ბერაძე, გიგლა ბენიძე, შალვა ნადირაშვილი, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, ნოე თუთისანი, ნიკა ლვამბერია და გუგა ბურდული. მეტოქეები შვეიცარული სისტემით ცხრაჯერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. დღეს მესამე ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

● ხელბურთი

# პირველობას ბათუმმა უგანა

2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადების პროგრამის ფარგლებში საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია 1998-1999 წლებში დაბადებული ვაჟებისთვის საქართველოს პირველობას ატარებს. უკვე დასრულდა მე-3 ეტაპის პაექრობები თბილისისა და აღმოსავლეთის ჯგუფებში, რომლებშიც 4-4 ფინალისტი გამოვლინდა. ქუთაისის სპორტის სასახლეში დასავლეთის ზონის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. გუშინ ერთბაშად ორი ტურის შეხვედრები გაიმართა: შეჯიბრებას ბათუმელმა ბიჭებმა უგანეს, რის გამოც ზუგდიდთან და ქუთაისთან ტექნიკური წაგება (0:10) ჩაეთვალათ. დანარჩენი გუნდების ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: წყალტუბო-სამტრედია 12:31, ზუგდიდი-ზესტაფონი 29:11, ფოთი-სამტრედია 22:17, ზესტაფონი - წყალტუბო 14:22.

**ვაჟა დანელია**

● ქართველი უკრაინაში

# ცინცაძის 5+5, ბუდიველნიკის +10

უკრაინის პირველობაზე 13 იანვრის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკმა“, რომელმაც თანაქალაქელ „კიევს“ უმასპინძლა და 10 ქულის სხვაობით დაამარცხა - 72:62.

„მშენებლები“ წლეულს მაღალი მიზნებისთვის იბრძვიან და „კიევთანაც“ ფავორიტებად ითვლებოდნენ. პირველი ტაიმი ლოგიკურადაც დასრულდა - „ბუდიველნიკმა“ 20 წუთში 44:24 იმარჯვა. მეორე ნახევარში მისმა მეტოქემ დიდი მცდელობის მიუხედავად ჩამორჩენა მხოლოდ ათამდე დაიყვანა.

გიორგი ცინცაძე ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამონდა. მან 27 წუთში 5-5 ქულა-პასი და თითო მოხსნა-ჩაჭრა მოაგროვა. საჯარიმოები უკეთესად რომ ესროლა, 10 ქულასაც მიუკაკუნებდა - 5-დან 1 ჩააგდო.

„ბუდიველნიკის“ შემადგენლობაში ითამაშა **რიჩარდს კუკსიკსმა,** რომელიც ქართველ გულშემატკივარს ლატვიის ნაკრებიდან უნდა ახსოვდეს. იგი კიეველთა ლატვიელმა მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა** გუნდში ახლახან გადაიყვანა. კუკსიკსმა 4-დან 3 სამქულიანი ჩააგდო და 15 ქულას მოუყარა თავი.

27 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის ლიდერი კვლავ „ბუდიველნიკია“, რომელსაც 20 მატჩი აქვს მოგებული. 19 გამარჯვებით მეორე პოზიციაზეა მარიუპოლის „აზოვმაში“.

ცინცაძის თანაგუნდელები უახლოეს შეხვედრას 8 თებერვალს „გალიჩინასთან“ ჩაატარებენ (უკრაინის ჩემპიონატი). ევროთასზე კი ამ კვირაში შესვენებაა და მატჩები 13 თებერვალს გაიმართება. ამ დღეს „ბუდიველნიკი“ თურქულ „ბანვიტს“ ეწვევა და წარმატების შემთხვევაში მეოთხედფინალის საგზურს გაინაღდებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



კიევურ დერბიში გამარჯვებული ცინცაძის (მარჯვნივ) ბუდიველნიკი გამოვიდა

● ქართველები NBA-ში

# ჩიკაგოელებთან უქართველებოდ

რუბრიკას კი ჰქვია ქართველები NBA-შიო“, მაგრამ ამჯერად უქართველებო NBA-ზე უნდა ვთქვათ. საქმე ისაა, რომ განვლილ უქმეებზე „ბრუკლინ ნეთსმაც“ და „ატლანტა ჰოქსმაც“ ქართველი ლეგიონერების გარეშე ითამაშეს.

ბრუკლინელებმა თბილისის დროით შაბათს გამთენიისას „ჩიკაგო ბულსი“ მიიღეს და 93:89 დაამარცხეს. ჩიკაგოელები ტანმაღალი ვარსკვლავების, **ნოასა** და **ბუზერის** გარეშე თამაშობდნენ (გამთამაშებელი **როუზი** დიდი ხანია, ტრავმირებულია). ამით ისარგებლა ცენტრმა **ბრუკ ლოპესმა** და „ბრუკლინს“ 20 ქულა შესძინა.

**თორნიკე შენგელიას** ტვინის შერყევის ნიშნები აქვს და ამიტომ არ უთამაშია.

■ ■ ■

ბრუკლინიდან „ჩიკაგო ბულსი“ სამხრეთისკენ დაეშვა და „ატლანტა ჰოქსს“ დაუპირისპირდა. ამ მატჩმაც გვიჩვენა, რომ ჯორჯიელებს წარუმატებელი პერიოდი ჯერ არ დაუძლევიათ. მათ ჩიკაგოელებთან 76:93 დათმეს (სტუმრებს ნოა და ბუზერი ამჯერედაც აკლდნენ).

„ატლანტას“ კი ვერ დაეხმარა **ზაზა ფაჩულია,** რომელსაც მარჯვენა ფეხის აქილევსის მყესი აწუხებს. ამის გამო მან უკვე ზედიზედ მეორე მატჩი გამოტოვა.

„ჰოქსი“ მომდევნო შეხვედრას ინდიანაში „პეისერსის“ წინააღმდეგ გამართავს და იმედი დავიტოვოთ, რომ მანამდე საქართველოს ნაკრების კაპიტანი ტრავმას მოიშუშებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ქართველი ესპანეთში

# კანარის კუნძულებზე



ესპანეთის წლევანდელ ჩემპიონატში მეჩვიდმეტე შეხვედრში და 7 წუთი ითამაშა 18 წლის ქართველმა ფორვარდმა **ბექა ბურჯანაძემ.** მისი „კახასოლი“ კანარის კუნძულებზე „კანარიასთან“ გადაფრინდა და დაძაბულ ბრძოლაში 68:77 წააგო.

როგორც გითხარით, ბექას 7 წუთი ერგო და ეს დრო უქმად არ დაუკარგავს - 2-2 ორქულიანი და სამიანი ტყორცნიდან თითო გამოიყენა და 5 ქულას 1 მოხსნა წაუმატა. სხვათა შორის, ბექას წლევანდელ სეზონში ყველაზე მეტი, 7 ქულა „კახა ლაბორალთან“ აქვს მოგროვილი.

კუნძულელებთან დამარცხებამ „კახასოლი“ მე-15 ადგილამდე დააქვეითა (ლიგაში სულ 18 გუნდია), თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ საპლეიოფო ზონას ძალიან მოშორდა - მერვეადგილოსან „ესტუდიანტესს“ (11 გამარჯვება) 4 მოგებით ჩამორჩება. ჩემპიონატის რეგულარული ეტაპი მაისში მთავრდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● იტალიის ჩემპიონატი

**სერია A**

| მონტეპასკი-ვარეზე | 89:75 |
|---|---|

**ვიქტორ სანიკიძე:** 24 წუთი, 10 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი.

**ნაციონალე A**

| ბრანდიზი-ომეგა | 72:81 |
|---|---|

**ნიკა მეტრეველი:** 24 წუთი, 17 ქულა, 8 მოხსნა, 2 დაფარება.

● ქართველი თურქეთში

# თურქული დებიუტი

„გალათასარაის“ მაისურით საევროლიგო დებიუტში **მანუჩარ მარკოიშვილმა** 8 ქულა რომ მიითვალა, გასულ კვირას დავწერეთ. ქართველმა უკანახაზელმა სტამბოლელების რიგებში თურქეთის ჩემპიონატშიც ჩაატარა თავისი პირველი მატჩი, თუმცა ანგარიში ვერ გახსნა. „გალათასარაი“ „ალიაღა პეტკიმს“ ესტუმრა და ბოლო წამებზე **ენდერ არსლანის** მიერ რეალიზებული საჯარიმოს წყალობით მინიმალური სხვაობით იმარჯვა - 78:77.

მწვრთნელმა **ერგინ ატამანმა** (რომელმაც შარშან „არმიასთან“ სათამაშოდ „ბეშიქთაში“ თბილისში ჩამოიყვანა) მანუჩარი 15 წუთით ათამაშა. ქართველი უმთავრესად თანაგუნდელების დახმარებით იყო დაკავებული და ამიტომ მხოლოდ ერთი ორქულიანი სტყორცნა (არაზუსტად). მარკოიშვილმა მატჩი თითო მოხსნა-პასი-ფოლით დაასრულა.

მატჩის ბომბარდირი მასპინძელი **მერტ შუმპერტი** გახდა - 17 ქულა.

ამ მოგებით „გალათასარაიმ“ თურქეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მას 17 მატჩიდან 14 მოგებული აქვს. პირველზეა „ბანვიტი“ - 15 გამარჯვება. მესამეადგილოსან „ფენერბაჰჩეს“ „გალასთან“ შედარებით ერთით ნაკლები შეხვედრა აქვს ჩატარებული და მასავით 14 მოგება უწერია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# რიხით დაწყება არ გამოვიდა

**ბელგია-საქართველო 13:17**

ბელგია (15-9) ვილიამსი, ფან ტრაპენი, ანდრე, ბრებანი, პირონი (ადამსი 72), პიერო, ბერჟე (ხუანი 70). (1-8) მასიმი (ოლივიე 45), ვენდე (კუფოლო 79), ჟადო, ფერსხელდენი, ნანა, ტ. დე მოლდერი (ბილი 77), ნილი, მორელი (მირიალაკისი 10).
ლ: მირიალაკისი. 2ს,გ: ვილიამსი.
სინბინი: ვენდე.
გაძევება: ჟადო.
საქართველო (15-9) ნიკლაური, თოდუა, კაჭარავა, შარიქაძე, მჭედლიძე, კვირიკაშვილი (ხმალაძე 75), ბეგაძე. (1-8) ნარიაშვილი (ხინჩაგიშვილი 61), მამუკაშვილი (ბელქანია 61), ქუბრიაშვილი, ჩხაიძე, მიქაუტაძე (სუთიაშვილი 61), კოლელიშვილი, გორგოძე, ბასილაია (ჩილაჩავა 10).
2ლ: გორგოძე, ჩილაჩავა. 2გ,ს: კვირიკაშვილი
სინბინი: კოლელიშვილი
გაძევება: ქუბრიაშვილი.
მსაჯი: მატეო ლიპერინი (იტალია)

**რიხით** დაწყება არ გამოვიდა. არადა, ბელგიის ნაკრები დებიუტანტია და ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ საქართველოს ეროვნულ გუნდს ბრიუსელში გამარჯვება გაუჭირდებოდა. მეტიც, სრულიად რეალური იყო ნაგება, რაც არა მარტო ჩვენთვის, მთელი მსოფლიოსთვის შოკისმომგვრელი იქნებოდა.

## მეტოქის შეუფასებლობა

შოკი არა, მაგრამ ანგარიშის შეტყობის შემდეგ ყველა რომ გაოცებული დარჩება, უდავო ფაქტია. ვისაც თამაში არ უნახავს, იფიქრებს, რომ ბელგიას მართლა სერიოზული პროგრესი აქვს, აგერ, მრავალნაცად საქართველოს ნაკრებს როგორი წინააღმდეგობა გაუწიაო. არ გვინდა ბელგიელებს გარჯა დავუკარგოთ, მაგრამ არ იქნება სწორი იმის თქმა, რომ მათ რაღაც განსაკუთრებული შემოგვთავაზეს.

მასპინძლებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, ერთა თასზე პირველ მატჩს მართავდნენ და საკუთარი ქომაგების თვალწინ თამაშისას, შესაძლოა, „ბორჯღალოსნებზე“ უფრო მოტივირებულებიც იყვნენ. მათი მთავარი მიზანი მოწინააღმდეგის თამაშის ჩაშლა იყო, რაც გაცილებით იოლია, ვიდრე შექმნა. ამას ისინი შესანიშნავად ახერხებდნენ, რაშიც ჩვენი მორაგბეებიც ხშირი, უხეში შეცდომებით ხელს უწყობდნენ.

ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ჩვენი გუნდი ამ თამაშის მოგებას ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, თითქმის უბრძოლველად აპირებდა. არ გამოვიდა. მეტოქეს არასათანადოდ შეფასებამ კი კინალამ კატასტროფამდე მიგვიყვანა. აკი მატჩის შემდეგ, „ბორჯღალოსნების“ მესამეხაზელმა **მამუკა გორგოძემ** თქვა:

*„ძალიან რთული მატჩი გვქონდა. მეტოქე სათანადოდ არ შევაფასეთ. ბევრს ვაფრთხილებით ერთმანეთს ამის თაობაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა. 50-60 ქულის სხვაობით მოვიგებთო - ვამბობდით, და კინალამ წავაგეთ. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ნებისმიერი მეტოქე უნდა დააფასო. ეს შემთხვევა ჭკუის სასწავლებელი იყო და მომავალში გავითვალისწინებთ“.*

ძნელია არ დაეთანხმო ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს. სწორედ მეტოქის შეუფასებლობის ბრალი გვგონია, ის ხშირი და უმეტესად ელემენტარული შეცდომები, რომელსაც უფრო მაღალი დონის გუნდი, არაფრით გვაპატიებს.

## ექსპერიმენტი შემადგენლობაში

ბრიუსელის „ეიზელის“ სტადიონის სათადარიგო მოედნის მომცრო ზომის ტრიბუნები თითქმის პირთამდე სავსე იყო. საქომაგოდ ბელგიაში მცხოვრები ქართველებიც მრავლად იყვნენ მისულები და ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ომახიანად ქომაგობდნენ. აღსანიშნავია, რომ ასეთივე რაოდენობის მაყურებელი ერთა თასის ზოგიერთი დიდი ხნის ბინადარის მატჩებზეც არ დადის. ამ ერთი თამაშით დასკვნების გაკეთება, ალბათ, ნაადრევია, მაგრამ თუ ბელგიაში რაგბის პოპულარობა გაიზრდება, უახლოეს წლებში ამ ქვეყნის ნაკრებისგან დიდ სიურპრიზებს უნდა ველოდოთ. მით უფრო, რომ იოლად და უხვად შეუძლიათ ფრანგი მორაგბეების ნატურალიზება.

მოკლედ, ბელგიელები თავს როგორმე მიხედავენ. ჩვენ კი საკუთარი ნაკრების ავან-ჩავანი ვიკითხოთ. ერთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველ მატჩში **მილტონ ჰეიგმა** ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად ოთხი გამოუცდელი მოთამაშე დააყენა. ვინმეს ეს შეიძლება თამამ ნაბიჯად მოეჩვენოს, რაშიც ვერაფრით დავეთანხმებით. ის კი არა და კიდევ ორის ან სამის დამატებაც შეეძლო. ბელგია, მიუხედავად მოედანზე განვითარებული მოვლენებისა და მატჩის საბოლოო ანგარიშისა, არ არის ის გუნდი, რომელთან თამაშშიც ექსპერიმენტების ჩატარების უნდა შეგეშინდეს.

## პირველი ტაიმი

მატჩში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ბოლო ჟამს, დაცვაში პრობლემები მოგვეძალა. ბელგიასთან გაშვებული ლელო აბა, რა მოსატანია. იყო წლები, ერთა თასს ისე ვიგებდით, ხუთი მეტოქე მაქსიმუმ, ერთი ლელოს გატანას ახერხებდა. აი, სათამაშო დისციპლინა კი დიდი ხანია „ბორჯღალოსნების“ აქილევსის ქუსლია.

ბელგიის ნაკრებთან თამაშში პრობლემები სწორედ ამ მიზეზით დაიწყო. მატჩის მე-5 წუთი მიმდინარეობდა, საქართველოს ნაკრები მეტოქის 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან უტევდა, მსაჯს უპირატესობის ნიშნად ხელი ჩვენკენ ჰქონდა გაშვერილი, ანუ თუ თამაში გაჩერდებოდა ჯარიმა გვერგებოდა. კარის პირდაპირ წარმოქმნილი რაკიდან ბურთი ცხრა ნომერმა **გიორგი ბეგაძემ** მარცხნივ ხაზზე გაიტანა, იქვე პირველხაზელმა **დავით ქუბრიაშვილმა** ჩაირბინა და უნებლიედ მეტოქეს, ასევე პირველხაზელ **მაქსიმ ჟადოს** შეეჯახა. ამან ჩვენებურს მუშტი მოუქნია, რასაც გუნდი-გუნდზე ჩხუბი მოჰყვა.

ძნელი სათქმელია, რა პრინციპით იმოქმედა იტალიელმა არბიტრმა **მატეო ლიპერინიმ**, მაგრამ ფაქტია, მან მუშტიკრივის წამომწყებნი არ დაინდო და ორივეს წითელი ბარათი უჩვენა (ეს იმას ნიშნავს, რომ ქუბრიაშვილი მომდევნო მატჩს თბილისში, პორტუგალიის ნაკრებთან ავტომატურად გამოტოვებს).

ასე დარჩნენ გუნდები მატჩის ბოლომდე კაცნაკლულნი, რამაც ჩვენი გუნდის ტაქტიკა და სტრატეგია მნიშვნელოვნად არია. მიუხედავად ამისა, „ბორჯღალოსნები“ აქტიურობდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს, მაგრამ ბურთი აუტში გადაიტანეს, ხუთმეტრიანი დერეფნიდან მოლი ააგორეს, თუმცა ბელგიელებმა მისი შეჩერება ზედ ლელოს მისადგომებთან შეძლეს.

დრო გადიოდა, ანგარიშის გახსნას ჩვენი გუნდი ვერაფრით ახერხებდა. სამაგიეროდ, ბელგიელებმა გააზრებული იერიშის ლამის პირველივე მცდელობა 22-ე წუთზე ლელოთი დაასრულეს. ბურთი მეტოქის მოედნის ნახევარზე დავკარგეთ. ბელგიელმა მორკინალებმა ჯაჯგურით ის ცენტრამდე ამოიტანეს, მერე წარმოქმნილი რაკიდან ცხრა ნომერმა **ჟულიენ ბერჟემ** ხაზი გაგვიჭრა და ათი მეტრი ირბინა. ისევ რაკი და იქედან შეტევა მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე გაგრძელდა. საბოლოოდ „ბორჯღალოსნებმა“ შეცვლაზე შესული პირველხაზელი **ალენ მირიალაკისი** ვერ შეაჩერეს. გარდასახვა „შავი ეშმაკების“ საუკეთესო მექულემ **ალან ვილიამსმა** ზუსტად დაარტყა - 7:0.

მსგავსი სცენარი წარმოუდგენელი იყო. ხუთ წუთში საქართველოს ნაკრებმა ისევ მოიპოვა ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმოს დარტყმის უფლება. ამჯერად ჩვენმა მორაგბეებმა სიფრთხილე გამოიჩინეს და კარში დარტყმა გადაწყვიტეს. მგეზავმა **მერაბ კვირიკაშვილმა** ანგარიში ოთხ ქულამდე შეამცირა - 3:7.

პირველ ტაიმში მეტი ვერაფერი მოვახერხეთ. ბელგიის ნაკრებს კი ორჯერ ჰქონდა ლელოს გატანის შანსი. პირველად ჩათვლის მოედანში ბურთი ხელიდან გაუვარდათ, მეორედ კი იმდენად გაკადნიერდნენ, რომ საჯარიმო კარში არ დაარტყეს. ბურთი აუტში გადაიტანეს და ხუთმეტრიანი დერეფნიდან მოლი ააგორეს. დაიძრნენ კიდეც, მაგრამ „ბორჯღალოსნებმა“ მათი შეჩერება ზედ ჩათვლის მოედნის ხაზთან შეძლეს.

38-ე წუთზე მასპინძლებმა მაინც მოახერხეს ანგარიშის გაზრდა. რაკში თამაშისას მესამეხაზელი **ვიქტორ კოლელიშვილი** დაჯარიმდა. არბიტრმა ის სინბინში გაუშვა, ვილიამსმა კი ბელგიელებს სამი ქულა მოუტანა - 10:3. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

## მეორე ტაიმი

შესვენების შემდეგ თამაში ახალი განახლებული იყო, როცა მასპინძლებმა ანგარიშის გაზრდა შეძლეს. საჯარიმოდან ზუსტად ისევ ვილიამსმა დაარტყა - 13:3. ცხადია, ათქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა ძალიან რთულია, თუმცა „ბორჯღალოსნებს“ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ. თამაში ნელ-ნელა დაალაგეს და 50-ე წუთზე პირველი ლელოც მიითვალეს. საჯარიმოდან ჩვენმა მორაგბეებმა ბურთი აუტში გადაიტანეს. ხუთმეტრიან დერეფანში გუნდის კაპიტანმა **გიორგი ჩხაიძემ** ბურთი სუფთად მოიგო, მოლი ავაგორეთ, დავძარით, ჩათვლის მოედანშიც შევაღწიეთ, მაგრამ არბიტრმა ლელო არ დააფიქსირა.

შერკინება „ბორჯღალოსნების“ სასარგებლოდ დაინიშნა. იქედან ბურთი **მამუკა გორგოძემ** აიტაცა, მაგრამ იქვე შეაჩერეს, მერე პირველხაზელმა **მიხეილ ნარიაშვილმა** შეუტია და მიზნამდე ერთი მეტრი დააკლდა. წარმოქმნილი რაკიდან ბურთს ისევ გორგოძე დასწვდა და ლელოში გადადო. კვირიკაშვილმა გარდასახა - 10:13.

თამაშის დასრულებამდე 30 წუთი იყო დარჩენილი. ჩვენს გუნდს კიდევ რამდენჯერმე შეეძლო ლელოს გატანა, თუმცა ეს მხოლოდ ერთხელ, 68-ე წუთზე მოახერხა. სალელოვე შეტევა თითქმის პირველის იდენტური გამოვიდა. ხუთმეტრიანი დერეფანი, ამჯერად, შეცვლაზე შესულმა **შალვა სუთიაშვილმა** მოიგო და თვითონვე შეუტია, ის ზედ ლელოსთან შეაჩერეს, რაკიდან ბურთი გორგოძემ აიტაცა და მარჯვნიდან სცადა ჩათვლის მოედანში შეღწევა, ისიც შებოჭეს, მერე ბურთთან პირველხაზელი **ლევან ჩილაჩავა** გაჩნდა, რომელმაც მოულოდნელად მოკლე ფრთაზე შეუტია და ბურთი ლელოში დაამიწა. კვირკაშვილმა საკმაოდ არახელსაყრელი პოზიციიდან გარადასახა - 17:13.

დარჩენილ დროში მასპინძლებს მატჩის გადარჩენის შანსი არ მისცემიათ. „ბორჯღალოსნებს“ კი, თამაშის მიწურულს, კიდევ ერთხელ შეეძლოთ მეტოქის ჩათვლის მოედანში შეღწევა, მაგრამ მასპინძლებმა თავის დაცვა შეძლეს.

## სხვა თამაშები

დაძაბული გამოდგა ერთა თასის გათამაშების სხვა ორი მატჩიც. რუსეთის ნაკრებმა სოჭში დიდი გაჭირვებით, ოთხი ქულის სხვაობით სძლია ესპანეთის ეროვნულ გუნდს - 13:9. მატჩში ერთადერთი ლელო რუსების უკანახაზელმა **მიხაილ ბაბაევმა** გაიტანა.

სტუმრად პორტუგალიაში უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მიაღწია რუმინეთის ნაკრებმაც - 19:13. აქ პორტუგალიელთა მესამეხაზელის **ჟულიენ ბარდის** ლელოს, რუმინელმა პირველხაზელმა **ევგენი კაპატანამ** ლელოთივე უპასუხა. სამაგიეროდ, **ფლორინ ვლაიკუმ** მასპინძელთა დამრტყმელზე **პედრო ლეალზე** ორით მეტი საჯარიმო გაიტანა და „სტეუარის“ მოაგებინა.

**ბესიკ ჯანგავაძე**



შალვა მამუკაშვილი (N2) და კონსტანტინე მიქაუტაძე ბურთისთვის ბრძოლაში



**პორტუგალია-რუმინეთი 13:19**

პორტუგალია: 15. ნუნო კოსტა, 14. ადერიტო სეტევეში, 13. ფედერიკო ოლივეირა, 12. კარლ მურეი, 11. გონსალო ფორო, 10. პედრო ლეალი, 9. ფრანსიშკუ მაგალიაეში. 1. ფრანსისშკუ ფერნანდესი, 2. ჟოაო კორეია, 3. ჟიან მურე, 4. დავიდ რიესი, 5. გონსალო უვა, 6. ჟაკ ლე რუ, 7. ჟუან სოუსა, 8. ჟუან სევერინო.
16. ლიონელ კამპერო, 17. ჟორჟე სეგურადო, 18. ტონი მარტინსი, 19. ტიაგუ ჟირაო, 20. ვასკუ უვა, 21. ლორან ბელანჟე, 22. ფრანსისკო აპელტონი, 23. ჯოზე ლიმა.
ლ: ბარდი. 2ს,გ: ლეალი.
რუმინეთი: 15. კატალინ ფერკუ, 14. მიჰაი როსკა, 13. რობერტ დესკალუ, 12. ფლორინ ვლაიკუ, 11. ადრიან აპოსტოლი, 10. დორინ მანოლე, 9. ფლორინი სურუჯუ. 1. მიჰაიტა ლაზარი, 2. ანდრეი რადოი, 3. ანდრეი ურსაკე, 4. ვალი ურსაკე, 5. მარიუს სირბე, 6. ვიორელ ლუკაჩი, 7. მიჰაი მაკოვეი, 8. დანიელ კარპო.
16. ევგენი კაპატანა, 17. იონ პაულიკა, 18. პეტრუ ტამბა, 19. კორნელი ტატუ, 20. ოვიდიუ ტონიცა, 21. კიპრიან კაპლესკუ, 22. ჩაბა გალი, 23. იონუც ნიასუ.
ლ: კაპატანე. 4ს,გ: ვლაიკუ.
მსაჯი: ნათან ჰაინსი (უელსი)

**რუსეთი-ესპანეთი 13:9**

რუსეთი: 15. იგორ კლუჩნიკოვი, 14. ვასილი არტემევი, 13. სერგეი ტრიშინი, 12. ალექსეი მაკოვეცკი, 11. მიხაილ ბაბაევი, 10. სერგეი იანუშკინი, 9. ალექსანდრ იანუშკინი. 1. გრიგორი ცნობილაძე, 2. ვალერი ცნობილაძე, 3. ევგენი პრონენკო, 4. ალექსანდრ ვოიტოვი, 5. კირილ კულემინი, 6. ანდრეი ტემნოვი, 7. პაველ ბუტენკო, 8. ვიქტორ გრესევი.
16. ალექსეი ვოლკოვი, 17. ანდრეი იგრეცოვი, 18. ინოკენტი ზიკოვი, 19, ანდრეი გარბუზოვი, 20. არტემ ფატახოვი, 21. ალექსეი შერბანი, 22. სერგეი სუგრუბოვი, 23. დიმიტრი გერასიმოვი.
ლ: ბაბაევი. 2ს,გ: კლუჩნიკოვი.
ესპანეთი: 15. ხესარ სეMპერე, 14. მატიას ტუდელა, 13. ჯეკი კარტერი, 12. კორი სმითი, 11. ხავიერ კერიონი, 10. ხაიმე ნავა, 9. სანტიაგო ფერნანდესი. 1. ჯო პატჩინსონი, 2. ხუან ანაია, 3. ხესუს მორენო, 4. მეთ კუკი, 5. ხესუს რეკუერდა, 6. ხუან ტუდელა, 7. ხუან მაგუნასელაია, 8. ლიონელ პარდო.
16. დანეილ მარიონი, 17. მიკელე მუნგია, 18. დავით გურგენიძე, 19. ფრანსოსკო უსერო, 20. ოიერ გერმანდია, 21. გრეგორი მარკესი, 22. გაუტიერ მინგულიონი, 23. ანიბალ ბონანი.
2პ: სემპერე. ს: კერიონი.
მსაჯი: დევიდ ვილკინსონი (ირლანდია)

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +6 | 4 |
| 2. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| 3. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| 4. ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| 5. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| 6. პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | -6 | 1 |

**II ტური**

**9 მარტი**

საქართველო-პორტუგალია
ბელგია-ესპანეთი
რუმინეთი-რუსეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი




# მარათონი ჟენევაში

ისტორიული მომენტი აღინიშნა დევისის თასის მერვედფინალური ეტაპის ერთ-ერთ შეხვედრაში. შვეიცარიისა და ჩეხეთის წყვილთა თამაში შვიდ საათსა და ორ წუთს გაგრძელდა და ეს არის დევისის თასის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი შეხვედრა.

პარასკევს, გუნდების ლიდერებმა - **სტანისლას ვავრინკამ** და **ტომაშ ბერდიხმა** მოიგეს თავიანთი შეხვედრები, ამიტომაც შაბათის წყვილთა მატჩმა ძალიან პრინციპული ხასიათი მიიღო. აქაც, სტანისლასი და ტომაში პირველ როლებზე იყვნენ, **მარკო ჩიუდინელი** და **ლუკაშ როსოლი** კი მათ დახმარებას ცდილობდნენ. საქმე მეხუთე სეტამდე მივიდა და იქ არც ერთი მხარე არ აპირებდა დათმობას. თანდათან გამოიკვეთა ჩეხების უპირატესობა. ისინი ყველა გეიმში ბოლომდე იბრძოდნენ და საერთო ჯამში, 12 მატჩბოლი გაანიავეს, მათ შორის სამმაგი. და მაინც, დამსახურებული გამარჯვება ბერდიხსა და როსოლს დარჩათ - 6:4, 5:7, 6:4, 6:7(3), 24:22. მე-13 მატჩბოლზე ჩიუდინელიმ ორმაგი შეცდომა დაუშვა.

როგორც ვთქვით, ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი მატჩი დევისის თასზე, გარდა ამისა, ჩოგბურთის ისტორიაში ასეთი გრძელი შეხვედრა წყვილთა თანრიგში არასოდეს ჩატარებულა. აბსოლუტური რეკორდი კი შეგახსენებთ, რომ ამერიკელ **ჯონ ისნერსა** და ფრანგ **ნიკოლა მასუს** ეკუთვნით, რომლებმაც 2010 წლის უიმბლდონზე 11 საათი და 5 წუთი გაატარეს კორტზე.

■ ■ ■

ერთ-ერთ მერვედფინალურ წყვილში არგენტინამ შინ გაანადგურა გერმანია, თანაც ეს ქვეყნის ჩოგბურთის ლიდერის **ხუან მარტინ დელ პოტროს** გარეშე გააკეთა.

არგენტინელმა ჩოგბურთელებმა გამარჯვების აღნიშვნის დროს ირონიული სიმღერა მიუძღვნეს ხუან მარტინს. კერძოდ, ისინი მღეროდნენ იმის შესახებ, რომ დელ პოტროს ისლა დარჩენია, ტელევიზორით უყუროს ამ ტრიუმფს.

სხვათა შორის, წყვილთა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე **ორასიო სებალიოსსა** და **დავიდ ნალბანდიანს** ჰკითხეს - მიიღეს თუ არა მილოცვა ხუან მარტინისგან, რაზეც სებალიოსმა უპასუხა: „ვისგან?"

| იტალია-ხორვატია | 3:2 |
| --- | --- |
| 0:1 პაოლო ლორენცი-მარინ ჩილიჩი | 1:6, 7:6(6), 6:4, 3:6, 2:6 |
| 1:1 ანდრეას სეპი-ივან დოდიგი | 6:2, 6:7(2), 6:4, 6:4 |
| 2:1 ბოლელი/ფონინი-ჩილიჩი/დოდიგი | 3:6, 6:1, 6:3, 7:6(11) |
| 2:2 ანდრეას სეპი-მარინ ჩილიჩი | 3:6, 3:6, 5:7 |
| 3:2 ფაბიო ფონინი-ივან დოდიგი | 4:6, 6:4, 6:4, 6:4 |
| **ბელგია-სერბეთი** | **2:3** |
| 0:1 დავიდ გოფენი-ვიქტორ ტროიცკი | 6:1, 6:3, 6:7(5), 4:6, 4:6 |
| 0:2 ოლივიე როხუსი-ნოვაკ ჯოკოვიჩი | 3:6, 2:6, 2:6 |
| 0:3 ბემელმანსი/დარცისი-ტროიცკი/ზიმონჟიჩი | 4:6, 4:6, 7:5, 4:6 |
| 1:3 დავიდ გოფენი-ბორის პაშანსკი | 6:4, 2:6, 6:2 |
| 2:3 სტივ დარცისი-ნენად ზიმონჟიჩი | 6:2, 6:4 |
| **საფრანგეთი-ისრაელი** | **5:0** |
| 1:0 ჟო-ვილფრიდ ცონგა-ამირ ვეინტრაუბი | 6:3, 6:3, 4:6, 7:5 |
| 2:0 რიშარ გასკე-დუდი სელა | 6:3, 6:2, 6:2 |
| 3:0 ბენეტო/ლოდრა-ერლიხი/სელა | 7:6(3), 6:1, 6:0 |
| 4:0 მიკაელ ლოდრა-ნოამ ოკუნი | 6:3, 7:6(5) |
| 5:0 რიშარ გასკე-ამირ ვეინტრაუბი | 6:4, 6:3 |
| **არგენტინა-გერმანია** | **5:0** |
| 1:0 კარლოს ბერლოკი-ფილიპ კოლშრაიბერი | 3:6, 7:5, 2:6, 6:4, 4:5 უარი |
| 2:0 ხუან მონაკო-ფლორიან მაიერი | 6:7(4), 6:3, 6:3, 6:4 |
| 3:0 ნალბანდიანი/სებალიოსი-კასი/კამკე | 6:1, 6:4, 5:7, 6:2 |
| 4:0 ხუან მონაკო-ტობიას კამკე | 6:4, 7:6(2) |
| 5:0 კარლოს ბერლოკი-კრისტოფერ კასი | 6:2, 6:4 |
| **ყაზახეთი-ავსტრია** | **3:1** |
| 1:0 ანდრეი გოლუბევი-ანდრეას ჰაიდერ-მაურერი | 7:6(2), 6:3, 7:6(5) |
| 2:0 ევგენი კოროლიოვი-იურგენ მელცერი | 7:6(4), 6:3, 6:2 |
| 2:1 გოლუბევი/შჩუკინი-ნოული/პეია | 6:7(5), 3:6, 6:7(3) |
| 3:1 ანდრეი გოლუბევი-იურგენ მელცერი | 4:6, 6:3, 6:4, 6:2 |
| ევგენი კოროლიოვი-ანდრეას ჰაიდერ-მაურერი | არ გაიმართა |
| **შვეიცარია-ჩეხეთი** | **2:3** |
| 1:0 სტანისლას ვავრინკა-ლუკაშ როსოლი | 6:4, 6:3, 6:4 |
| 1:1 ჰენრი ლააქსონენი-ტომაშ ბერდიხი | 3:6, 2:6, 7:6(5), 1:6 |
| 1:2 ვავრინკა/ჩიუდინელი-ბერდიხი/როსოლი | 4:6, 7:5, 4:6, 7:6(3), 22:24 |
| 1:3 სტანისლას ვავრინკა-ტომაშ ბერდიხი | 3:6, 4:6, 6:3, 6:7(5) |
| 2:3 ჰენრი ლააქსონენი-ირჟი ვესელი | 0:6, 6:3, 6:1 |
| **კანადა-ესპანეთი** | **3:1** |
| 1:0 მილოშ რაონიჩი-ალბერტ რამოსი | 6:7(5), 6:4, 6:4, 6:4 |
| 2:0 ფრანკ დანჩევიჩი-მარსელ გრანოლერსი | 6:1, 6:2, 6:2 |
| 2:1 ნესტორი/-პოსპიშილი-გრანოლერსი-მ. ლოპესი | 6:4, 4:6, 7:6(4), 3:6, 2:6 |
| 3:1 მილოშ რაონიჩი-მარსელ გრანოლერსი | 6:3, 6:4. 6:2 |
| ფრანკ დანჩევიჩი-ალბერტ რამოსი | გვიან დასრულდა |
| **აშშ-ბრაზილია** | **2:2** |
| 1:0 სემ კუერი-ტომაშ ბელუჩი | 6:3, 6:4, 6:4 |
| 2:0 ჯონ ისნერი-ტიაგო ალვეში | 6:3, 7:6(4), 6:3 |
| 2:1 ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი-მელო/სოარეში | 6:7(6), 7:6(7), 4:6, 6:3, 3:6 |
| 2:2 ჯონ ისნერი-ტომაშ ბელუჩი | 6:2, 4:6, 7:6(7), 4:6, 3:6 |
| სემ კუერი-ტიაგო ალვეში | გვიან დასრულდა |

**1/4 ფინალი**

*კანადა-იტალია; სერბეთი-აშშ/ბრაზილია;*
*არგენტინა-საფრანგეთი; ყაზახეთი-ჩეხეთი*

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ბოსტონი მოთამაშეებისგან იცლება

„ბოსტონი სელტიქსის" ფორვარდი **ჯარედ სალინჯერი** თავის კლუბს ამ სეზონში ველარ დაეხმარება. ახალბედა, რომელიც „კელტებმა" 2012 წლის დრაფტზე 21-ე ნომრად აირჩიეს, ზურგზე ოპერაციას გაიკეთებს, - იტყობინება ESPN.

ვარაუდობენ, რომ 20 წლის კალათბურთელი მთლიანად აღიდგენს ჯანმრთელობას სექტემბერში - საწვრთნელი შეკრების დაწყების წინ. შეგახსენებთ, რომ დრაფტამდე ერთი თვით ადრე, სალინჯერს ზურგთან დაკავშირებული პრობლემები აღმოუჩინეს, რის გამოც მესამე ათეულში აირჩიეს, არადა, დრაფტის პირველ ხუთეულში მოხვედრას უწინასწარმეტყველებდნენ. მიმდინარე სეზონში სალინჯერი საშუალოდ მატჩში 6.0 ქულასა და 5.9 მოხსნას აგროვებდა.

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სალინჯერი მეორე მოთამაშეა, ვინც „ბოსტონს" სეზონის ბოლომდე გამოაკლდა. მანამდე, მუხლის ჯვარედინი მყესების განყვეტის გამო თამაშს გამოეთიშა გუნდის ძირითადი გამთამაშებელი **რაჟონ რონდო**.

■ ■ ■

წლევანდელი სეზონის კიდევ ერთ ახალბედას შეექმნა პრობლემები. „შარლოტისა" და „ჰიუსტონის" მატჩში თავის მძიმე ტრავმა მიიღო „ბობკეტსის" ფორვარდმა **მაიკლ კიდ-გილკრისტმა**. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში მას კეფაში მოხვდა თანაგუნდელის **ჯეფრი ტეილორის** მუხლი.

კიდ-გილკრისტი რამდენიმე წუთი უგრძნობლად იწვა მოედანზე. შემდეგ საკაცეზე დააწვინეს და ადგილობრივ კლინიკაში გადაიყვანეს. კალათბურთელისთვის საბედნიეროდ, რენტგენმა კისრისა და თავის არანაირი ტრავმა არ დააფიქსირა.

■ ■ ■

„ჩიკაგო ბულზის" ცენტრმა **ჟოაკიმ ნოამ** გამოტოვა რეგულარული ჩემპიონატის მატჩი „ბრუკლინის" წინააღმდეგ. ფრანგმა კალათბურთელმა ჯერ არ იცის, როდის დაბრუნდება მოედანზე.

ნოას დაუდგინეს ტერფის ტრავმა, რომლის აღდგენითი პროცესი, შესაძლოა, ხანგრძლივი აღმოჩნდეს. შეგახსენებთ, რომ ნოას სამი წლის წინ ჰქონდა მარჯვენა ფეხთან დაკავშირებული ანალოგიური პრობლემები.

მიმდინარე სეზონში ფრანგი ცენტრი საშუალოდ მატჩში 12.1 ქულასა და 11.3 მოხსნას აგროვებს.

**1 თებერვალი**

**ტორონტო-კლიპერსი 98:73**

**22:17, 24:13, 26:15, 26:28**

**ტ:** გეი (20), ჯონსონი (19+16 მოხსნა), დეროზანი (19+7 პასი), ლუკასი (17), გრეი (7+12 მოხსნა).

**კ:** გრიფინი (17+9 მოხსნა), კროუფორდი (14+5 პასი), ბატლერი (12+8 მოხსნა), ბლედსოუ (10).

**ინდიანა-მაიამი 102:89**

**25:23, 28:22, 27:20, 22:24**

**ი:** უესტი (30+7 მოხსნა+5 პასი), ჯორჯი (15+6 პასი), სტივენსონი (15), ჰილი (12), ჰენსბრო (11).

**მ:** ჯეიმსი (28), უეიდი (17+5 პასი), ბოში (13), ბატიე (11).

**ბოსტონი-ორლანდო 97:84**

**25:18, 21:17, 26:24, 25:25**

**ბ:** გრინი (17+3 დაფარება), პირსი (14+11 მოხსნა+7 პასი), გარნეტი (14+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ლი (14+5 პასი), ტერი (12+5 პასი), ბარბოზა (12).

**ო:** რედიკი (15+5 პასი), ვუჩევიჩი (14+14 მოხსნა), ნიკოლსონი (14+10 მოხსნა), მური (14), ო'ქუინი (11).

**ბრუკლინი-ჩიკაგო 93:89**

**24:14, 17:28, 22:25, 30:22**

**ბ:** ლოპესი (20), ჯონსონი (13), ბრუქსი (13), უილიამსი (11+6 პასი), ბლეტჩი (11), უოლასი (6+13 მოხსნა).

**ჩ:** დენგი (18), ბელინელი (18), გიბსონი (16+9 მოხსნა), რობინსონი (12+11 პასი), ბატლერი (12).

**ნიუ იორკი-მილუოკი 96:86**

**25:28, 22:25, 27:20, 22:13**

**ნ-ი:** ენტონი (25+8 მოხსნა+6 პასი), სტაუდმაიერი (17+7 მოხსნა), სმიტი (17), ფელტონი (14+8 პასი), ჩენდლერი (9+20 მოხსნა).

**მ:** ილიასოვა (19+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ელისი (16), ჯენინგსი (14+6 პასი), დანლივი (12), სანდერსი (2+10 მოხსნა).

**ფილადელფია-საკრამენტო 89:80**

**27:23, 27:16, 18:29, 17:12**

**ფ:** ტ. იანგი (23+15 მოხსნა), ჰოლიდეი (21+7 პასი), ნ. იანგი (20), ჰოიესი (10).

**ს:** ტ. ევანსი (29), ტომასი (24+5 პასი), კაზინსი (12+12 მოხსნა+3 დაფარება).

**დეტროიტი-კლივლენდი 117:99**

**24:16, 30:31, 31:21, 32:31**

**დ:** ნაითი (20+10 პასი), სინგლერი (20+8 მოხსნა+3 დაფარება), მონრო (18+16 მოხსნა), სტაკი (14), ბაინუმი (11+8 პასი), ვილანუევა (10).

**კ:** ტომპსონი (19+9 მოხსნა), სპეიტსი (17+8 მოხსნა), ირვინგი (14+5 პასი), ელინგტონი (13), მაილზი (12).

**მემფისი-ვაშინგტონი 85:76**

**23:30, 16:10, 22:16, 24:20**

**მ:** კონლი (18+6 პასი+4 ჩაჭრა), პრინსი (14), გასოლი (13+15 მოხსნა+5 პასი), ალენი (11+8 მოხსნა), ბეილესი (11), რენდოლფი (7+11 მოხსნა).

**ვ:** ნენე (14+6 პასი), უოლი (9+7 მოხსნა+6 პასი), ოკაფორი (8+10 მოხსნა).

**დენვერი-ნიუ ორლეანი 113:98**

**26:26, 25:22, 34:30, 28:20**

**დ:** იგუოდალა (24+3 ჩაჭრა), ლოუსონი (21+13 პასი), გალინარი (18+7 მოხსნა+5 პასი), ბრიუერი (17+3 ჩაჭრა), ფარიდი (13+9 მოხსნა).

**ნ-ო:** ანდერსონი (21), დევისი (13+10 მოხსნა+3 დაფარება), ვასკესი (13+9 პასი), ლოპესი (13).

**იუტა-პორტლენდი 86:77**

**26:19, 25:17, 22:25, 13:16**

**ი:** ჯეფერსონი (21+10 მოხსნა), მილსეპი (15), ფოიე (14+7 მოხსნა), კეროლი (13), ფეივორსი (7+12 მოხსნა).

**პ:** ლილარდი (26+5 პასი), ოლდრიჯი (16+10 მოხსნა), ჰიქსონი (11).

**ფინიქსი-დალასი 99:109**

**31:29, 23:25, 21:20, 24:35**

**ფ:** ბრაუნი (20), დრაგიჩი (19+8 მოხსნა+9 პასი), სკოლა (18+8 მოხსნა), დადლი (17), გორტატი (16+7 მოხსნა).

**დ:** მაიო (20+3 ჩაჭრა), კოლისონი (19+6 პასი), კარტერი (17), მერიონი (14+11 მოხსნა+4 დაფარება), კრაუდერი (13), რაიტი (11), ბრენდი (4+10 მოხსნა+4 დაფარება).

**მინესოტა-ლეიკერსი 100:111**

**24:37, 29:31, 23:17, 24:26**

**მ:** შვედი (18+6 პასი), უილიამსი (15+9 მოხსნა), პეკოვიჩი (14+9 მოხსნა), ბარეა (14), კირილენკო (12).

**ლ:** გასოლი (22+12 მოხსნა+3 დაფარება), ჯეიმისონი (18+7 მოხსნა), ბრაიანტი (17+12 მოხსნა+8 პასი), ნეში (17+7 მოხსნა+7 პასი), კლარკი (13+10 მოხსნა), ბლეიკი (10).

**2 თებერვალი**

**ჰიუსტონი-შარლოტი 109:95**

**32:27, 30:24, 17:26, 30:18**

**ჰ:** პარსონსი (24+10 მოხსნა), პატერსონი (24), ჰარდენი (21+11 მოხსნა+11 პასი), აშიქი (19+15 მოხსნა).

**შ:** უოკერი (24+4 ჩაჭრა), სეშენსი (20+6 პასი), ჰენდერსონი (15), ტეილორი (15), გორდონი (11).

**მინესოტა-ნიუ ორლეანი 115:86**

**33:14, 25:17, 23:24, 34:31**

**მ:** კანინგემი (18), პეკოვიჩი (14+7 მოხსნა), შვედი (12+8 პასი), კირილენკო (12), ჟელაბალი (11).

**ნ-ო:** დევისი (18), ლოპესი (16).

**მილუოკი-ორლანდო 107:98**

**31:22, 21:26, 27:19, 28:31**

**მ:** ელისი (21+11 პასი), ჯენინგსი (20+5 პასი), სანდერსი (17+13 მოხსნა+6 დაფარება), ილიასოვა (16+8 მოხსნა), დანლივი (11).

**ო:** ვუჩევიჩი (20+12 მოხსნა+6 პასი), ჰარკლესი (19+14 მოხსნა+4 ჩაჭრა), რედიკი (15+8 პასი).

**სან ანტონიო-ვაშინგტონი 96:86**

**27:17, 24:9, 17:30, 28:30**

**ს-ა:** პარკერი (19+12 პასი), გრინი (15), სპლიტერი (12+7 მოხსნა), ლეონარდი (10+11 მოხსნა).

**ვ:** უოლი (21+9 პასი), უებსტერი (14), ნენე (11+6 პასი), სინგლტონი (11+3 ჩაჭრა), არიზა (10+3 ჩაჭრა).

**პორტლენდი-იუტა 105:99**

**24:23, 19:23, 29:21, 33:32**

**პ:** ლილარდი (23+8 პასი), ჰიქსონი (21+11 მოხსნა), ოლდრიჯი (18+11 მოხსნა), სმიტი (13), ბატუმი (12+10 მოხსნა+9 პასი).

**ი:** ფოიე (23), მილსეპი (18+8 მოხსნა+5 პასი), მარვ. უილიამსი (15), ჯეფერსონი (12+5 პასი), კეროლი (11).

**გ. სტეიტი-ფინიქსი 113:93**

**26:29, 22:23, 33:22, 32:19**

**გ-ს:** კარი (29+8 პასი), ჰ. ბარნსი (21+8 მოხსნა), ტომპსონი (17+7 მოხსნა+7 პასი), ლი (16+12 მოხსნა+7 პასი), ბოგუტი (11+7 მოხსნა+3 დაფარება).

**ფ:** ბიზლი (24), დადლი (16), დრაგიჩი (13+7 პასი), ტაკერი (12+7 მოხსნა), სკოლა (9+14 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ატლანტა-ჩიკაგო 76:93**

**17:24, 27:19, 16:26, 16:24**

**ა:** სმიტი (19+13 მოხსნა+5 პასი), ტიგი (16), ჰორფორდი (14+12 მოხსნა+3 დაფარება), კორვერი (10).

**ჩ:** დენგი (25+14 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), რობინსონი (20+8 პასი+3 ჩაჭრა), გიბსონი (19+19 მოხსნა+3 დაფარება), ბატლერი (16+10 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ნიუ იორკი-საკრამენტო 120:81**

**25:22, 31:11, 41:19, 23:29**

**ნ-ი:** სმიტი (25), სტაუდმაიერი (21), ნოვაკი (15), ჩენდლერი (11+20 მოხსნა), ტომასი (11).

**ს:** კაზინსი (25+9 მოხსნა), ფრედეტი (14), რობინსონი (11).

**კლივლენდი-ოკლაჰომა 115:110**

**23:25, 29:32, 24:21, 39:32**

**კ:** ირვინგი (35), სპეიტსი (21+10 მოხსნა), მაილზი (16), უეიტერსი (12+6 პასი), ტომპსონი (11+12 მოხსნა).

**ო:** დურანტი (32+11 მოხსნა), უესტბრუკი (28+5 პასი+3 ჩაჭრა), იბაკა (18+12 მოხსნა+4 დაფარება), მარტინი (15).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ამბები

## იანვრის ლაურეატები

„მაიამი ჰიტის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და „სან ანტონიო სპურსის" მცველი **ტონი პარკერი** გასული თვის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ. აღმოსავლეთში საუკეთესო ჯეიმსი „ჰიტს" 14-დან რვა მატჩის მოგებაში დაეხმარა და იანვარში საშუალოდ 27 ქულა, 8.1 მოხსნა და 7.2 შედეგიანი გადაცემა დააგროვა.

პარკერთან ერთად „სპურსმა" 15-დან 12 შეხვედრა მოიგო, რაშიც ფრანგი გამთამაშებლის წვლილი 21.9 ქულასა და 7.9 შედეგიან გადაცემას შეადგენდა.

■ ■ ■

იანვარში აღმოსავლეთისა და დასავლეთის საუკეთესო დებიუტანტები გახდნენ „ვაშინგტონის" შემტევი მცველი **ბრედლი ბილი** და „პორტლენდის" მცველი **დემიან ლილარდი**. ბილის მონაგარი საშუალოდ 15.1 ქულას უდრიდა, ლილარდი კი, რომელიც დასავლეთიდან მესამედ აირჩიეს თვის მოთამაშედ, 17.7 ქულითა და 6.8 პასით დაეხმარა თავის გუნდს.

■ ■ ■

რაც შეეხება იანვრის საუკეთესო მწვრთნელებს, აღმოსავლეთში გამოარჩიეს „ჩიკაგო ბულზის" დამრიგებელი **ტომ ტიბოდო**, დასავლეთში - „დენვერის" თავკაცი **ჯორჯ კარლი**. გასულ თვეში „ჩიკაგომ" 16-დან 12 მატჩის მოგება მოახერხა, „დენვერსაც" ამდენი გამარჯვება ჰქონდა, ოღონდ 15 შეხვედრიდან.

## 60 წელი მკვლელობისთვის

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ყოფილი გამთამაშებლის **ნიკ ვან ექსელის** ვაჟი 60-წლიანი პატიმრობით დაისაჯა ბავშვობის მეგობრის მკვლელობის გამო. 22 წლის **ნიკი ვან ექსელს** გუშინ გამოუტანეს განაჩენი. სასამართლოზე მოწმის სტატუსით გამოვიდა 41 წლის ყოფილი კალათბურთელი და ბოდიში მოუხადა დაზარალებულის ოჯახს.

ამჟამად ნიკ ვან ექსელი „ატლანტა ჰოქსის" სამწვრთნელო შტაბში მუშაობს.

## პროფკავშირიდან დირექტორს აგდებენ

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მინიმუმ ათი კლუბი მზად არის ხმა მისცეს მოთამაშეთა პროფკავშირების აღმასრულებელი დირექტორის პოსტიდან **ბილი ჰანტერის** გადაყენებას, - წერს გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი".

როგორც იცით, ჰანტერი ეჭვმიტანილია პროფკავშირის შემოსავლების არამიზნობრივ ხარჯვაში, გარდა ამისა, ორგანიზაციაში მისი ბევრი ნათესავი მუშაობდა. სხვათა შორის, ამ დღეებში ჰანტერი უვადო შვებულებაში გაუშვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი. ექვსი ერი



# პომების ტრიუმფი და ლე ბლოს ტრაგედია

ექვსი ერის გათამაშების პირველი ტური მოლოდინისამებრ შთამბეჭდავი გამოდგა. გუნდებმა უმაღლესი კლასი აჩვენეს და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ოვალური ბურთით თამაში უფრო სანახაობრივი ხდება. აღიარებულ ფავორიტთაგან გამარჯვებას მხოლოდ ინგლისის ნაკრებმა მიაღწია. საფრანგეთის ეროვნული გუნდი კი სტუმრად, რომში „სტადიო ოლიმპიკოზე“ იტალიის ნაკრებთან დამარცხდა.

ტურნირი კარდიფში გაიხსნა, სადაც „მილენიუმზე“ სტუმარმა ირლანდიის ნაკრებმა კლასიკურ სტილში დაამარცხა უელსი - 30:22. „სამყურები“ 42 წუთის განმავლობაში უდავო უპირატესობას ფლობდნენ. დროის ამ მონაკვეთში მათ სამი უპასუხო ლელო გაიტანეს და 27 ქულის სხვაობით იგებდნენ - 30:3.

ირლანდიელმა ბევრად უფრო ორგანიზებულად ირჯებოდნენ და ანგარიში მე-10 წუთზე შესანიშნავად გათამაშებული კომბინაციის შედეგად გახსნეს. ამ ეპიზოდში ძველებურად გაიბრწყინა მსოფლიოს რაგბის ლეგენდამ, შუამარბმა **ბრაიან ოდრისკოლმა**, რომელმაც მახვილგონივრული გადაცემით გარემარბი **საიმონ ზებო** მეტოქის ჩათვლის მოედნის წინ მარტო დატოვა.

ოდრისკოლიმ მხოლოდ სალელოვე გადაცემა არ იკმარა. მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა ირლანდიელები უკვე 23:3 იგებდნენ, მასპინძელთა ლელოს მისადგომებთან წარმოქმნილი რაკიდან ბურთი აიტაცა და მეტოქის დაცვაში წარმოქმნილ ერთადერთ დაუცველ არეში შეუტია, რითაც თავისი გუნდის უპირატესობა კიდევ უფრო სოლიდური გახადა.

მატჩის შემდეგ ირლანდიელთა თავკაცმა **დეკლან კიდნიმ** მადლობა გადაუხადა ვეტერან მორაგბეს შესანიშნავი თამაშისთვის და სთხოვა, გუნდს კიდევ ერთი სეზონი დაეხმაროს. ოდრისკოლი ექვსი ერის წლევანდელი გათამაშების დასრულების შემდეგ, რაგბისთან გამოთხოვებას აპირებს, თუმცა ისეთ ფორმაშია, 2015 წლის მსოფლიოს თასამდეც თავისუფლად მიატანს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ უელსელთა გმირობაც. მიუხედავად შემადგენლობაში წარმოქმნილი სირთულეებისა, მათ მაინც იპოვეს თავიანთ თავში ძალა და დარჩენილ 35 წუთში მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს. საერთო აღიარებით, „წითელ ურჩხულებს“ ცოტაც რომ დასცლოდათ, ალბათ თამაშს მოიგებდნენ.

■ ■ ■

შესანიშნავი გუნდი შეკრა ინგლისის ნაკრების თავკაცმა **სტიუარტ ლანკასტერმა**. „პომებმა“ შინ, „თვიქნემზე“ შოტლანდიის ნაკრებს 38:18 მოუგეს. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, ანგარიშში საგრძნობლად დაწინაურებას ვერაფრით ახერხებდნენ - 30-ე წუთამდე მინიმალური სხვაობით იგებდნენ (9:8). სწორედ ამ დროს, მათი ხანგრძლივი, მრავალფაზიანი შეტევა გარემარბმა **კრის ეშტონმა** ლელოთი დაასრულა, ხოლო მგეზავმა **ოუენ ფარელმა** გარდასახა - 16:8.

მასპინძლები ანგარიშს ნელ-ნელა ზრდიდნენ და 53-ე წუთისთვის უკვე 20 ქულით დაწინაურდნენ - 31:11. მატჩის დარჩენილ დროში გუნდებმა კიდევ თითო ლელო გაცვალეს და 20 ქულიანი სხვაობა შენარჩუნდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია, ინგლისის ნაკრების დებიუტანტის **ბილი თველვეტრისის** ბრწყინვალე თამაში, რომელიც მატჩის საუკეთესო მორაგბედ აღიარეს.

■ ■ ■

„დიდი სლემზე“ ოცნებას გამოეთხოვა საფრანგეთის ნაკრები, რომელიც სტუმრად დამარცხდა იტალიის ეროვნულ გუნდთან - 18:23. „სკუადრა აძურამ“ ფრანგების დამარცხება ისტორიაში მეორედ შეძლო.

თამაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, გუნდებმა ორ-ორი ლელო მიითვალეს, თუმცა მასპინძლებმა ფეხით უკეთ ურტყეს. 68-ე წუთზე, როცა იტალიის ნაკრები 20:18 იგებდა, გადამწყვეტი აღმოჩნდა შეცვლაზე შესული **კრის ბარტონის** არეკნი. შედეგად „სკუადრა აძურა“ ხუთი ქულით დაწინაურდა და ფრანგებს მატჩის გადასარჩენად მხოლოდ ლელოს გატანა აძლევდათ ხელს. „ლე ბლომ“ თამაშის მიწურულს ხანგრძლივი იერიში მოაწყო, მაგრამ იტალიელები გაუვალი კედელივით იდგნენ და ანგარიშის შენარჩუნება შეძლეს.

### I ტური

**უელსი-ირლანდია 22:30**

**უელსი:** 3ლ - კატბერტი, ჰალპფენი, მიტჩელი. 2გ,ს - ჰალპფენი.

**ირლანდია:** 3ლ - ზებო, ჰილი, ოდრისკოლი.

**ინგლისი-შოტლანდია 38:18**

**ინგლისი:** 4ლ - ეშტონი, თველვეტრისი, პერლინგი, ქერი. 4ს,3გ: ფარელი.

**შოტლანდია:** 2ლ - მეთლენდი, ჰოგი. 2ს,გ: ლაიდლოუ.

**იტალია-საფრანგეთი 23:18**

**იტალია:** 2ლ - პარისე, კასტროჯოვანი. 2გ,ს: ორკერა. ა: ბარტონი.

**საფანგეთი:** 2ლ - პიკამოლი, ფალი. 2ს,გ: მიშალაკი.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ინგლისი - 2 ქულა; 2. ირლანდია - 2; 3. იტალია - 2; 4. საფრანგეთი - 0; 5. უელსი - 0; 6. შოტლანდია - 0.

### II ტური. 9 მარტი

შოტლანდია-იტალია, საფრანგეთი-უელსი, ირლანდია-ინგლისი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| **2 თებერვალი** | |
| ვაშინგტონი-ფილადელფია | 3:2 |
| კაროლინა-ოტავა | 1:0 |
| ტამპა ბეი-ვინიპეგი | 8:3 |
| დეტროიტი-სტ ლუისი | 5:3 |
| დალასი-ფინიქსი | 4:3 (ბ) |
| ვანკუვერი-ჩიკაგო | 2:1 (ბ) |
| ანაჰაიმი-მინესოტა | 3:1 |
| **3 თებერვალი** | |
| პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 5:1 |
| მონრეალი-ბაფალო | 6:1 |
| კოლორადო-ედმონტონი | 3:1 |
| ტორონტო-ბოსტონი | 0:1 |
| ფილადელფია-კაროლინა | 5:3 |
| ტამპა ბეი-რეინჯერსი | 2:3 |
| კოლამბუსი-დეტროიტი | 4:2 |
| ფინიქსი-დალასი | 2:0 |
| კალგარი-ჩიკაგო | 2:3 (ბ) |
| ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 7:4 |
| სან ხოსე-ნეშვილი | 1:2 (ბ) |

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| პოლონეთი-რუმინეთი | 4:1 |
| **აფრიკის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| განა-კაბო ვერდე | 2:0 |
| ს. აფრიკა-მალი | 1:1 პენ. 1:3 |
| კოტ დ'ივუარი-ნიგერია | 1:2 |
| ბურკინა ფასო-ტოგო | 0:0 დ.დ. 1:0 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ტელფორდი-კემბრიჯი | 1:2 |
| ბაროუ-ლუტონი | 1:0 |
| ფორესტ გრინი-რექსჰემი | 0:0 |
| გრიმსბი-ალფრეტონი | 4:2 |
| ჰერეფორდი-საუთპორტი | 2:2 |
| მენსფილდი-დარტფორდი | 5:0 |
| სტოკპორტი-ნანიტონი | 3:2 |
| ტამუორტი-გეიტშიდი | 2:0 |
| უოკინგი-ჰაიდი | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰანოვერი II-მეპენი | 1:4 |
| კლოპენბურგი-ვოლფსბურგი II | 0:0 |
| ვილჰელმშავენი-სტ. პაული II | 4:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩ-ა)** | |
| კოტბუსი II-ცვიკაუ | 0:0 |
| ლაიფციგი-პლაუენი | 2:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| დუისბურგი II-ლევერკუზენი II | 0:2 |
| გლადბახი II-ჰულსი | 3:2 |
| ბოხუმი II-ფორტუნა (კ) | 0:1 |
| ვუპერტალერი-ფორტუნა II | 3:1 |
| ვიქტორია-კრაი | 6:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლე მანი-ნანტი | 0:3 |
| **ნაციონალი** | |
| პონ დუ გარი-შერბური | 1:1 |
| ლუზენაკი-მეცი | 2:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სპარტა-კამბური | 1:0 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| უდენაარდე-აალსტი | 0:0 |
| რუზელარე-მუსკრონი | 0:3 |
| ანტვერპენი-ვიზე | 1:2 |
| ვესტერლო-ჰაისტი | 3:0 |
| სტ. ნიკლაასი-ვოლუვე | 1:0 |
| ოსტენდე-დესელი | 4:0 |
| სტ. ტრუიდენი-ლომელი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ნავალი-ბელენენსეში | 0:0 |
| არუკა-გიმარაეში B | 3:0 |
| ატლეტიკო-კოვილია | 0:0 |
| ბრაგა B-ტონდელა | 0:3 |
| ფეირენსე-პორტიმონენსე | 3:3 |
| მარიტიმუ B-სპორტინგი B | 0:0 |
| ტროფენსე-პენაფიელი | 1:0 |
| პორტუ B-ოლივეირენსე | 3:1 |
| სტ. კლარა-ავეში | 2:2 |
| **შოტლანდია** | |
| როსი-ჰართსი | 2:2 |
| **I დივიზიონი** | |
| დამბარტონი-ლივინგსტონი | 3:4 |
| **II დივიზიონი** | |
| ქუინი-ალოა | 0:0 |
| სტენჰაუზმური-არბროა | 1:0 |
| სტრანრარი-ისტ ფაიფი | 3:1 |
| **III დივიზიონი** | |
| კლაიდი-ელჯინი | 1:1 |
| მონროუზი-ისტ სტირლინგი | 2:2 |
| პიტერჰედი-ბერუიკი | 1:1 |
| ქუინზ პარკი-ანენი | 2:2 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| დანდი იუნ-რეინჯერსი | 3:0 |
| დანფერმლაინი-ჰემილტონი | 0:2 |
| ფალკირკი-ფორფარი | 4:1 |
| კილმარნოკი-ინვერნესი | 2:0 |
| სტ. მირენი-სტ. ჯონსტონი | 2:0 |
| რეითი-სელტიკი | 0:3 |

| | |
|---|---|
| დანდი-მორტონი | 5:1 |
| ჰიბერნიანი-აბერდინი | 1:0 |
| **კვიპროსი** | |
| აეპ-ალკი | 1:4 |
| დოქსა-აპოლონი | 0:0 |
| აპოელ-ნეა სალამისი | 2:0 |
| ენოსისი-ომონია | 0:1 |
| აელ-აიია | 2:0 |
| აეკ-ეთნიკოსი | 2:1 |
| ანორთოსისი-ოლიმპიაკოსი | 4:3 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| იარო-ვაასა | 1:1 |
| ჰიკ-მიუპა | 2:0 |
| მარიეჰამნი-ჰონკა | 2:3 |
| **საბერძნეთი** | |
| აეკ-პანიონიოსი | 1:0 |
| ქსანტი-პლატანიასი | 2:0 |
| ასტერასი-პანათინაიკოსი | 2:2 |
| ოფი-კერკირა | 2:0 |
| ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი | 2:3 |
| ვერია-პანთრაკიკოსი | 2:0 |
| არისი-პაოკ | 2:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ანაგენისი (ე)-კალონი | 2:1 |
| დოქსა-ნიკი ვოლუ | 1:1 |
| კალითეა-ვიცასი | 0:0 |
| ლარისა-ფოკიკოსი | 5:0 |
| ოლიმპიაკოსი (ვ)-პიერიკოსი | 4:1 |
| პანსერაიკოსი-კავალა | 2:1 |
| ერგოტელისი-პანახაიკი | 1:0 |
| აპოლონი-პანაიტოლიკოსი | 0:2 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| 1461 ტრაბზონი-ერჩიესი | 0:1 |
| ადანა დემირი-დენიზლი | 2:1 |
| შანლიურფა-მანიშა | 2:0 |
| ანკარაგიუჯუ-ქარსიაქა | 1:1 |
| ბბ გაზიანთეფი-ქონია | 1:0 |
| თავშანლი-რიზე | 2:3 |
| გიოზთეფე-ბოლუ | 1:2 |
| ბუკა-ადანა | 4:0 |
| სამსუნი-ქართალი | 3:1 |
| **უელსი** | |
| ეირბასი-აფან ლიდო | 3:1 |
| ბალა-ქონეჰსი | 3:6 |
| ბანგორი-პორტ ტელბოტი | 2:2 |
| კარმარტენი-ნიუთაუნი | 4:2 |
| ტნს-ებერისტვიტი | 3:0 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (თ-ა)-მაკაბი (ნ) | 0:3 |
| აშდოდი-ჰაპოელი (ბ-შ) | 0:1 |
| ჰაპოელი (ა)-ირონი (ქ-შ) | 1:1 |
| ჰაპოელი (ჰ)-ბნეი შაჰნინი | 1:3 |
| ჰაპოელი (რ-გ)-მაკაბი (თ-ა) | 0:1 |
| ირონი (რ-ჰ)-ბეითარი | 1:0 |
| ბნეი იეჰუდა-მაკაბი (ჰ) | 2:0 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კლიფტონვილი-ლისბურნი | 4:0 |
| კოლრეინი-ბალინამალარდი | 0:0 |
| დონეგალი-კრუზეიდერსი | 0:3 |
| გლენავონი-დუნგანონი | 3:1 |
| ლინფილდი-ბალიმენა | 2:2 |
| პორტდაუნი-გლენტორანი | 0:1 |
| **ბრაზილია** | |
| **პაულისტა** | |
| მირასოლი-იტუანო | 0:1 |
| ლინენსე-პაულისტა | 3:0 |
| პონტე პრეტა-პენაპოლენსე | 2:0 |
| კორინთიანსი-ოესტე | 5:0 |
| სანტოსი-სან პაულუ | 3:1 |
| **ჩილე** | |
| უნ. კატოლიკა-პალესტინო | 1:1 |
| ო'ჰიგინსი-ს. უონდერერსი | 2:0 |
| უნ. ესპანიოლა-რეინჯერსი | 1:2 |
| სან მარკოსი-კობრესალი | 3:1 |
| ატ. ნუბლენსე-ანტოფაგასტა | 0:2 |
| კობრელოა-დეპ. იკიკე | 4:1 |
| **კოლუმბია** | |
| ა. პეტროლერა-სანტა ფე | 0:3 |
| დეპ. კალი-ონსე კალდასი | 2:1 |
| პატრიოტასი-ჩიკო | 1:1 |
| ატ. ნასიონალი-ატ. უილა | 3:0 |
| ატ. ხუნიორი-ენვიგადო | 4:0 |
| **ეკვადორი** | |
| დეპ. მაკარა-ელ ნასიონალი | 2:1 |

| | |
|---|---|
| **მექსიკა** | |
| ამერიკა-კერეტარო | 3:0 |
| პაჩუკა-ტოლუკა | 1:0 |
| ტიგრესი-ტიხუანა | 2:2 |
| ლეონი-კრუს ასული | 2:2 |
| გვადალახარა-სან ლუისი | 1:1 |
| პუებლა-მორელია | 3:1 |
| პუმასი-სანტოსი | 0:0 |
| **ავსტრალია** | |
| ველინგტონი-პერტი | 1:0 |
| ნიუკასლი-სიდნეი | 2:2 |
| მელბურნ ვ-მელბურნ ჰ | 2:1 |
| ადელაიდა-სიდნეი უინდერერსი | 2:4 |
| **კალათბურთი** | |
| **NBA** | |
| ბოსტონი-კლიპერსი | 106:104 |
| დეტროიტი-ლეიკერსი | 97:98 |
| ტორონტო-მაიამი | 85:100 |
| **გერმანია** | |
| ოლდენბურგი-ალბა | 82:67 |
| ტრირი-ულმი | 82:86 |
| **საბერძნეთი** | |
| იკაროსი-პაოკ | 80:85 |
| **იტალია** | |
| კანტუ-სასარი | 94:80 |
| მილანი-აველინო | 108:57 |
| ვენეცია-სკავოლინი | 71:68 |
| რეჯო ემილია-რომა | 96:93 |
| მონტეპასკი-ვარეზე | 89:75 |
| **ესპანეთი** | |
| სარაგოსა-ესტუდიანტესი | 77:82 |
| კახა ლაბორალი-ვალენსია | 79:75 |
| მურსია-ობრადოირო | 83:77 |
| მანრესა-ბარსელონა | 76:88 |
| უნიკახა-ლაგუნ არო | 74:70 |
| კანარიასი-კახასოლი | 77:68 |
| ბილბაო-რეალი | 74:94 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-პინარი | 59:70 |
| კოლეილილერი-ფენერბაჰჩე | 74:92 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| ვაშინგტონი-პიტსბურგი | 3:6 |
| მონრეალი-ოტავა | 2:1 |
| ბაფალო-ფლორიდა | 3:4 |
| აილენდერსი-ნიუ ჯერსი | 0:3 |
| **კჰლ** | |
| სლოვანი-ლევ პოპრადი | 4:5 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-კრეფელდი | 2:3 |
| აისბარენი-ინგოლშტადტი | 0:1 |
| შტრაუბინგი-ნიურნბერგი | 1:4 |
| მიუნხენი-კიოლნი | 2:1 (ბ) |
| აუგსბურგი-ჰანოვერი | 5:2 |
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 3:2 |
| დიუსელდორფი-იზერლონი | 6:2 |
| **ნორვეგია** | |
| ფრისკ ასკერი-სტრიერნენი | 2:3 |
| რუსენბორგი-ტონსბერგი | 7:4 |
| ვოლერენგა-ლილეჰამერი | 4:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ბისტრიცა | 3:4 (ბ) |
| ტრენჩინი-ნიტრა | 1:3 |
| პოპრადი-სკალიცა | 1:4 |
| ზვოლენი-კოშიცე | 3:2 |
| პიესტანი-მარტინი | 1:4 |
| **ჩეხეთი** | |
| პარდუბიცე-კარლოვი ვარი | 4:1 |
| ბრნო-ლიტვინოვი | 3:4 (ბ) |
| სპარტა-პლზენი | 2:4 |
| ლიბერეცი-ტრშინეცი | 5:4 (ო) |
| კლადნო-ბუდეიოვიცე | 3:1 |
| ხომუტოვი-ზლინი | 3:1 |
| **შვეიცარია** | |
| დავოსი-ფრიბურგი | 3:4 (ბ) |
| ბერნი-რაპერსვილი | 4:3 (ო) |
| ტაიგერსი-ლუგანო | 2:5 |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. პარიზი** | |
| ბარტელი-ერანი | 7:5, 7:6 |
| **WTA. პატაია** | |
| ლისიცკი-კირილენკო | 7:5, 1:6, 6:7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# სისუფთავეზე მზრუნველი რაფა



ნადალი ჩილეში

მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** განაცხადა, რომ მზად არის ყოველ კვირა გაიაროს დოპინგ-ტესტი იმისთვის, რათა შეინარჩუნოს ჩოგბურთი სპორტის „სუფთა“ სახეობად.

*„დარწმუნებული უნდა ვიყო იმაში, რომ მოწინააღმდეგე ისეთივე სუფთაა, როგორც მე ვარ. ვერ ვხედავ პრობლემას იმაში, ყოველ კვირა გავიარო კონტროლი და ვებრძოლო იმას, რაც სპორტის სხვა სახეობებში მოხდა. ჩოგბურთი ახლაც რჩება სპორტის „სუფთა“ სახეობად, როგორც ეს მთელი მისი ისტორიის განმავლობაში იყო“*, - ამბობს ნადალი Wall Street Journal-ისთვის მიცემულ კომენტარში.

როგორც იცით, რაფაელ ნადალი ამ კვირას, დიდხნიანი პაუზის შემდეგ განაახლებს პროფესიულ კარიერას - ის ჩილეს ქალაქ ვინია დელ მარის ტურნირში ჩაებმება. ესპანელი ამბობს, რომ არც კი ფიქრობს რეიტინგში პირველი პოზიციის დაბრუნებაზე: *„ნახევარია წელია არ მიმიღია მონაწილეობა ტურნირებში და ახლა, გონებაშიც არ გავივლებ ისევ გავხდე მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ნომერი. ამაზე იმ დროსაც არ ვფიქრობდი, როცა კარგ ფორმაში ვიყავი და სეზონს თავიდანვე ვიწყებდი. ჩემი მიზანი - მაქსიმუმის ჩვენებაა ყოველ შეხვედრაში“.*

# ნა ლი მარიაზე წინ

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (WTA) გამოაქვეყნა სტატისტიკა სოციალურ ქსელებში ჩოგბურთელთა მიკრობლოგებზე ხელმომწერთა რაოდენობის შესახებ. WTA-მ ამ სტატისტიკის შესადგენად გაითვალისწინა ქალი მოთამაშეების გვერდები Facebook-ზე, Twitter-სა და ჩინურ სოციალურ ქსელ Sina Weibo-ზე.

ხელმომწერთა რაოდენობით ლიდერი გახდა ჩინელი **ნა ლი**, რომელსაც Sina Weibo-ზე 15.3 მილიონი თაყვანისმცემელი ჰყავს. მეორე ადგილზეა **მარია შარაპოვა** 9.7 ხელმომწერით Facebook-ის ქსელზე.

რეიტინგის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. ნა ლი (ჩინ) - 15,3 მლნ (Sina Weibo)
2. მარია შარაპოვა (რუს) - 9,7 მლნ (Facebook)
3. სერენა უილიამსი (აშშ) - 5,0 მლნ (Facebook)
4. ვენუს უილიამსი (აშშ) - 2,1 მლნ (Facebook)
5. სანია მირზა (ინდ) - 1,5 მლნ. (Facebook)
6. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) - 1,1 მლნ (Facebook)
7. ჟიე ჟენგი (ჩინ) - 1,1 მლნ (Sina Weibo)
8. ანა ივანოვიჩი (სერ) - 884 ათასი (Facebook)
9. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) - 537 ათასი (Facebook)
10. საბინ ლისიცკი (გერ) - 226 ათასი (Facebook)



ნა ლი

ფორმულა 1

# ახალი რედ ბული ახალი სახელით

ზამთრის ტესტების პირველი სერიის დაწყებამდე ორი დღით ადრე, საჩემპიონო გუნდმა - „რედ ბულმა“ ახალი მანქანა წარადგინა ახალი სახელწოდებით - Infiniti Red Bull Racing.

RB9 აგებულია შარშანდელი შასის ბაზაზე. ავსტრიული საჯინიბო უკვე რამდენიმე წელია მუშაობს აპრობირებული მეთოდით - ავითარებს წინა წლის წარმატებულ მანქანას და აქცენტს აკეთებს კონკრეტულ აეროდინამიკურ გადაწყვეტილებებზე, რაც გუნდს არსებულ უპირატესობას უნარჩუნებს. ამ მეთოდის სასარგებლოდ ლაპარაკობს ზედიზედ სამჯერ მოგებული ტიტული.

შარშანდელთან შედარებით, ოდნავ შეიცვალა მანქანის შეფერილობა - უფრო მეტი იასამნისფერი გაჩნდა. სხვათა შორის, პრეზენტაციის დროს დარბაზში დეკორაციებიც ამ ფერში იყო გადაწყვეტილი.

საინტერესოა, რომ „რედ ბულის“ ინჟინრებმა არ დამალეს „ცხვირზე“ შარშანდელი საფეხური.

■ ■ ■

ერთი დღით ადრე, შვეიცარიის ქალაქ ჰინვილში განთავსებულ ბაზაზე ახალი მანქანის პრეზენტაცია მოაწყო შვეიცარიულმა საჯინიბო „ზაუბერმა“. პირველად 2008 წლის შემდეგ, ახალი ბოლიდის წარდგენამ ტრასის მიღმა ჩაიარა.

2013 წლისთვის გუნდმა მთლიანად შეცვალა შემადგენლობა - „ფორს ინდიადან“ გადაიბირეს გერმანელი **ნიკო ჰიულკენბერგი**, რომლის მეწყვილე იქნება დებიუტანტი მექსიკელი **ესტებან გუტიერესი**. გარდა ამისა, სარეზერვო პილოტის როლიც ახალ ავტომრბოლს ერგო - Formula Renault 3.5-ის მოქმედ ჩემპიონს **რობინ ფრიაინსს**.

პრეზენტაციას ესწრებოდა გუნდის ყოფილი ბოსი **პეტერ ზაუბერი**, მისასალმებელი სიტყვა კი საჯინიბოს ახალმა შეფმა **მონიშა კალტენბორნმა** თქვა: *„ძალიან აღელვებული ვარ, რადგან ახალი მანქანის პრეზენტაცია ყოველთვის განსაკუთრებული მომენტია. თითქმის ერთი წელი ვმუშაობდით ამ ბოლიდის შექმნაზე, დღეს კი ვხედავთ პირველ რეაქციას ჩვენი სამუშაოს შედეგზე.*

*ახალი სეზონისთვის კარგად მოვემზადეთ, დროულად დავასრულეთ მუშაობა მანქანაზე, გადავწყვიტეთ ყველა დასახული ამოცანა... ეს დამაჯერებლობას გვმატებს, მაგრამ ჩვენი სამუშაოს შეფასება მხოლოდ სეზონის პირველი გრანპრის დროს მოხდება“.*

ამის შემდეგ, C32-ს დამცავი შალითა გადახსნეს. მანქანის ფერები შეიცვალა - ის რუხი გახდა თეთრ-წითელი ზოლებით დამშვენებული. უფრო კომპაქტურია გვერდითი პონტონები, შეიცვალა დაკიდების კონსტრუქცია, აგრეთვე უკანა აეროდინამიკური ელემენტები. ამ შემთხვევაში დაფარულია „ცხვირზე“ არსებული საფეხური.

პროექტის მთავარი კონსტრუქტორი იყო **მეტ მორისი**, რომელსაც გუნდის ინჟინრები ეხმარებოდნენ.



რედ ბული



ზაუბერი

# ორი ვაკანსია დარჩა

## ჰემილტონმა 23-მილიონიანი BOMBARDIER იყიდა

გუნდების პრეზენტაციებთან ერთად, განახლდა პილოტთა სია 2013 წლის სეზონისთვის. ახალ ცხრილში შეტანილია ის ცვლილებები, რომელიც ამ დღეებში მოხდა.

მაგალითად, გაირკვა, რომ 2013 წელს ტრასაზე ვერ ვნახავთ „კატერჰემის“ რუს პილოტს **ვიტალი პეტროვს**. მის ადგილს გუნდში **გიდო ვან დერ გარდე** დაიკავებს. კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ „ფორს ინდიამ“ დაადასტურა **პოლ დი რესტას** კონტრაქტი.

ასე რომ, მომავალი სეზონისთვის დარჩენილია მხოლოდ ორი ვაკანსია: ერთი „ფორს ინდიაში“ და მეორე - „მარუსიაში“. თუმცა ამ გუნდში თითქმის გადაწყვეტილია **ლუის რაზიამ** მისვლა.

■ ■ ■

„მერსედესის“ ახალმა პილოტმა, მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონმა **ლუის ჰემილტონმა** საკუთარი სატრანსპორტო პარკი განაახლა. ბრიტანელმა 23 მილიონ ევროდ შეიძინა კერძო თვითმფრინავი, - იტყობინება ბრიტანული პრესა.

ლუისის შენაძენი გახლავთ თვითმფრინავი Bombardier CL-600, რომელსაც შეუძლია საათში 800 კილომეტრი სიჩქარის განვითარება.

ჰემილტონმა უკვე შეასრულა პირველი ფრენა ახალი თვითმფრინავით - ის რამდენიმე დღის წინ შტუტგარტში გაემგზავრა და იქ „მერსედესის“ ბაზას ეწვია. პილოტს იმედი აქვს, რომ თვითმფრინავის შეძენა დაეხმარება მის ურთიერთობას მომღერალ **ნიკოლ შერცინგერთან**, რადგან ახლა ლუისისთვის უფრო იოლი იქნება ლოს ანჯელესში ჩასვლა, სადაც ნიკოლი ცხოვრობს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**